პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთაერის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80
ექსპედიციის 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 13—80.

კვირა, 30 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 121 (1576)

დღიური

ლენინგრადში ჩავიდა სკანდინავიის მუშა - ახალგაზრდობის დელეგაცია.

შვეციის მთავრობა გადადგომას აპირებს.

ავსტრიაში გაიფიცენ ტეხნიკური მოსამსახურეები.

პარიზში რენოს საავტომობილო ქარხნების ნაწილი ხანძარმა გაანადგურა.

ბალტიის სახელმწიფოები არ თანაუგრძნობენ გეგმას პოლონეთთან შეთანხმების შესახებ.

კანტონისა და უ-პეი-ფუს ჯარებს შორის ბრძოლა დაიწყო.

პორტუგალიაში აჯანყება დაიწყო.

საბერძნეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება.

ცეკას პლენუმი

საქართვ. კომპარტიის ცეკას მორიგი პლენუმი

შესდგება 31 მაისს, დილის 10 საათზე სასახლეში, სახალხო კომისართა საბჭოს მცირე დარბაზში

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი **ლ. ქართველიშვილი**

ორშაბათს, 31 მაისს, საღამოს სრულ 6 ს. აღმასკომის დარბაზში შესდგება

თბილისის აღმასკომის სხდომა

დღის წესრიგი:

1. აღმასკომის 1925/26 წლის ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებების შესახებ.
2. მოხსენება ქალაქის ლომბარდის მუშაობის შესახებ.
3. ხელშეკრულების პროექტის დამტკიცება ტრამვაის მუშათა სახლის ასაშენებლად.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

ნ. 1361 **პრეზიდიუმი**

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, რომელიც დღეს იხსნება ჩვენს დედა-ქალაქში.

ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომელიც მთელი ქვეყნის ეკონომიკის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს, ძალზე ჩამორჩენილია. ეს ერთნაირად ითქმის როგორც მიწის დამუშავების მეთოდებზე და სამიწათმოქმედო იარაღებზე, ისე სასოფლო მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგებზე. გლეხობას არ გააჩნია თანამედროვე იარაღები და მანქანები, ის მოკლებულია საჭირო ცოდნა-გამოცდილებას თავის მეურნეობის რაციონალურ საფუძველზე დაყენებისათვის. განუწყვეტელი შრომა და უმცირეს ნაყოფის მიღება—ასეთია ჯერ კიდევ ჩვენი გლეხის ხვედრი.

წინანდელ მთავრობებს არავითარი ზომები არ მიუღიათ სასოფლო მეურნეობის აღორძინებისა და გლეხობის ნივთიერ - კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ გაცხოველებული მუშაობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება. საბჭოთა ხელისუფლებამ არამც თუ გადასცა მიწა გლეხობას, არამედ იგი იმთავითვე შეუდგა სათანადო ღონისძიებათა მიღებას სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის.

ამ დარგში უკვე გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. ტრაქტორი და გუთანი იჭრება სოფელში. სწარმოებს ფართო სამელიორაციო მშენებლობა. ვრცელდება აგრონომიული ცოდნა. გლეხობა ირაზმება სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებში. იგი გადადის მაღალ კულტურებზე. მაგრამ რაც არის გაკეთებული, ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც აწი უნდა გაკეთდეს.

ეხლანდელმა გამოფენამ უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი იმ ამოცანების გადაჭრაში, რომელნიც ჩვენს წინაშე დგანან სოფლის მეურნეობის დარგში. პირველ ყოვლისა ეს იქნება ახალი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ცოცხალი პროპაგანდა. გამოფენაზე, რომელშიც მონაწილეობენ, გარდა საბჭოთა მრეწველობისა, უცხოეთის საუკეთესო ფირმები, წარმოდგენილი იქნება მთელი სოფლის მეურნეობა, ნაჩვენები იქნება თანამედროვე მანქანები, რომელთა საშუალებით ხდება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების დამუშავება და გადამუშავება.

გამოფენას ა/კ. სხვადასხვა კუთხიდან დაესწრება მრავალი ათასი გლეხი, რომელნიც თავისი საკუთარი თვალით დაინახავენ ახალი ტექნიკის მთელ სარგებლიანობას და უპირატესობას იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გვაქვს. ისინი არა მარტო თვითონ დარწმუნდებიან ამაში, არამედ ამ მხრივ საჭირო აგიტაციას გასწევენ ათეულ და ასეულ ათას გლეხობაში. გამოფენას უნდა მოჰყვეს სოფლის მოსახლეობის მასიური ლტოლვა ახალი ტექნიკის დაუფლებისაკენ, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ. ეს ასეც იქნება.

გამოფენის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. დღეს ჩვენ ბლომად ვიძენთ უცხოეთში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენ კარგად არ ვიცნობთ უცხოეთის ფირმებს, მათ მიერ დამზადებულ საგნებს. ამით აიხსნება, რომ არა იშვიათად ვიძენთ ისეთ მანქანებს, რომელნიც ჩვენთვის გამოუსადეგარი ან ნაკლებ გამოსადეგია ჩვენი სოფლისათვის, ისინი ხშირად არ შეესაბამებიან ჩვენში არსებულ ტოპოგრაფიულ პირობებს და მეურნეობის ტიპებს.

გამოფენაზე ჩვენ საშუალება გვეძლევა ადგილობრივ გამოვცადოთ სხვადასხვა მანქანები, გავეცნოთ უცხოეთის ფირმებს და შევიძინოთ მხოლოდ ისეთი იარაღები, რომლებიც გვესაჭიროება.

გამოფენის წყალობით ჩვენ გავაბამთ კავშირს საუკეთესო ფირმებთან და გაცილებით უფრო იოლად მივიღებთ მათგან სწორად იმას, რაც ჩვენთვის აუცილებელია.

გამოფენას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისათვის. მიუხედავად კაპიტალისტების მტრობისა საბჭოთა ქვეყნებისადმი, ისინი იძულებული არიან ჩვენთან გააჩაღონ აღებ-მიცემობა. ამას მოწმობს, სხვათა შორის, დღევანდელი გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობენ თითქმის ყველა დიდი თუ პატარა სამრეწველო ქვეყნების ფირმები. ეს მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს უჩვენოთ უჭირთ არსებობა; ეს მოწმობს იმას, რომ ისინი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა რესპუბლიკების სიმტკიცე და მათი წარმატებითი სამეურნეო აღმშენებლობა.

ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკა საფუძველია პოლიტიკის. და, უეჭველია, რომ სამეურნეო დამოკიდებულების განვითარება ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის, რომლის ერთ-ერთ ნიმუშს ჩვენი გამოფენა წარმოადგენს, ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ურთიერთობის მოგვარებასაც. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი ვიცით.

ასე დიდია გამოფენის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ამიტომ მის რიგიან ჩატარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ მხრივ შესრულებული მოსამზადებელი მუშაობა საფუძველს გვაძლევს ვსთქვათ, რომ იგი უეჭველად თვალსაჩინო ნაყოფს გამოიღებს.

დღეს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მთავარ ლოზუნგს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს. თანამედროვე ტექნიკის შემოღება როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში, ჩვენი ნედლეულის ადგილობრივ გადამუშავება, ნაკლები შრომის და ხარჯების გაწევით მაქსიმალურ შედეგების მიღება, საქონლის თვისების გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის საქონლიანობის გაზრდა—ასეთია ამოცანები. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გვიჩვენებს, რა საშუალებებით უნდა განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია. იგი ხელს შეუწყობს მასის საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას ამ საკითხის გარშემო და შეიქმნება სტიმულად მშრომელი ხალხის შემოქმედებითი ენერგიის გაშლისათვის მის გადასაჭრელად.

* * *

საფრანგეთის სოციალისტების ყრილობა

(„პრავდა“-ს მოწინავე)

„საფრანგეთის თანამედროვე პირობების თავისებურება, სოციალისტურ პარტიის კონგრესის შეკრების დროს, ერთის მხრივ მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთის სახალხო მეურნეობის ფინანსიურმა კრიზისმა უმძაფრესი ფორმა მიიღო, ხოლო მეორეს მხრით, საფრანგეთის სამეურნეო ცხოვრებაში გარდატეხა მოსალოდნელია.

საფრანგეთის ეკონომიურ პრესაში ჩვეულებად გადაიქცა იმის მტკიცება, რომ პალიატივების საშუალებით წინსვლა აღარ შეიძლება და აუცილებელია სამეურნეო პოლიტიკის ბერკეტის სავსებით შეტრიალება. თუმცა საფრანგეთის ბურჟუაზიის ზოგიერთი წრეებისათვის ინფლაცია სასარგებლოა, მაგრამ საფრანგეთის კაპიტალისტების კლასს შეუძლიანად და საფრანგეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლიათ არ იგრძნონ ქვეყნის ფინანსიურ მეურნეობაში სერიოზული ძირითადი ცვლილებების აუცილებლობა.

შეუძლებელია წინასწარ თქმა როგორ კონკრეტიულ ფორმებში მოხდება საფრანგეთის ფინანსების გაჯანსაღება და როგორი ახალი ტიპის სახელმწიფოთა შორისო კავშირი აღმოცენდება ამის შემდეგ. მაგრამ ერთი რამ კი შეიძლება კატეგორიულად ითქვას: სამშობლოს ხსნას სახელმწიფოს მშრომელი ელემენტების ხარჯზე შეეცდებიან, გაძლიერდება წვრილი ბურჟუაზიის მომჭირნეობით შეგროვილ თანხების ექსპროპრიაცია და ფართო სახეს მიიღებს მშრომელი მასსის შევიწროება ექსპროპრიაციის საშუალებით.

სოციალისტების კონგრესს კლერმონ-ფერრანში არ შეიძლება არ გამოეხატა მიმდინარე პერიოდის გარდატეხითი ხასიათი.

სოციალისტურ პარტიას, რომელიც ბურჟუაზიის აგენტურას წარმოადგენს მუშათა კლასში, რომელიც სამშვიდობო კონტაქტს ამყარებს ბურჟუაზიასა და მასსებს შორის, ზემო ინსტანციებშიაც კი პასუხი უნდა გაეცა ამ ახალი მოძრაობისა და მუშათა კლასის განწყობილებისათვის.

გასაკვირალი არ არის, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიამ სოციალისტურ ყრილობის გახსნას ფართო კომენტარიები უძღვნა. პარიზის „ტანი“ ფრიად უკმაყოფილო იყო კომუნისტებთან თანამშრომლობის საკითხს დასმითაც კი. „კოტიდიენი“ კლერმონ ფერრანის კონგრესს ტურის კონგრესის აჩრდილით ემუქრებოდა, ე. ი. ახალი განხეთქილების აჩრდილით. „ძმური ორგანო“, გერმანულ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი“ კონგრესის წინ ტალახში სვრიდა მემარცხენე ოპოზიციებს და მორენის ჯგუფს. „ფორვერტსი“ იქამდეც კი მივიდა, რომ განაცხადა მორენის ჯგუფი ვიღაცას მიერ არის მოსყიდულიო.

საფრანგეთის სოციალისტური პარტია ამჟამად საკმაოდ ფართო დიაპაზონს იძლევა ყოველგვარ განსაკუთრებულ მიმდინარეობისა და განწყობილებისათვის. მორენის ჯგუფიდან და ეგრედწოდებულ რევოლიუციონურ მოქმედების კომიტეტებთან, რომელიც ქალწულებრივი მორცხვობით სვამს კომპარტიასთან თანამშრომლობისა და რეაქციასთან გაერთიანებული ბრძოლის საკითხს, საბოლოვოდ გადაგვარებულ ბონკურის ჯგუფამდე, მართლაც საკმაოდ დიდი მანძილია. პარტიის ერთ პოლიუსზე მასსების გავლენა თავს იჩენს მემარცხენე ფრაზეოლოგიაში, ხოლო მეორეზე გახრწნამ უკიდურეს წერტილს მიაღწია.

ცხადია, რომ პარტიულმა ბიუროკრატიამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რაც კი მისგან იყო დამოკიდებული, რომ საშუალება არ მიეცა სხვადასხვა ჯგუფებისათვის ფართოდ გაშლილიყვნენ. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელებს შეუძლიათ, როცა საჭიროება მოითხოვს, ხერხიანი მანევრები მოახდინონ. მოვიგონოთ ვარენის შემთხვევა საფრანგეთის სოციალისტების წინანდელ კონგრესზე. მყვირალი სოციალისტი ვარენი, რომელმაც ინდოჩინეთის ვიცე - გუბერნატორის თანამდებობას მიაღწია, პირდაპირ სძარცვავდა კოლონიის მოსახლეობას; მაშინ იგი გამორიცხეს სოციალისტურ პარტიიდან „სინიდისის“ დასამშვიდებლად.

ამჟამად კლერმონ-ფერრანში ოინბაზობა გამოიხატა იმაში, რომ მეტად შებღალული ძველი რენოდელის მსგავსი, რენეგატები ჩრდილში დააყენეს. ხელმძღვანელობა პარტიის ცენტრის ხელში გადავიდა და რეზოლიუციაც ამ ელემენტების განწყობილების მიხედვით იქნა შედგენილი. რეზოლიუციაში ყველა სახიფათო ადგილები, რასაკვირველია, შემოვლილია. საფრანგეთის სოციალისტური პარტია უარს ამბობს ბურჟუაზიულ მთავრობის სისტემატიურ მხარის დაჭერაზე, რაიც, რასაკვირველია, სავსებით არ უარჰყოფს კაპიტალისტურ მთავრობის ფაქტიურად მხარის დაჭერას შემთხვევიდან-შემთხვევამდე.

საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ ამ შემთხვევაშიაც მანევრი მოახდინა. მაგრამ არავითარი მოხერხებული მანევრებით არ შეიძლება პარტიის გახრწნის პროცესის შეჩერება იმ პირობებში, როცა საფრანგეთის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა უარესდება, მწვავე კრიზისს განიცდის და ახლო მომავალში მოსჩანს კაპიტალის შეტევის პერსპექტივების მშრომელ კლასის წინააღმდეგ“.

ტელეგრაფით მოსკოვიდან
29 მაისი.

დღეს შანხაის მუშების დახვრეტის წლისთავია

ინგლისის სამთამადნო მუშებმა გადასწყვიტეს არ წავიდნენ არავითარ დათმობაზე

სამთამადნო მუშათა ფედერაცია მოითხოვს ამსტერდამის ინტერნაციონალისგან ინგლისში ნახშირის შეტანისათვის ხელის შეშლას

პორტუგალიის ჯარში აჯანყებამ იფეთქა.—აჯანყებულებს ლისაბონზე მიაქვთ იერიში

ინგლისის ბურჟუაზიის პროვოკაცია

მოსკოვი, 29 მაისი. საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მდივანმა ამხ. **დოგადოვმა** განაცხადა, რომ ინგლისის საყოველთაო და სამთა-მადნო მუშების გაფიცვამ დიდი ინტერესი და სოლიდარობის ენტუზიაზმი გამოიწვია ს. ს. რ. კ-ის მუშებში. ყველგან ხდებოდა და ხდება წარმოებებში მიტინგები, მუშებს გამოჰქონდათ და დღესაც გამოაქვთ დადგენილება გაფიცულთა ფონდის გასაძლიერებლად ანარიცხების დაწესების შესახებ. წინასწარი გამონგარიშებით ნავარაუდევია მთელ კავშირში 3,5 მილ. მან. შეგროვება.

ინგლისის ბურჟუაზია ბრძოლას განაგრძობს მუშების წინააღმდეგ და სცდილობს ყოველი ღონისძიებით სახელი გაუტეხონ გაფიცვებს. იგი სცდილობს აგრეთვე მუშტი მოუღიროს რუსეთის მუშებსაც მიტომ, რომ ეს უკანასკნელი ინგლისის მუშებს ეხმარება.

„ტაიმსში“ და სხვა გაზეთებში გამოქვეყნდა კრედიტორების ასოციაციის თავმჯდომარის ტვიდის წერილი, რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის გაგზავნილი ფული იმ კრედიტებისაგანაა აღებული, რომელიც ინგლისიდან მიიღეს.

„ჩვენ ვიცით, სთქვა ამხ. დოგადოვმა,—საიდან მოიტანა კვიდმა ეს ცნობები თავის საპროვოკაციო გამოსვლისათვის. კვიდს და მის დამქაშებს მათი პროვოკაციის საპასუხოთ ჩვენ ვაცნობებთ, რომ საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს სახელდახელო ანგარიშზე 6 მაისს 1926 წელს ბანკში ირიცხებოდა —1.529.390 მანეთი.

ამას გარდა, ჩვენი პროფკავშირების ამ ცენტრალურ კომიტეტში 1926 წ. 1 აპრილისათვის სახელდახელო ანგარიშზე გვქონდა ნაღდი—5.165.691 მან. ეს მხოლოდ პროფკავშირების ცენტრალურ ორგანოების თანხებია. და თუ ამას მიუმატებთ პროფკავშირთა ყველა საგუბერნიო განყოფილებების და პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოების თანხებს, მაშინ გამომჟღავნდება, რომ ჩვენ შეგვიძლიან გაფიცულ ინგლისის მუშებს უკრედიტებოდაც გაუწიოთ სწრაფი დახმარება და რომ ჩვენ ამისთვის საჭიროზე მეტი თანხა მოგვეპოება.

ასკვიტის და ლოიდ-ჯორჯის მიწერ-მოწერის გარშემო

ლონდონი, 28 მაისი. ლიბერალებს შორის მომხდარი უთანხმოება პოლიტიკური კამათის მთავარ თემას წარმოადგენს.

ყველა ლაპარაკობს, რომ უთანხმოებას მწვავე ხასიათი აქვს.

ლიბერალურ გაზეთების ერთი ნაწილი ცდილობს კონფლიქტის მნიშვნელობის მიჩქმალვას, მაგრამ დანარჩენი გაზეთები ფიქრობენ, რომ საბოლოო განხეთქილება ლიბერალურ პარტიაში აუცილებელია.

ასკვიტი და ლოიდ-ჯორჯი ამჟამად ლონდონში იმყოფებიან; ამბების შემდგომ განვითარებას ყველა დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს.

გრეი ასკვიტისა და ლოიდ-ჯორჯის შესახებ

ლონდონი, 28 მაისი. ნაციონალურ ლიბერალურ კლუბში გამართულ საუზმის დროს ლორდ გრეი შეეხო ასკვიტსა და ლოიდ-ჯორჯს შორის მომხდარ უთანხმოებას.

ლორდ გრეიმ განაცხადა, რომ ის სავსებით იზიარებს ასკვიტის აზრს.

„ყველამ იცის—ამბობს გრეი—რომ ასკვიტი კრიტიკულ მომენტში ყოველთვის მოთმინებას და რაინდულ კეთილშობილებას იჩენდა; თუ ოდესმე ლიბერალურ პარტიაში რაიმე დაბრკოლება წარმოიშობოდა, ეს ასკვიტის ინიციატივით არასოდეს არ მომხდარა. ვინც ასკვიტთან მჭიდროთ არის დაკავშირებული, ფიქრობს, რომ გასაკვირია არა ის, რაც ამჟამად მოხდა, არამედ ის, რომ ეს კრიზისი ასე დიდი ხნით გაჭიანურდა“.

შემდეგ გრეიმ გააკრიტიკა მთავრობა და ტრედიუნიონების ზოგიერთი ნაბიჯი საყოველთაო გაფიცვის დროს.

მან განაცხადა, რომ ერთად ერთი მორალი, რომელიც შეგვიძლია გაფიცვიდან გამოვიტანოთ, იმაში მდგომარეობს, რომ დამოკიდებულება მაღაროების პატრონებსა და მუშებს შორის შეცვლილი უნდა იქნეს. მისი აზრით, ერთად-ერთი საშუალება მესაკუთრეებსა და მუშებს შორის ნამდვილი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დასამყარებლად,—ეს არის მათი დაყენება საზოგადო საფუძველზე მრეწველობაში. დაბრკოლებები ძალიან დიდია, მაგრამ თუ მუშები მათ კეთილსინდისიერათ მიუდგებიან და საქმის მართვა-გამგეობაში ჩაებმებიან, ადვილი გახდება ამ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელნიც შეიძლება მართვა-გამგეობის გართულებამ წარმოშვას.

აგრეთვე საჭიროა შეცვლილ იქნეს შეხედულება შეკავშირებულ შრომაზე; მაღაროების პატრონების და მუშების თვალსაზრისი მიმართული უნდა იქნეს თანამშრომლობის იდეალებისაკენ. კერძო წარმოებების შეცვლა სახელმწიფო წარმოებებით, მრეწველობას ვერ უშველის.

ვარლის წინადადება

ლონდონი, 27 მაისი. სამთა-მადნო მუშების კავშირის აღმასკომის ერთმა მემარჯვენე წევრთაგანმა ვარლიმ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყოველკვირეულ ორგანო „ნიუ ლიდერ“-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ის შეთანხმების ახალ პირობებს აყენებს.

იგი წინადადებას იძლევა, მოხდეს სამუშაო ხელფასის ფიქსაცია, ისე, რომ 25%-ით სჭარბობდეს 1924 წლის სამუშაო ხელფას, და არა 33%-ით, როგორც ეს იყო აქამდე; ძირითადი სამუშაო ხელფასი, იმ შემთხვევაში, როცა იგი 45 შილინგზე (22 მან.) ნაკლებია კვირაში, არ უნდა იქნას შემცირებული; მთავრობის სუბსიდია უნდა გაგრძელდეს მხოლოდ ინდივიდუალური წესით ცალკე მაღაროს პატრონებისათვის.

ვარლის წინადადებას ყველა გაზეთები დიდის ყურადღებით იხილავენ.

დახმარებას ითხოვენ

ბერლინი, 28 მაისი. ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი, თავის დეპეშაში სამთა-მადნო მუშების ინტერნაციონალის თავმჯდომარისა და ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმისადმი, დაჟინებით მოითხოვს მიღებული იქნეს ენერგიული ზომები ინგლისში ქვა-ნახშირის შეტანის წინააღმდეგ.

ამის გამო დიუსბურგში ამ ჟამად შესდგება სამთა-მადნო მუშების ინტერნაციონალისა და ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელთა თათბირი—ინგლისში ქვა-ნახშირის შეტანის საბოლოო შეწყვეტისათვის ზომების მისაღებად.

ბენ ტერნერის წერილი

ლონდონი, 29 მაისი. ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს წევრმა ბენ ტერნერმა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყოველკვირეულ ოფიციალურ ორგანო—„ნიუ-ლიდერ“-ში მოათავსა წერილი, სადაც იგი პასუხს აძლევს ამავე ჟურნალის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილს, რომელშიდაც გაკიცხული იყო გენერალურ საბჭოს მემარჯვენე წევრების პოზიცია.

„უსამართლობაა მხოლოდ ტომას ბევინის გინება,—სწერს ბენ ტერნერი,—ვინაიდან გადაწყვეტილება საყოველთაო გაფიცვის გაუქმების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული.

დადგენილება საყოველთაო გაფიცვის გაუქმების შესახებ ნაკარნახევი იყო დაპატიმრების შიშით, ან გაფიცვის დამარცხების მოლოდინით. პირიქით, გაფიცვა ისეთი წარმატებით განვითარდა, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: საყოველთაო გაფიცვა გაუქმებულ იქნა იმიტომ, რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, გაფიცვის გაუქმებასთან ერთად გაუქმებულ იქნებოდა დადგენილება მემაღაროელ მუშების ლოკაუტის შესახებ, რომ ეს უკანასკნელნი მუშაობას შეუდგებოდნენ წინანდელი ხელფასის [illegible] ჩვენ დარწმუნებული ვიყავით აგრეთვე, რომ განახლდებოდა მოლაპარაკება ამ საკითხის მოსაგვარებლად.

საყოველთაო გაფიცვა დამთავრებულ იქნა, რადგან ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ სამუელი, რომელმაც ნახშირის მრეწველობაში შექმნილი კონფლიქტის მოსაგვარებლად წარმოადგინა მემორანდუმი საკომპრომისო პირობებით, შესძლებდა თავის დაპირების შესრულებას და პატიოსნად დაიცავდა აღთქმულ პირობას.

„ნიუ-ლიდერის“ რედაქტორი დრეისფოლდი ბენ ტერნერის წერილზე დართულ სარედაქციო შენიშვნაში—კითხულობს, ჰქონდა თუ არა გენერალურ საბჭოს მცირეოდენი საბუთი მაინც, რომლის მიხედვით შეიძლება გამართლებული იქნეს გენერ. საბჭოს წევრების რწმენა, რომ სამუელი შესრულებდა თავის დაპირებას.

მაღაროელთა სულიერი განწყობილება

ლონდონი, 29 მაისი. ქვანახშირის რაიონებიდან მოსული ცნობებით ყველგან ქვანახშირის მაღაროელთა შორის სუფევს მტკიცე და შეურყეველი სულიერი განწყობილება, იმ რაიონებშიაც კი, სადაც კავშირები უსახსრონი აღმოჩნდენ გაეწიათ მუშებისათვის დახმარება.

თვით კაპიტალისტური პრესაც კი აღნიშნავს მუშების ასეთ სულიერ სიმტკიცეს.

ჰერბერტ სმიტის გამოსვლა

ლონდონი, 28 მაისი. მაღაროს მუშათა ფედერაციის თავმჯდომარე ჰერბერტ სმიტი სიტყვით გამოვიდა როტერჰემში და დაიცვა ის აზრი, რომ საჭიროა წამგებიან მაღაროების დაკეტვა და ქვეყნის შიგნით ეკონომიურად რაციონალურ ფასების დაწესება ნახშირზე.

მან სასტიკად ვაილაშქრა მაღაროს მუშების ხელფასის მოწესრიგების წინააღმდეგ მათ ოჯახების წევრთა რაოდენობის მიხედვით და განაცხადა, რომ უ ეს მოხდა, მწარმოებლები, ცხადია, შეეცდებიან სამსახურში ოჯახით ნაკლებად დატვირთულები მიიღონ.

შემდეგ სმიტმა განაცხადა, რომ ის ცდილობდა თავიდან აეცილებია მუშაობის შეწყვეტა, მაგრამ იძულებული იყო მიემართა ამ ზომისათვის, რადგან მთავრობამ და მწარმოებლებმა გადასწყვიტეს „ჯერ დაემარცხებიათ მაღაროს მუშები და შემდეგ სხვა პროფკავშირებს მოსდგომოდენ“. დასასრულ სმიტმა განაცხადა: „**მე არასოდეს არ მოვაწერ ხელს ისეთ საბუთს, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მუშაობის განახლება სამუშაო დღის 7 საათზე მეტად გადიდების პირობით**“.

კუკის განცხადება.

ლონდონი, 28 მაისი. ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის მდივანმა კუკმა განაახლა მუშაობა ავათმყოფობის შემდეგ.

ჟურნალისტებთან საუბარში, კითხვაზე, თუ რატომ დასტოვა მან უპასუხოდ ბალდუინის უკანასკნელი ულტიმატუმი, კუკმა განაცხადა:

„ჩვენ არაფერი გვაქვს საპასუხო. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბალდუინის წერილი არის მუქარა, რომელსაც მიზნად აქვს გვაიძულოს ჩვენ დავსთანხმდეთ სამუშაო დროის გადიდებაზე და მაღაროს მუშების ხელფასის შემცირებაზე.

ჩვენ გვაქვს სამთამადნო მუშების გარკვეული დირექტივა არ შევხვდეთ ასეთ პირობებში ბალდუინს.

რაც უფრო ჟინიანობას გამოიჩენენ მთავრობა და მაღაროების მეპატრონეები, მით უფრო ნაკლები მაღაროები განაახლებენ მუშაობას.

კონფლიქტის გაჭიანურების უშუალო შედეგები ორგვარი იქნება: გაიზრდება რიცხვი მაღაროს მუშებისა, რომლებიც დაზღვეული უნდა იქნენ უმუშევრობისაგან, გაიზრდება ნახშირის ნაკლებობა და გადიდდება ფასები, რომლებიც უნდა გადაიხადონ მომხმარებლებმა.

კონფლიქტის მოგვარების გადადების თვითეული დღე ძვირად დაუჯდება ქვეყანას. უკანასკნელ [illegible] სრეთ უელსის და სამერსეტის რაიონების მთელი რიგი მაღაროები და ერთადერთი ნაკაზი, რომელსაც მე მაძლევდენ ყველა მუშები, იყო „არავითარი კომპრომისები, მტკიცეთ იყავით, ჩვენ ვერ ვცხოვრობდით იმ ხელფასითაც კი, რომელსაც ვიღებდით აპრილში და ამიტომ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება რაიმე შემცირებაზე“.

ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის დავალებით მე კიდევ უნდა გავიმეორო, რომ ნახშირის არც ერთ რაიონიდან მიღებული არ ყოფილა ცნობა, რომ სამთამადნო მუშების სულიერი განწყობილება არ შეეფერება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენს კონფერენციაზე.

შეეხო რა ზოგიერთი გაზეთების წინადადებას გაფიცვამდე არსებულ ხელფასის შენარჩუნების და სამუშაო დროის გადიდების შესახებ, კუკმა განაცხადა, რომ ამ წინადადებებში ერთადერთი საყურადღებო მომენტია აღიარება იმისა, რომ შეუძლებელია მშვიდობიანობის მიღწევა ნახშირის მრეწველობაში ხელფასის შემცირების დახმარებით“.

„მაგრამ დრო რომ არ დაიხარჯოს მეორე კუთხელის დევნაში, დაუმატა კუკმა, მე მინდა ხელახლა ვაცნო მოსახლეობას, რომ სამთამადნო მუშები და მათი ბელადები ისევე კატეგორიულად ილაშქრებენ სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ, როგორც ხელფასის შემცირების წინააღმდეგ“.

იმპერიალისტები კოლონიებში

სირიის „კონსტიტუცია“

იერუსალიმი, 28 მაისი. საფრანგეთის უმაღლესმა კომისიამ სირიაში **დე-ჟუვენელმა** სცადა სირიის მთავრობის შედგენა არაბის თავმჯდომარეობით, მაგრამ მისი ცდა უნაყოფოდ დარჩა, ვინაიდან არც ერთი ადგილობრივი არაბი არ დათანხმდა მთავრობის თავმჯდომარეობაზე არსებულ პირობებში.

ამის გამო, დე-ჟუვენელი იძულებულია მთავრობის შედგენა მიანდოს ოსმალო **დამად-ახმედ-ნამის**; დე-ჟუვენელი დათანხმდა შემდეგ პირობებზე, რომელიც ახმედ-ნამიმ წარმოადგინა: საფრანგეთის მანდატს სირიაზე ეძლევა ხელშეკრულების ფორმა საფრანგეთსა და სირიას შორის 30 წლის ვადით; ახლო მომავალში შემუშავებული უნდა იქნეს სირიის კონსტიტუცია; სირიას დაეთმობა ლივანის ერთ-ერთი ნავთსადგური.

ამ პირობების მიღება უსათუოდ დიდი დათმობაა აჯანყებულების მიმართ. არაბთა პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ დე-ჟუვენელს დათმობაზე წასვლით სურს აჯანყებულთა ერთიანი ფრონტის დაშლა.

საფრანგეთის „ცივილიზაცია“

იერუსალიმი, 28 მაისი. ამ დღეებში დამასკის ერთ-ერთ მოედანზე საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯაროთ აწამეს 5 აჯანყებული.

ლივანის „კონსტიტუცია“

იერუსალიმი, 28 მაისი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ლივანის წარმომადგენელთა საბჭოს უმრავლესობამ დაამტკიცა ლივანის კონსტიტუციის პროექტი.

ლივანი რჩება საფრანგეთის მანდატის ქვეშ მყოფ ტერიტორიად, სადაც მართვა-გამგეობა რესპუბლიკანური იქნება. **ოფიციალურ დროშას საფრანგეთის დროშა წარმოადგენს. ლივანის საბჭოს საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ნიშნავს. ლივანის არმიას აწყობენ და მეთაურობენ ფრანგები.**

წარმომადგენელთა საბჭოს მაჰმადიანური ნაწილი ამ კონსტიტუციის წინააღმდეგ წავიდა; **ამ ნაწილმა დაადგინა სასტიკი პროტესტით მიმართოს ერთა ლიგას საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა პოლიტიკის წინააღმდეგ.**

აჯანყება პორტუგალიაში

პარიზი, 28 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ოპპორტოში (პორტუგალია) ორი დივიზიის აჯანყება მოხდა. აჯანყებულები ლისაბონის მიმართულებით წავიდნენ. ლისაბონსა და სხვა კუთხეებს შორის ურთიერთობა შეწყვეტილია. აჯანყებულ ჯარების მეთაურმა მოწოდებით მიმართა მოსახლეობას. მთავრობა იმედოვნებს, რომ აჯანყებას ჩააქრობს.

ლონდონი, 29 მაისი. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ პორტუგალიის არმიის მე-8 დივიზია, რომელიც ოპპორტოში სდგას და იქ მდგომი სხვა ნაწილები აჯანყდნენ. სატახტო ქალაქსა და სხვა კუთხეებს შორის მიმოსვლა შესწყდა.

ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან

ბერლინი, 28 მაისი. „ფორვერტს“ ეხება განიარაღების კონფერენციის მომზადებულ წინასწარ კომისიის პირველი სესიის შედეგებს და სამწუხაროდ იძულებულია აღიაროს, რომ კომისიამ მხოლოდ ცალკე საკითხები განიხილა და უყურადღებოთ დასტოვა განიარაღების პრობლემა, როგორც ასეთი.

„ფორვერტს“ ცდილობს თვით კომისიის მოწვევის ფაქტს უწოდოს განიარაღების პრობლემის გადაჭრისაკენ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ იძულებულია აღიაროს, რომ კომისიამ ვერ გაბედა შესდგომოდა ევროპის სახელმწიფოთა გა-

გაფიცვა ავსტრალიაში

ლონდონი, 29 მაისი. სიდნეიდან იუწყებიან, რომ ტექნიკურ მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 30.000 კაცზე მეტმა, დამთავრდა. გაფიცულებმა უარი სთქვეს ხელფასის გადიდებაზე და 44 საათის სამუშაო კვირის მოთხოვნილებაზე.

საბჭოთა პრესა

პროფკავშირების ერთი მთავარი მოვალეობათაგანი

ზედმეტია ეხლა იმის მტკიცება, რომ წარმოების ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა, კერძოთ მომჭირნეობის რეჟიმის გატარება და საერთოდ წარმატებითი სამეურნეო აღმშენებლობა შეუძლებელია, თუ მუშათა ფართო მასები აქტიურად არ იქნება ამ მუშაობაში ჩაბმული. ამ მხრივ უდიდესი მოვალეობა აწევთ პროფორგანიზაციებს; ისინი მოწოდებული არიან მუშები დარაზმონ დღევანდელი სამეურნეო ამოცანების გარშემო და მათ გადაჭრაში უშუალო მონაწილეობა მიაღებინონ. რა თქმა უნდა, ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ პროფკავშირებმა შეასუსტონ ზრუნვა მუშების ნივთიერ და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. მხოლოდ ამით არ უნდა შემოიფარგლოს მათი საქმიანობა. ამას მოყვებოდა მუშების მხრივ სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივების დაკარგვა, ამას მოყვებოდა მუშებსა და სამეურნეო ორგანოებს შორის სხვადასხვა გაუგებრობანი, მაშინ როცა საჭიროა მათი თანამშრომლობა და იმის ნათლად შეგნება, რომ ორივე, როგორც მუშა, ისე სამეურნეო მუშაკი, ემსახურებიან სოციალისტურ მშენებლობის საქმეს.

მაგრამ ზოგან ძირითად პროფორგანიზაციებს ეს კარგად არა აქვთ გათვალისწინებული. ამაზე „რაბოჩაია მოსკვა“ სწერს:

> „პროფესიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ თავისი მასიური მუშაობა შემოფარგლონ მარტო პროფესიული საკითხებით. პროფესიულ საკითხებთან ერთად პროფკავშირების მასიურ მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავონ საწარმოო, საერთოდ სამეურნეო, და პოლიტიკურ ხასიათის საკითხებმაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნება კომუნიზმის მასიური სკოლა. ხოლო ცოდვა გამხელილი სჯობია: ზოგიერთ ჩვენ ძირითად პროფორგანიზაციებს გონიათ, თითქო მათი დანიშნულება მხოლოდ ის იყოს, რომ ჩამოაყალიბონ მუშათა მასის მოთხოვნები და შეეცადონ მათ დაკმაყოფილებას, არ შედიან რა თვით ამ მოთხოვნების შეფასებაში. ყველაფერ დანარჩენში მათ საკმარისად მიაჩნიათ სამეურნ. მუშაკების ერთგვარი კრიტიკა, მცირეოდენი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, კამპანიების ფორმალური ჩატარება და ამით კმაყოფილდებიან, ფიქრობენ რა, რომ ყველაფერი რიგზეა. აღმზრდელობითი მუშაობა და მასების ორგანიზაცია სოციალისტურ მშენებლობაში მათი თვალთახედვის გარეშე რჩება. ეს კი მასიურ ორგანიზაციების ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია. მისი მნიშვნელობა იზრდება: მუშების რიცხვი მატულობს, საგრძნობი მასსები წარმოებაში პირველად ებმებიან, თავისი განწყობილებით, ჩვეულებებით, თავისი გაგებით, ხშირად კი სრული არგაგებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის, მთელი დღევანდელი მდგომარეობის მნიშვნელობისა და ხასიათისა“.

ასეთ პირობებში უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირებ. მასიურ მუშაობას, მიმართულს მუშაკების საწარმოო აღზრდისა და მათი აქტიურად ჩაბმისაკენ სოციალისტურ მშენებლობაში. პროფკავშირებმა სწორედ აქეთკენ უნდა წარმართონ თავისი საქმიანობა და ამავე დროს წინანდებურად განაგრძონ მუშების სადღეისო ნივთიერ და უფლებრივ ინტერესების დაცვა.

შანხაის ამბების წლისთავი

საუბარი ფინ-იუი-სიანთან

მოსკოვი, 28 მაისი. 30 მაისს ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შანხაიში მუშების და სტუდენტების დემონსტრაცია დახვრიტეს. ამის გამო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი ესაუბრა ჩინეთის სახალხო არმიის ყოფილ სარდალს, მარშალ **ფინ-იუი-სიანს**, რომელმაც განაცხადა:

„გასული წლის შუა რიცხვებში ჩინელმა მუშებმა, რომელნიც მოთმინებიდან გამოიყვანა აუტანელმა მუშაობამ და აუტანელმა შრომის პირობებმა, გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც ჩინეთის მთავარ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებს მოედო.

იაპონიის და ინგლისის იმპერიალისტებმა შეიარაღებული ძალით სცადეს აღშფოთების გრძნობის ჩაქრობა ჩინელ მუშებს შორის. გაფიცვებს არაჩვეულებრივი სისასტიკით აქრობდენ—მუშების, სტუდენტების, პროფესორების და სხვ. მშვიდობიან დემონსტრაციებს ხვრეტდენ.

ყველამ იცის, რომ იმპერიალისტები ჩინეთში სარგებლობდენ არა მარტო თავისი საკუთარი სამხედრო ძალით, არამედ აგრეთვე ჩინეთის ხალხის გამყიდველებით—ჩინელ გენერლებით.

შანხაიში მომხდარ ხოცვა-ჟლეტასთან ერთად, ასეთივე მხეცობა ხდებოდა ტიან-ძინში, ხანკოუში, შანდუნში და სხვა ქალაქებში, სადაც გაბატონებული იყვნენ ჩჟან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს მომხრე გენერლები.

იმპერიალისტების მიერ მშვიდობიანი და უიარაღო დემონსტრაციების დახვრეტის შემდეგ, მე მოუწოდე ჩინეთის ხალხს ამხედრებულიყო მოძალადეების წინააღმდეგ. მე მაშინ განვაცხადე, რომ თუმცა სახალხო არმიები რიცხვით ცოტა ვართ და ტექნიკურად გაცილებით უფრო სუსტი ვართ თავით-ფეხებამდე შეიარაღებულ იმპერიალისტებთან და მათ დამქაშებთან შედარებით, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, თუ სასტიკად არ შევებრძოლეთ მათ.

იმპერიალისტების და მათი დამქაშების—ჩინელ გენერლების გააფთრებულ შემოტევას სახალხო არმიების წინააღმდეგ კავშირი აქვს სწორედ ამ მოწოდებასთან, რომლითაც მე ჩინეთის ხალხს მივმართე.

შანხაის ამბებმა დიდი გავლენა იქონია ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის განვითარებაზე ჩინეთში.

ამ ამბებმა მოსახლეობის ფართო წრეებს ჩაუნერგეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის რევოლიუციონური შეგნება და ცხადჰყვეს, რომ მჩაგვრელებთან და სულთამხუთავებთან შეიარაღებული ბრძოლის გარეშე ჩინეთის ხალხი ვერ უზრუნველჰყოფს თავის ნორმალურ არსებობას და ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას“.

შანხაის ამბების წლისთავი.

პეკინი, 28 მაისი. ჩინეთის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები შანხაის ამბების წლისთავის მზადების შესახებ.

შანხაიში ყველა ადგილობრივი ჩინური ორგანიზაციები, არა მარტო მუშური და სტუდენტური, არამედ ვაჭრებიც და სავაჭრო პალატები ერთად ემზადებიან წლისთავის შესახვედრათ.

შანხაის სავაჭრო პალატამ დაადგინა—დახურულ იქნეს 30 მაისს ყველა მაღაზიები და შეწყვეტილ იქნეს ყოველგვარი სავაჭრო ოპერაციები.

დანარჩენ ორგანიზაციებს გადაწყვეტილი აქვთ ჩაატარონ ერთი დღის გაფიცვა და ბოიკოტი გამოუცხადონ უცხოეთის საქონელს. მზადდება მასსიური მიტინგები და დემონსტრაციები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამზადებენ მასიურ მიტინგებს და დემონსტრაციებს.

საბაჟო კონფერენცია

პეკინი, 28 მაისი. დაიხურა საბაჟო კონფერენცია ისე, რომ არ გადაუწყვეტია საკითხი ჩინეთისათვის საბაჟო დამოუკიდებლობის განახლების შესახებ.

ბაჟების 20—30% გადიდების ნაცვლად, როგორც ამას მოითხოვდა ჩინეთი, კონფერენციამ საბაჟო გადასახადი გაადიდა მხოლოდ 2,5—5 პროცენტით.

იაპონიის დელეგატმა კონფერენციაზე, ხიოკომ, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ სახელმწიფოებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რადგან მათი ინტერესები ჩინეთში მეტად ჩახლართულია. ამ გარემოებამ გამოიწვია კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა.

პარლამენტის არჩევნების შედეგები

ვენა, 29 მაისი. ოფიციალური რუმინული ცნობებით, ავერესკუს სახალხო პარტიამ ეროვნულ უმცირესობასთან ერთად პარლამენტში მიიღო 280 მანდატი, ოპოზიციონურმა ბლოკმა—82 მანდატი და ლიბერალებმა—15 მანდატი.

მენშევიკებმა და აგრეთვე, მუშა-გლეხთა კავშირმა ვერ მიიღეს ვერც ერთი მანდატი.

ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ არ შესწყდება

საუბარი სენ კატაიამასთან

[illegible], 28 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, კომინტერნის აღმასკომის წევრმა სენ კატაიამამ განაცხადა:

„შანხაის ამბები ნიშანი იყო, რომელმაც გამოაფხიზლა ჩინეთის ხალხის ფართო მასსები. ჩინეთის ხალხმა, რომელიც ასი წლის განმავლობაში დაბეჩავებული იყო, უკვე გამოიღვიძა და ფეხზე წამოდგა. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეეშინდათ ამ მოძრაობის, რომელიც საფრთხეში აგდებდა მათ განსაკუთრებულ მდგომარეობას ჩინეთში. მათ გადასწყვიტეს ჩაექროთ ეს მოძრაობა სასტიკი რეპრესიების გზით. ამისათვის გამოიყენეს ჩინეთის რეაქციონერი გენერლები, რომელნიც ჟლეტდენ უიარაღო დემონსტრაციებს შანდუნსა, ხანკოუსა, ტიანძინსა და სხვა ქალაქებში. ამან კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია ჩინეთის ხალხის ყველა წრეებში. მოძრაობას შეუერთდენ სახალხო არმიები, რომელსაც ფინ-იუი-სიანი მეთაურობდა. თვით პეკინის მთავრობამაც ნაწილობრივ მხარი დაუჭირა გაფიცულთა ლოზუნგებს და თანხები გაიღო მათ სასარგებლოთ.

ანტიმილიტარისტული მოძრაობა შე- [illegible] იქცა. მოძრაობის უცხოელების წინააღმდეგ უსასტიკესი რეპრესიებით აქრობდენ. სახალხო არმიები, რომელნიც ხალხის ინტერესებს იცავდენ, იძულებული გახდენ უკან დაეხიათ, რადგან მოწინააღმდეგე გაცილებით უფრო ძლიერი იყო. მაგრამ მიუხედავათ უკან დახევისა, სახალხო არმიები ყველაზე უფრო უძლიერეს არმიებს წარმოადგენენ ჩინეთში.

ეხლა თითქმის მთელი ჩინეთი რეაქციონურ გენერლების ხელშია და რევოლიუციონური მოძრაობა არალეგალურ მდგომარეობაშია ჩაყენებული. მაგრამ ამავე დროს კანტონი, ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის ცენტრი და ბაზისი ამ სამოქალაქო ომის შემდეგ კიდევ უფრო მოღონიერდა, როგორც სამხედრო, ისე ფინანსიური და ეკონომიური მხრით.

შანხაიში მომხდარამბებმა დაგვანახვეს რომ ჩინეთის მშრომელი მასების წინაშე ფართო პერსპექტივები იშლება იმპერიალისტების უღლისგან განთავისუფლების საქმეში, ხოლო შანხაის ამბების საერთაშორისო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩინელებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ“.

ფრანგ „სოციალისტების“ კონგრესზე

პარიზი, 28 მაისი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კონგრესზე კოლონიალურ საკითხის შესახებ გამოდიოდენ მხოლოდ და მხოლოდ კოლონიებიდან მოსული სოციალისტები, რომლებიც ყველაზე უფრო კომუნისტების წინააღმდეგ ილაშქრებდენ. **მაროკოსა და სირიის ომის შესახებ კონგრესზე არაფერი თქმულა**, ცენტრალურ კომიტეტში არჩეულია 14 ცენტრისტი და 2 მორენის ჯგუფის წარმომადგენელი (მემარცხენე რეაქციონური ჯგუფი სოციალისტურ პარტიის რიგებში). რვა ადგილი დაუტოვეს რენოდელის მომხრეებს, (რომელიც პარტიის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენს), იმ შემთხვევისათვის თუ ისინი შესცვლიან გადაწყვეტილებას პარტიის ცეკაში არ შესვლის შესახებ.

ინგლისი და ახალშენები

ლონდონი, 29 მაისი. კაპშტადტიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ-აფრიკის პარლამენტის სხდომაზე პრემიერმა გერცოგმა პასუხი გასცა რა გენერალ სმუტს მთავრობის პოლიტიკის შესახებ მომავალ საიმპერიო კონფერენციაზე, განავითარა თავისი ძველი დეკლარაცია დომინიონების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. **გერცოგის განცხადებით ახალშენები თავისუფალნი და დამოუკიდებელნი ხრიან თავის საერთაშორისო ურთიერთობაში.** დომინიონების და დიდ-ბრიტანეთს შორის ერთად-ერთი კავშირი, გერცოგის განცხადებით, ეს პირადი კავშირისა, ტრადიციაზეა აშენებული.

„არჩევნები“ რუმინეთში

ვენა, 27 მაისი. უმაგალითო საარჩევნო ტერორის გამო, ავერესკუს სახალხო პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა: მიიღო მთელი ხმების 65 პროცენტი, მაშინ, როდესაც წინანდელ პარლამენტში 380-დან მხოლოდ 12 მანდატი.

სახალხო პარტია ინტელიგენციის, მოხელეების, ოფიცრების და კულაკების ფაშისტურად განწობილ ნაწილს წარმოადგენს.

მთავრობის კრიზისი შვეციაში

ლონდონი, 29 მაისი. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ შვეციის მაღაროების მუშათა გაფიცვის გამო, მოსალოდნელია მთავრობის გადადგომა. მთავრობა წინააღმდეგია პარლამენტის უმრავლესობის მიერ წამოყენებულ პროექტისა, რომლის მიხედვით სამრეწველო კონფლიქტების დროს მაღაროებში სამუშაოდ გამოყენებულ უნდა იქმნენ უმუშევრები.

დღეს, 30 მაისს
„კომუნისტი“-ს
კანტორა ღია იქნება
დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე
ივნისისათვის ხელისმოწერის მისაღებად

ერთა ლიგის კურთხევით



„დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“

(ჟორდანიას კარაბადინიდან)

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა პროფკავშირების დახმარება

მოსკოვი, 29 მაისი. საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ ინგლისის მაღაროს მუშათა აღმასკომის თავმჯდომარეს გერბერტ სმიტს და მდივანს კუკს გაუგზავნა კიდევ 400.000 მანეთი, იმ თანხიდან, რომელიც იკრიბება გაფიცულ მაღაროს მუშათა დასახმარებლად.

შვეციის კომუნალური დარგის მუშაკთა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 29 მაისი. შვეციის კომუნალურ მუშაკთა დელეგაცია 30 მაისს მიდის თავის ქვეყანაში. დელეგაციამ განსაკუთრებულ დეკლარაციაში გამოსთქვა თავისი აზრი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შედეგათ მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

კომუნისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 29 მაისი. გაიხსნა კომუნისტ ქალთა მე-4-ე საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა ერკოლიმ, მოსმენილ იქნა მოხსენება ქალთა საერთაშორისო სამდივნოს მუშაობაზე.

ფიზიოლოგების ყრილობა

ლენინგრადი, 29 მაისი. დამთავრდა ფიზიოლოგების მეორე საკავშირო ყრილობა. შემდეგი ყრილობა შესდგება 1928 წელს მოსკოვში.

ინგლისის მრეწველობის მდგომარეობა უარესდება

ლონდონი, 28 მაისი. მაღაროს მუშების გაფიცვის გამო ბირმინგამში მუშაობა შეფერხებულია მრავალ წარმოებაში, [illegible] ქარხნები [illegible] დღე გაჩერებულია.

რკინისგზის ვაგონების წარმოება მოშლილია. სტაფფარდისა და უორვიკის ოლქებში სადაც დუმელებისა და ლითონის ქარხნების დიდი ნაწილია, წარმოება ძლიერ შემცირებულია, ნახშირის მარაგის სიმცირის გამო, მსხვილი ლითონის ჩამომსხმელი ქარხნები არ მუშაობენ.

გულლში მდგომარეობა კრიტიკულია, მიღებულია ზომები 3000 ტონა ნახშირის შემოსატანად ბელგიიდან. ნიუკესტლში, ფარტლპულში, მიდლსბრაში, დარლინგტონში და საუზილში ნახშირის დიდი ნაკლებობაა.

სამხრეთ უელსის ნავთსადგურში მდგომარეობა კატასტროფიულია. ნავთსადგურში დარჩენილია 136 გემი. ვაჭრობა ჩვეულებრივ ნორმაზე 10 პროცენტით დაეცა.

ფოლადისა და რკინის მრეწველობა მოდუნებულია.

განხეთქილება რადიკალ-სოციალისტებს შორის.

პარიზი, 29 მაისი. დეპუტატთა პალატის უკანასკნელ სხდომაზე განხეთქილება მოხდა რადიკალ-სოციალისტებს შორის. ერთი ნაწილი მოითხოვს რადიკალ-სოციალისტ მინისტრების გადადგომას, ხოლო მეორე ნაწილი პარტიული ჯგუფის დაარსების მომხრეა.

ერთა ლიგის საბჭოში.

ლონდონი, 29 მაისი. ჟენევიდან მიღებულ ცნობით, ბრაზილიის დელეგატმა მელლო ფრანკომ განაცხადა, რომ ბრაზილია არ წავა გერმანიის ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგ. ამის გამო ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე უზრუნველყოფილია გერმანიის მიღება ერთა ლიგაში.

გეოლოგიური რაზმები

ლონდონი, 20 მაისი. გეოლოგიური კომიტეტი ტრესტებისა და სამეურნეო ორგანოებიდან მიღებულ 120.000 მანეთით აწყობს 60 დამზვერავ რაზმს, რომლებიც მოახდენენ ურალის, რ. ს. ფ. ს. რ-ის, ციმბირის და კაზაკსტანის მადნეულობის გამოკვლევას.

საზოგადოებრივი სამუშაოები

მოსკოვი, 29 მაისი. მოსკოვში საზოგადოებრივ სამუშაოებზე იმუშავებს 60.000 კაცი. გადადებულია ამ საქმისათვის 2.900.000 მანეთი.

ბრძოლა მარ[illegible] გრძელდება

[illegible] 28 მაისი. ტანჟერიდან იუწყებიან, რომ ჯებალას ტომი კვლავ განაგრძობს ბრძოლას. ტომმა დიდი ზიანი მიაყენა ესპანეთის ჯარებს.

ფაშისტების და მუშების შეტაკება

ლონდონი, 28 მაისი. დამატებითი არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ფაშისტების ბანდა თავს დაესხა მუშათა პარტიის მომხრეებს, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს ფაშისტებს და დასჭრეს სამი მათთაგანი. შემდეგ ბრბო მიესია ფაშისტების შენობას და მიანგრ - მოანგრია იქ მათი ორგანიზაცია.

პოლონეთში

ვარშავა, 29 მაისი. ნაციონალ-დემოკრატებმა, რომლებსაც 100 ადგილი აქვთ სეიმში, გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ ყრილობაში და უარი სთქვან პრეზიდენტის არჩევნებში შეუვსებელი საარჩევნო ბიულეტენების მიცემის შესახებ. პარტია თავის კანდიდატს ასახელებს პრეზიდენტათ. კანდიდატი შაბათს, პარტიის პლენარულ სხდომაზე იქნება დასახელებული.

რადიკალურმა გლეხთა პარტიამ ბრილისა და იან დომბსკის თავმჯდომარეობით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ემხრობა პილსუდსკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევას, სეიმის დაშლას, ახალი არჩევნების დანიშვნას და რადიკალურ სოციალ-ეკონომიურ რეფორმებს.

პოლონეთი ეროვნული კრების მოწვევის მოლოდინში

ვარშავა, 29 მაისი. ეროვნული კრების მოწვევის მოახლოვების გამო პოლიტიკური ატმოსფერა პოლონეთში თანდათან მძიმდება.

სეიმში შეუწყვეტლივ იმართება სხვადასხვა ფრაქციების სხდომები, რომელნიც იხილავენ პრეზიდენტის კანდიდატურის საკითხს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მემარჯვენე პარტიის გაერთიანებას ეროვნულ კრებაში ეყოლება დიდი უმრავლესობა—302 დეპუტატი—555 კაციდან.

მემარცხენე ჯგუფებს ეყოლებათ 134 დეპუტატი, ეროვნულ უმცირესობათ—116 და კომუნისტებს 7 დეპუტატი. მემარცხენე ჯგუფებს იმედი აქვთ, რომ უკანასკნელ ხანებში მოხდება განხეთქილება პიასტას პარტიასა და ეროვნულ მუშათა პარტიის შორის.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ კრებაში პიასტას პარტია და ეროვნულ მუშათა პარტია დანარჩენ ეროვნულ ჯგუფებთან შეთანხმებული გამოვიდენ, მოსალოდნელია პილსუდსკის კანდიდატურა გაშავდეს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმაც, რომ მხარი დაუჭირონ. მემარჯვენეები ჯერ-ჯერობით არ ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს და გადაწყვეტილებას საიდუმლოდ ინახავენ.

პოლონეთის ინტრიგები

კოვნო, 28 მაისი. **ლიტვის პრესა ცივად შეხვდა პოლონეთის წინადადებას ბალტიის სახელმწიფოთა კავშირის შექმნის შესახებ. პოლონეთის მონაწილეობით.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ პოლონეთის წინადადება პოლონეთის ახალი მორიგი ხრიკია, ბალტიის მხარის სახელმწიფოთა წინააღმდეგ მიმართული.

გაზეთების ფიქრით, პოლონეთი სცდილობს, რომ ბალტიის სახელმწიფოები ს. ს. რ. კ-ისა და გერმანიის წინააღმდეგ აამხედროს და ლიტვიისა და ესტონიის შორის მტრობა ჩამოაგდოს. ლიტვის განმარტოების შემდეგ პოლონეთი ფიქრობს ბალტიის სახელმწიფოებს გაუსწროს და ბერლინსა და მოსკოვს მეგობრობის წინადადება მისცეს. პრესა აფრთხილებს ესტონიას და ლატვიას წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისაგან.

35 კომუნისტის საქმე

ვილნო, 28 მაისი. 53 კომუნისტის პროცესი სუვალკაში, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ირჩეოდა, უკვე დამთავრდა. ბრალდება მათ წინააღმდეგ „ოხრანკის“ აგენტების ჩვენებაზე იყო აშენებული.

ერთ ბრალდებულს სასამართლომ 5 წლის ციხე მიუსაჯა, ოთხს—თითოს ოთხ-ოთხი წელიწადი, დანარჩენებს—უფრო ნაკლები ვადა.

უ-პეი-ფუ წინ მიიწევს

ნიუ-იორკი, 27 მაისი. „ასსოშიეტეიდ პრესს“ კანტონიდან იუწყება, რომ უ-პეი-ფუს ჯარი ხუნანის პროვინციით მიიწევს წინ და კანტონის ძალებს უტევს გუან-გუნის საზღვრების გასწვრივ.

სრულიად სამაჰმადიანო და სახალიფატო კონგრესი

ანგორა, 29 მაისი. 1 ივნისს მექაში იხსნება სრულიად სამაჰმადიანო და სახალიფატო კონგრესი, რომელსაც იწვევს გეჯასის მეფე და ნეჯას სულთანი იბნ-საუდი.

ეგვიპტეს პრესის ცნობით კონგრესის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები; მაჰმადიანთა მოგზაურობის ორგანიზაცია მექასა და მედინაში გეჯასის რკინისგზისა და გეჯასის ჩრდილოეთ საზღვრების შესახებ (გეჯასის რკინისგზა აშენებულია მთელი [illegible] მაჰმადიანთა შემოწირულებით და ითვლება მაჰმადიანთა სამღვთო საკუთრებათ. ომის შემდეგ ეს რკინისგზა გაყოფილ იქნა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. გეჯასის ჩრდილოეთ საზღვრების საკითხი დღის წესრიგში დასმულია იმის გამო, რომ ინგლისელებმა 1925 წელში ხელთ იგდეს გეჯასის ჩრდილოეთი ოლქი ნავთსადგურ აკაბათი და ქალაქ მაანით).

ქაირიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, სახალიფატო კონგრესზე მონაწილეობაზე უარი სთქვეს მაჰმადიანთა მთელ რიგ ორგანიზაციებმა, მათ შორის ინდოეთის სახალიფატო საზოგადოებამ, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს პანისლამურ ორგანიზაციას წარმოადგენს და ინდოეთის მთელ მაჰმადიანობას აერთიანებს. უარი სთქვეს აგრეთვე ოსმალეთის, მალაის არქიპელაგის, სირიის, პალესტინის და ერაქის მაჰმადიანებმა. უარს უმთავრესად ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ ეგვიპტე ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება და ამიტომ ის არ არის ხელსაყრელი ადგილი სამაჰმადიანო კონგრესის მოსაწვევად. თვით ეგვიპტეშიც მაჰმადიანთა მთელი რიგი ორგანიზაციები და ოპოზიციაში მყოფი ყველა პარტიები კონგრესის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

მემაღაროები

(ძლევად ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს)

ვით ჭიანჭველა, მიწის მკერდში მივძვრებით ყველა,
ვარღვევთ ქვა ნახშირს ბარითა და წერაქვით ხელში,
მიწის წიაღი მზურღავ ბუღით წინ გვიძღვის ხვრელად
და ვიკეცებით სვლის სიმძიმით ოთხფეხად წელში.

გზას ვერ გვიზღუდავს ქვის ზღურბლების წიაღი, ბნელი,
მას ჩვენ მივიკვლევთ გაძინთული ცეცხლის ჭაღებით,
ჩვენ წინ იხსნება ცივ სიცილით პირღია ხვრელი,
შუბლ შეჭმუხნილად გადმოკეცილ სველი თაღებით.

დავქსელეთ ჩვენ აქ ეს პირ ვიწრო ლაბირინტები,
ვით შავი სისხლით დალექილი ძარღვები ყოფნის,
და შევიყვარეთ ჩვენ ეს მწველი თვალის ბინდები,
ფხვიერი სუნთქვა შავის მტვერის, ჟანგის და ოფლის.

შეხავრებული ხმელი სასა, მშრალი ცა, პირის,
კბილების ცემით დაღეჭილი კევივით ნერწყვი,
გახურებულ მკერდს დინჯი შუბლი, რომ ჩამოსტირის
და იწვის ტანი დაფშვნილი ქვის მცხრილავი სეტყვით.

ამოგინგლული უსუფთაოდ მჭვარტლსა და მურში,
როგორც ფუტკარი, გამრჯელი და მოუსვენარი,
სიკვდილის სიო რომ ჩაგვძახის სულ ცივად ყურში
და გვიმზერს მისგან დაწერილი შავი სცენარი.

სადღაც, ცივ სიღრმით მოღრიჭინებს მძიმე რონოდა,
აწვება მკერდი, დასეტყვილი ცეცხლით მსუნთქავი,
ვით მიწის გულის ამოქშენა სიღრმის ბოლოდან,
ეს გული კაცის, ცეცხლით ჯერ მთლად დაუთუთქავი.

ეჰ, ეს გულები!.. მილიონი გულების ცემა,
აქ გულშავ ხნულში ჩანერგილი „თესლი კეთილი“,
შავის ნაყოფის სხმით დასჯილი, ვით ანათემა,
ჯოჯოხეთიდან ამომტყდარი, ამოხეთქილი.

სათუთი გრძნობა, მზის ტაიჭზე გადაზნექილი,
შავ სამყაროში, აქ უცნობი და ურგებია,
ეგ წვის გვირაბი, შავის ლაქით ამოლექილი,
მხოლოდ ჩვენსავით „ბრმებისათვის“ გასაგებია.

„ყოფნის მუდოებს“ მოგვაქვს სიღრმით ცეცხლი და ძალა,
საკუთარს ძარღვებს ვაგრეხთ მაზე გამძლე ჭაპნებათ,
გვიდგია მასში მაზუთივით ჯანჯი და წალა
და თავზე გვაწევს ქვა-სიპები უდრეკ საბნებათ.

ჩვენ გვენატრება ამ დახუთულ სივრცის გაქარვა,
ჩვენც გვაქვს სურვილი მზის სიცილზე ჩამოსვენების,
მომქანცველია ულეველი ეს მიწის ბარვა.
გულში კი ცეცხლი გარხევისა და გაჭენების!..

ეი, თქვენ, იქ, რომ მიწის პირზე დაიარებით,
ელექტრონებით, რომ დაგაფრენთ რკინის რონოდა,
თქვენ, იცით? ეს თქვენ ჩვენ გიბოძეთ რა იარებით,
რა ტანჯვით, რა წვით ამ სინესტის სიღრმის ბოლოდან!..

ფუნთუშა ხელებს, რომ იფშვენტ შენ, დიასახლისო,
და ელექტრონის უთოთი, რომ ასწორებ მიტკალს,
დაფიქრებულხარ, თუ ამ სითბოს ვინ მიგზავნისო,
და მადლიერი სიტყვა ჩვენზე თუნდ ერთიც გითქვამს?!.

შენ, ბედნიერო ბანკის ვითრხავ, ძუნწო რანტიე,
ელსადგურებით, რკინის გზებით, რომ ითრევ ლუკმას,
იცოდე, ერთ დღეს ამოვალთ და არ გაპატიებთ,
რომ ჩვენ აქ მეშვერობთ ამ კუპრ-ცეცხლში, შენ კი სჭამ უქმად!..

თქვენ მოსეირნეთ ქარავნებო ტურფა ბაღებში,
გაჩირაღდნებულ ელვოსის რომ გაცვივათ ჩქერი,
თქვენ იცით, რომ ამ გულ-ჩახუთულ ქვიან თაობში

შენ იქ, ჩემსავით გამურულო, მაგრამ მაინც მხნევ
რკინის მანქანის მმართველო, თუ პიროსფარეშო,
შენ იცი , მე აქ რა ძალას და სიყრმის ჯანს მართმევ,
რომ ამ ნაძარცვავ-ნაქურდალით შენ ითარეშო?!.

თქვენ კი, ბატონო პატრონებო ამ ცივ ხვრელების,
რომლის სინესტე და სიმყრალე არც გაგიყნოსავთ,
ჰგრიხეთ და ჰქსელეთ ეს ძარღვები ჩვენი ხელების,
ვიდრე ცოლშვილი ამ ქსოვილით არ შეგიმოსავთ!..

მიიღეთ ჩვენგან ეგ შავ ტვირთთა ამანათები
და ის ბრჭყვიალა ლითონებზე იქ გადასცვალეთ,
სტენეთ მით რკინის სკივრები, თუ ტყავის ჩანთები,
და მით ცხოვრებას ნექტარი მთლად გამოაცალეთ...

მიირთვით! დასტკბით!.. ჩვენ გვეყო აქ მჭვარტლი და წალა,
და პირუტყვივით მოხრილ ქედზე მძიმე უღლები,
გთხოვთ, პურით მაინც დაგვიბრუნოთ დაცლილი ძალა,
შრომის კლდეს, რომ კვლავაც მოვუხაროთ მძიმედ მუხლები!..

რაო? უარი გვტყორცნეთ ტლანქად თავის გაქნევით
და დაგვაწყვეტეთ გულის მჭერი ყველა მავთული?
მაშ თუ ასეა, ჩვენ არ წავალთ სიღრმისკენ ქვევით,
აღარ გვწამს ჩვენ ეს გზა, ვიწრო და უკუღმართული!..

უკანასკნელად ჩამოვკრავთ აქ კლდეზე წერაქვებს,
უკანასკნელად ავაჟღერებთ რკინის რონოდას
და ჩვენს შავ ძალებს შურისგებათ ამოვალაგებთ,
ამ დახვრელილი ხვეულების სიღრმის ბოლოდან...

მაშინ მოისმენთ თქვენ ჩვენს მძიმე ამოგმინებას,
ჩვენს მძლე სიმღერებს ნახშირის და პურის კილოზე!..
მაშ, რა გეგონათ? საზღვარი აქვს ჩვენს მოთმინებას
და ჩვენს საწყლურს ხვედრს, სასაცილოს სასაცილოზე...

ჩვენ არ გეგონოთ ტყვიის მსმელნი, ან მბეჭდავები,
ხის მკეთებელნი, თუ მწებავენი ფაფუკ მაყაოს,
ჩვენ ქვის მთხრელნი ვართ: კლდეებს ზნექენ ჩვენი მკლავები,
არ არის ძალა.—ჩვენ შეგვაკრთოს, თუ შეგვაკაოს!..

მოვევლინებით თქვენს სამყოფებს მიწის რისხვებათ,
ვით მთის ნაპრალით ამომსკდარი ცეცხლის მფრქვეველნი,
შემოვესევით ზღვის ზვირთების ულევ რიცხვებათ
და არ დაგვრჩება არაფერი დაურღვეველი!..

ზღვა, რომ ჩადგება, სტიქიონი გულს რომ ჩაითხრობს,
ჩვენ მზეს ხვრელებშიც თან ჩავიტანთ გულით და უბით,
და შემდეგ... შემდეგ ხვრელიც იმ მზეს აღარ ჩაიქრობს,
ჩვენ მოვრთავთ იმას მარჯნის ფერი ზუჩით და ჯუბით...

ვით ჭიანჭველა, ჩვენ მიწისკენ კვლავაც ვივლით ყველა,
რომ ქვანახშირი ვფშვნათ ბარით და წერაქვით ხელში,
მაგრამ მაშინ გზაც არ გვექნება აქ ამ ბნელ ხვრელად,
არამედ ვივლით ჩვენივე მზის საბრძანებელში...

გზას ვერ ჩაგვიხშავს ქვის ზღურბლების წიაღი, ბნელი,
არ დაგვჭირდება მისი კვლევა სუსტი ჭაღებით,
ჩვენს წინ სიცილით გულს გაიღებს ხალვათად ხვრელი,
მკერდ-გაწეული და მაღალი, ვით ცა,—თაღებით.

სიცოცხლის ძარღვშიც აქ სხვა სისხლი ანაკადდება,
ჩამოგვეცლება დღეს ეს ფშვნილი თვალის ბინდები,
და გამქარავად სულ სხვა ბინდი აღალადდება,
რომ დასუფთავდეს მჭვარტლიანი ლაბირინთები...

მაშინ მოგვენათვლენ ჩვენ არა ბრმა „შავ მუდოებით“,
არამედ გზების მკვლევარებათ ფოლადის დროსი,
არა მჭვარტლიან და ძინძგლიან შავ ურდოებათ,
არამედ რაზმად საპატიო „შავი ოქროსი“!..

ნ. ზომლეთელი.

დღეს იხსნება ამ/კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გამოფენის მნიშვნელობა

(საუბარი ამხ. შირვანსკისთან)

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარემ, ამხ. **ალი შირვანსკიმ** განაცხადა:

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების ბევრ ხელმძღვანელს დღემდე არ ჰქონია კარგად გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი დაწესებულეთხვევა, როდესაც ჩვენი დაწესებულებები საზღვარგარეთიდან იძენდენ სამეურნეო იარაღებს წინასწარ გამო[illegible]; მათ არც კი იცოდენ, გამოდ[illegible] თუ არა ესა თუ ის იარაღი-მანქანა [illegible] ქვეყნისათვის.



„ფიატ“-ის პავილიონი.

ამ უცოდინარობის შედეგი არის ის, რომ ხშირად რომელიმე რაიონში გაგზავნილი იარაღი ადგილ-მდებარეობის გამო გამოუსადეგი ხდებოდა და მოუხმარებლობით იჟანგებოდა; ამას გარდა ძნელდება სოფლად გაგზავნილ და ხმარებაში გაფუჭებულ მანქანის შეკეთება.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, რომელიც დღეს იხსნება თბილისში, უნდა გამოარკვიოს, თუ სახელდობრ რომელი სისტემის ტრაქტორი, გუთანი და სხ. მანქანა-იარაღია გამოსადეგი ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებისათვის და მისი რაიონებისათვის.

ჩვენში ყოველწლიურად მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე სულ უფრო იზრდება. 1924—25 წ. განმავლობაში ამიერ-კავკასიაში საზღვარგარეთიდან შემოიტანეს 1.200.000 მანეთის სას-სამ. იარაღ-მანქანები, ხოლო მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში კი მილიონამდე მანეთის.

გამოფენაზე წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის ყოველი დარგი, როგორიცაა: ბამბის მეურნეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, სატყეო მეურნეობა, მეფუტკრეობა, მელიორაცია, საგზაო მშენებლობა, ელექტროფიკაცია, მესაქონლეობა, მერძეობა, შინამრეწველობა, მეთევზეობა, მენადირეობა, სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გადაგზავნა და სხვა.

გამოფენაზე მონაწილეობს მთელი თავისი ექსპონატებით საბჭოთა კავშირის სამანქანო მშენებლობა სინდიკატ „სელმაშის“ სახით.

გამოფენაზე მონაწილეობს უცხოეთის ას-ოცი ფირმა. ეს ფირმები არიან გერმანიის, ავსტრიის, შვეციის, ინგლისის, ბელგიის, ჩეხო-სლოვაკიის, იტალიის, ფინეთის და სხვ.

გამოფენაზე ფართოდ ეწყობა საექსკურსიო საქმე. ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი გამოფენაზე გზავნის 3.500 გლეხს. ამას გარდა სხვადასხვა ორგანიზაციებიც გამოგზავნიან ექსკურსანტ-გლეხებს. მოეწყობა მუშების, წითელ-არმიელების, მოწაფე-ახალგაზრდობის და სხვათა ექსკურსიები, რომელნიც უფასოდ დაათვალიერებენ გამოფენას.

რკინისგზებზე ექსკურსანტებს მიეცემათ ბილეთებზე 50 პროც. შეღავათი.

გამოფენა გაგრძელდება დაახლოვებით ორი თვე.



კრუპის ფირმის პავილიონი

გამოფენა ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის განვითარებას

(საუბარი ამხ. ივანიანთან).

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხი დიდი ხანია დასმულია ამიერ-კავკასიის და ცალკე რესპუბლიკების ორგანოების ყურადღების ცენტრში.

უკანასკნელ დრომდე საკითხი ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების მარკის და სისტემის შერჩევის შესახებ, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან ამიერ-კავკასიის პირობებში, მოწესრიგებული არ ყოფილა სათანადო ორგანიზაციების მიერ.

იყო შემთხვევები, როდესაც ამიერ-კავკასიაში შემოჰქონდათ ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც გამოსადეგი არ იყო ჩვენს პირობებში სამუშაოდ; ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცნობდით შემოტანილი მანქანების ყველა თავისებურებებს.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც დღეს იხსნება, დაანახვებს აგრონომიულ ძალებს, სათანადო ორგანოებს და გლეხებს [illegible]ლურ მიღწევებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების საამშენებლო მრეწველობის სფეროში.

გამოფენის მნიშვნელობა კიდევ იმაშია, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდა საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ იმ მანქანების ტიპი, რომლებიც ჩვენთვის საჭიროა.

ამასთანავე ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა მრეწველობა გაეცნობა საზღვარგარეთულ ტექნიკას, გამოიყენებს იქაური მანქანების ღირსებას საკუთარი წარმოების გასაუმჯობესებლად და გააძლიერებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების დამზადებას, რითაც შემცირდება ჩვენთვის საჭირო მანქანა-იარაღების შემოტანა საზღვარგარეთიდან.

გამოფენა და „ზაკსელმაშ“-ი

(საუბარი „ზაკსელმაშ“-ის გამგეობის თავმჯდომარე—ამხ. ი. წივწივაძესთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს „ზაკსელმაშ“-ის გამგეობის თავმჯდომარე— ამხ. **წივწივაძემ** ამიერ - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ამიერ - კავკასია უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, სადაც განვითარებულია მრავლი სპეციალური და ტექნიკური კულტურები. აქ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ სისტემაზე გადასვლა ნაკარნახევია არა მარტო ქვეყნის ბუნებრივი პირობებით, არამედ ჩვენი გლეხობის სოციალურ - ეკონომიური მდგომარეობითაც. მაგრამ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციისათვის საჭიროა სათანადო საწარმოო თანხები. იმპერიალისტური ომიდან დღევანდლამდე ჩვენს გლეხობას საშუალება არ ჰქონდა განეახლებია თავისი ინვენტარი, რომელიც საბოლოოთ გაცვდა.

მეორეს მხრივ სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა მეტად წინ წავიდა და მან ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. გაჩნდა ტრაქტორები და სხვადასხვა გაუმჯობესებული მანქანები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად. ჩვენმა საბჭოთა მრეწველობამაც ჩქარა იწყო განვითარება სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ახალი მიღწევები საშუალებას იძლევა გაუმჯობესებული სასოფლო - სამეურნეო მანქნების და იარაღების გამოყენების გზით დაჩქარებული იქნეს სოფლის მეურნეობის და სასოფლო - სამეურნეო მრეწველობის განვითარების ტემპი.

მაგრამ ახალი მანქანების გამოსაყენებლად ამიერ-კავკასიის სხვადასხვაგვარ პირობებში საჭიროა მათი შესწავლა პრაქტიკული გამოცდის გზით. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო გამოფენას, რომელიც დღეს იხსნება დიდუბეში.

გამოფენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სწორეთ ეხლა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პროგრესთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ სოფლის მეურნეობის საერთო აღორძინებას და გლეხობის ლტოლვას გაუმჯობესებულ იარაღებისაკენ.

გამოფენას განსაკუთრებული ინტერესი და მნიშვნელობა ეძლევა ამიერ - კავკასიისათვის კიდევ იმიტომ, რომ ის იხსნება იმ დროს, როდესაც „ზაკსელმაშ“-ი გლეხების ხელისმოწერას აწარმოებს სასოფლო - სამეურნეო მანქანებზე და იარაღებზე.

გამოფენა გაუადვილებს ხელისმომწერ გლეხებს ერთი რომელიმე ტიპის მანქანების არჩევას, „ზაკსელმაშ“-ს კი ხელის მოწერის კამპანიის ჩატარებას.

გამოფენაზე უმთავრესად წარმოდგენილია საზღვარგარეთელი ფირმების ექსპონატები. მოკავშირე რესპუბლიკების ქარხნების და ტრესტების ექსპონატების გაცნობით ჩვენი გლეხობა დარწმუნდება, თუ როგორ სწრაფად იზრდება და მტკიცდება ჩვენი მანქანების საამშენებლო მრეწველობა. ამიერ - კავკასიის მრეწველობის ექსპონატების უქონლობა, გამოფენაზე კი დააჩქარებს საკითხს ჩვენში სასოფლო - სამეურნეო მანქანების საამშენებლო მრეწველობის შექმნის შესახებ და ამით დღევანდელ გამოფენას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

გამოფენაზე „ზაკსელმაშ“-ი გამოდის როგორც ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მთელ ვაჭრობას სასოფლო - სამეურნეო იარაღებით და მანქანებით; ის მიიღებს შეკვეთებს ექსპონატების შესყიდვაზე [illegible] დაინტერესებულ ორგანიზაციებ[illegible] გამოფენაზე გამოიტანს აგრეთვე იმ ფირმების ექსპონატებს, რომლებიც უშუალოდ არ გამოდიან გამოფენაზე.

„ზაკსელმაშ“-ი გამოფენაზე გამოდის შემდეგი ლოზუნგით: „ყველაფერი, რაც საჭიროა ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, შეიძლება იაფად და სწრაფად შეძენილი იქნეს „ზაკსელმაშ“-ში.

უცხოეთის ფირმების წარმომადგენლები გამოფენის შესახებ

ფორდის წარმომადგენელი —ინჟ. კოლინსი

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე დასასწრებლათ ფორდის ფირმის მიერ გამოგზავნილია დელეგაცია 5 ინჟენერის შემადგენლობით; დელეგაციას მეთაურობს ინჟ. **კოლინსი**.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია მოაგვაროს ფორდის მონაწილეობა ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

ამასთანავე დელეგაციას დავალებული აქვს გამოიკვლიოს ხატრაქტორო ბაზების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და ამიერ-კავკასიაში. დელეგაციამ უკვე დაათვალიერა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონები—მოსკოვი, როსტოვი, ეკატერინოდარი, ტაშკენტი და სხვა.

ბ. კოლინსმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამას გარდა, მათ დავალებული აქვთ გამონახონ ხელსაყრელი და ეკონომიურად შესაფერი ადგილი ტრაქტორების ქარხნის და მთელ რიგ სახელოსნოების მოსაწყობად საბჭოთა კავშირში.

ჯერ-ჯერობით მათ ასეთ ადგილათ მიიჩნიეს ვოლგის მხარე (პოვოლოჟიე) და ჩრდილოეთ კავკასია.

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე ფორდის ფირმა წარმოდგენილი იქნება 50 ფორძონით და რამოდენიმე საბარგო ავტომობილით. ყველა ფორძონები და საერთოდ გამოფენაზე მონაწილე ყველა ამერიკული ფირმების ექსპონატები თბილისში მიღებული იქნება ამ დღეებში. ექსპონატები ბათომში უკვე მიღებულია, საჭიროა მხოლოდ მათი გადმოზიდვა თბილისში და პავილიონებში დალაგება.

ფორძონები გამოფენაზე ნაჩვენები იქნება მუშაობის დროს; მათთან ერთად ამუშავებული იქნება მისაბმელი იარაღები—გუთნები, ცელები, საცეხვავი მანქანები და სხვა სასოფლო სამეურნეო ინვენტარი, რომლებიც მუშაობენ ფორძონის საშუალებით.

ფორძონებით სარგებლობა საშუალებას მისცემს ამიერ-კავკასიას სავსებით გაატაროს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

„ჰენრიხ ლანც“-ის წარმომადგენელი ინჟ. ტაგერი

გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი ფირმის „ჰენრიხ ლანც“-ის წარმომადგენელმა—ინჟ. **ტაგერმა**, ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— ჰენრიხ ლანცის ქარხნები დიდი ხანია იცნობენ საბჭოთა კავშირს; ამ ქარხნების საცეცხვავი მანქანები შემოღებულია სახმარებლად საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეებში; ამას გარდა, შემუშავებულია ჩვენ საცეხვავი მანქანების განსაკუთრებული ტიპი ჩრდილოეთ კავკასიისათვის.

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე ჩვენი ფირმა წარმოდგენილი იქნება მთელ რიგ უბრალო და რთულ საცეხვავი მანქანებით და გაუმჯობესებული სისტემის ლოკომობილებით—12 ძალიანი ტრაქტორი „ბულდოგ“-ი და 36 ძალიანი ტრაქტორი—„ფელდანგ“-ი.

ამას გარდა ჩვენი ფირმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ელექტრო-ტრესტთან ერთად გამოფენაზე აწყობს სოფლის ელექტრო-სადგურს; ამასთანავე სადგურის მამოძრავებლათ გამოყენებული იქნება პატარა ტრაქტორი „ბულდოგ“-ი. სადგურის მოწყობას სხვა დანარჩენი მანქანებით და აპარატებით კისრულობს სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი.

„ატლას-დიზელ“-ის წარმომადგენელი

შვეციის ფირმა „ატლას-დიზელ“-ის წარმომადგენელმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

შვეცია ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილია 8 ადიდი ფირმით; მათ შორის ცალკე პავილიონი აქვს ელექტრომამოძრავებელის და მოწყობის დამამზადებელ ფირმას—„ატლას-დიზელ“-ს.

ამას გარდა განზრახულია გამოფენაზე ცალკე პავილიონი მოაწყოს აგრეთვე შვეციის მეორე ფირმამ—„ალფ-ლავალ“-მა.

„ატლას-დიზელ“-ის მიერ გამოფენის საჭიროებისათვის და აგრეთვე სადემონსტრაციოთ მოწყობილია ელექტრო სადგური. მეორე ფირმა —„ალფა-ლავალ“-ს განზრახული აქვს გამოფენაზე მოაწყოს სამაგალითო სარძეო მეურნეობა. აღნიშნული ფირმის პავილიონში გამოფენილი იქნება რძის მეურნეობაში საჭირო უკანასკნელი სისტემის გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები.

ამ იარაღების გამოყენება ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში შესამჩნევად გააუმჯობესებს ადგილობრივი რძის მეურნეობის პროდუქციის ღირსებას.

თათბირი უცხო ფირმების წარმომადგენლებთან

გუშინ დილით სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილე უცხოეთის ყველა ფირმების წარმომადგენლები გამოფენის მომწყობ კომიტეტის მიერ მიწვეული იყვენ თათბირზე, რომელზედაც განხილული იქნა ყველა ძირითადი და პრინციპიალური საკითხები გამოფენის მომწყობ კომიტეტსა და უცხოეთის ფირმების წარმომადგენლობებს შორის.

გამოფენის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შირვანსკიმ აცნობა თათბირის დამსწრეებს ექსპონატების გაყიდვის წესი და მათი გასასყიდი ფასების დაწესების აუცილებლობა; ამხ. შირვანსკიმ აცნობა აგრეთვე უცხო ფირმების წარმომადგენლებს კრედიტის პირობები, რომელიც გამომუშავებულია გამოფენის მომწყობ კომისიის მიერ.

თათბირმა მოიწონა გამოფენის მომწყობ კომიტეტის ყველა წინადადებები. უცხო ფირმების წარმომადგენლები დაეთანხმენ გამოფენის მომწყობ კომიტეტის წინადადებას, რომ ექსპონატების გაყიდვა უნდა ხდებოდეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით და გრძელვადიანი კრედიტით.

რაც შეეხება ზედნადებ და ყოველგვარ სხვა დამატებით ხარჯებს, თათბირის მიერ სასურველად იქნა ცნობილი მათი მაქსიმალური შემცირება იმ მიზნით, რომ მანქანები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს მყიდველისათვის.

გამოფენის მომწყობმა კომიტეტმა წინადადება მისცა უცხო ფირმების ყველა წარმომადგენლებს ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაონ ექსპონატების გასასყიდი ფასები.



„ჰენრიხ ლენც“-ის ფირმის პავილიონი.

ამხ. ლუკაშინის, ავაქოვისა და ივანიშვილის დეპეშა

თბილისში სასოფლო-სამურნეო გამოფენის გახსნის გამო ბერლინიდან მიღებულია ამხ. **ლუკაშინისა, ავაქოვისა და ივანიშვილისაგან** შემდეგი დეპეშა:

„საზღვარგარეთის ტექნიკის და მეთოდების გადმონერგვა, ჩვენი ქვეყნის საერთო ინდუსტრიალურ განვითარების საფუძველი და წინასწარი პირობაა. ამ ტექნიკას სოციალური წყობილების სამსახურში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გადასაწყვეტად თუ ვინ ვის აჯობებს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა რიგში ეხლანდელი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სულ მალე მოგვცემს რეალურ შედეგებს ჩვენი გლეხობის რამოდენიმე მილიონიან მასების მეურნეობის აღორძინებლად“.

გლეხების ინტერესი გამოფენისადმი

თელავი, 29 მაისი. თელავის სამაზრო აღმასკომს აუარებელი გლეხობა აწყდება, რომლებიც ამიერ-კავკსიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წამოსვლას თხოულობენ.

ასეთივე თხოვნები მოდის მაზრის სხვადასხვა ადგილებიდან. შემოტანილია 200-დე განცხადება. ცენტრმა მაზრას მისცა სულ 50 შეღავათიანი ადგილი.

გამოფენის ქრონიკა

„გზის მაჩვენებელი“

გამოფენის მომწყობმა კომიტეტმა შეადგინა გამოფენის გზის მაჩვენებელი. წიგნში დაწვრილებით წერია, თუ სად რომელი პავილიონია მოთავსებული და რა ექსპონატებია გამოფენილი.

წიგნში აგრეთვე აღნიშნულია, თუ რამდენი ფირმა იღებს მონაწილეობას გამოფენაზე.

წიგნი გასაყიდათ გამოვა დღეს

თეატრი

გამოფენის ტერიტორიაზე მოწყობილია საზაფხულო თეატრი-კაბარე და სასადილო, რომელთა გახსნა მოხდება დღეს.

თეატრში მოწვეული არიან მოსკოვის და ლენინგრადის თეატრების მსახიობები და თბილისის სახელმწიფო ოპერის ბალეტი სერგეევის მეთაურობით.

საღამოობით გამოფენაზე დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი სახალხო არტისტ ვანო ფალიაშვილის დირიჟორობით.

პრესის წარმომადგენლები

გამოფენის გახსნაზე დასასწრებლად თბილისში ჩამოვიდენ მოსკოვის და ლენინგრადის გაზეთების წარმომადგენლები.

რამდენ ხანს გასტანს გამოფენა

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გასტანს დაახლოებით ორ თვეს.

გამოფენაზე მიღებულია და განაწილებულია ყველა ფირმების ექსპონატები, გარდა ამერიკული ფირმების ექსპონატების ერთი ნაწილისა.

საბჭოთა კავშირში

მუშათა და გლეხ-კორესპონდენტთა კონგრესი

ამხ. ტროცკის სიტყვა

მოსკოვი, 28 მაისი. მუშკორთა და გლეხკორთა თათბირზე ამხ. ტროცკიმ სიტყვა წარმოსთქვა.

„ყველაფერს, რასაც ჩვენ ამ ეპოქაში ვაკეთებთ,—სთქვა მან—ვაკეთებთ, ასე ვსთქვათ, შავად და მხოლოდ ვიწყებთ მუშაობას მის გადასათეთრებლად. თუ გნებავთ, ჩვენ თეთრად გავწიეთ მუშაობა მხოლოდ თვითმპყრობელობის და თავად-აზნაურულ, ბიუროკრატიულ წესწყობილების გასანადგურებლათ. ეხლა აღმშენებლობას კი ჩვენ მხოლოდ შავად ვაწარმოებთ. მუშკორსაც და გლეხკორსაც ვურჩევთ გადაათეთროს ის, რაც დაუწერია, შეამოწმოს ფაქტები და დანაწერი. მეურნეობის დარგში ჩვენ შესწორებების შეტანა მოგვიხდება შავში, პირველ ტექსტში.

ჩვენ ვიბრძვით შრომის ნაყოფიერების გადიდების, მომჭირნეობის, პროდუქციის ხარისხისათვის. სამი ხაზით ჩვენ სხვადასხვა მხრიდან მივდივართ ერთ და იმავე ამოცანისაკენ—ჩვენს პირობებში მიზანშეწონილ სოციალისტურ მეურნეობის მოწყობისაკენ.

რაკი სახელმწიფო მრეწველობას თავის ხელთ უპყრია მეურნეობის ყველა დარგი, ყველა სართული, შრომის ნაყოფიერება ზედასართულებში დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხისაგან ქვედა სართულებში. თუ ნართავი ცუდია, ფეიქარი ნაკლებ ქსოვილს მოგვცემს, თუ ლითონი ცუდია, გაკეთებული მანქანაც არაფრად ივარგებს.

აი, ამიტომ ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება ბრძოლა მომჭირნეობის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხისათვის. საჭიროა მხოლოდ ყველა ამ მხარეების ერთმანეთთან კარგად დაკავშირება. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა ისეთ პირობებში, როცა მეტოქეობას ადგილი არ აქვს. მაგრამ ჩვენ ამას განვახორციელებთ საზოგადოებრივ და სახელმწიფო კონტროლის შეწევნით.

აი, სწორედ აქ პირველი ადგილი პრესას უნდა მივაკუთვნოთ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ყველაზე უფრო საგრძნობი შედეგები პრესის ჩარევამ მოიტანა. 6 თვის განმავლობაში 760 საქმე გამოვარკვიეთ მუშკორების

სოციალისტური მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა მასების ჭეშმარიტი რევოლიუციონური კლასიური დემოკრატიის ზრდის პირობებში, იმ მშრომელთა მასებს, რომელნიც ცოცხლად, შეგნებულად და დამოუკიდებლათ ეხმაურებიან ყოველგვარ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას“.

მოსკოვი, 29 მაისი. მუშა და გლეხ კორესპონდენტთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე კედლის გაზეთების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლაზიანმა. მან აღნიშნა, რომ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიათა ამოცანებს შეადგენს: დარაზმვა გაზეთის გარშემო ყველა იმ მუშებისა, გლეხებისა და მოსამსახურეთა, რომლებიც სწერენ, განსაკუთრებით ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხების გაშუქება, საქმიანი კავშირის დამყარება მკითხველებთან, ენის გამარტივება და სხვა.

29 მაისს დილით, ამხ. გუსევმა გააკეთა მოხსენება მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის კავშირის შესახებ ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მუშათა გლეხთა ინსპექციასთან.

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ჩაბმა გაზეთის საშუალებით კონტროლისა და ინსპექციის საქმეში, —სთქვა მან—ნიშნავს მუშათა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის დაახლოებას მუშგლეხინთან. დაე, მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა გადაიქცეს სკოლათ, საზოგადოებრივ მუშაკთ ასწავლონ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის საქმე. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ახალი მუშაკები უნდა ამოკრიბოს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა წრეებიდან, რადგან ისინი არ არიან დაავადებული მოხელეთა სულის კვეთებით და ბიუროკრატიზმით.

საჭიროა ადგილობრივ გაზეთებთან მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა თათბირებზე ხშირად იკითხებოდეს მოხსენებები მუშათა და გლხთა ინსპექციის მუშაობაზე. საჭიროა რათა მუშათა და გლეხთა ინსპექციები იღებდენ პასუხს კორესპონდენტთა შენიშვნებზე და იყენებდენ ამ უკანასკნელთ სამუშაოთ გამოკვლევების დროს.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ზუევის

ავიოქიმი და ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვი, 29 მაისი. 24 მაისს ამხ. რიკოვის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რუსეთის ავიაქიმის კავშირის პრეზიდიუმის სხდომა.

ავიაქიმის ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. უნშლიხტმა. მოხსენების შესახებ გამართულ კამათში აღნიშნული იყო და მძიმე დაბრკოლება, რომელიც საზოგადოების მუშაობას აფერხებენ.

კამათის დროს ამხ. რიკოვმა სთქვა:

„საზოგადოების მუშაობას საჭიროა საფუძვლად დაედვას გლეხების აქტიობა. ჩვენი საზოგადოების წევრებად უნდა იყვნენ ისინი, ვისაც შეგნებული აქვს იმ ამოცანების მთელი პასუხისმგებლობა და სიძნელე, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას ჩვენს მეურნეობაში და ქვეყნის თავდაცვით მშენებლობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს აშენების და მისი დაცვის ამოცანა მეტის-მეტად დიდი და ძნელი ამოცანა არის.

ბიუროკრატიულ ზომებით ასეთ საქმეს გვერდს ვერ შემოუვლით „კაზიონშჩინას“ და ჩინოვნიკობას ბოლო უნდა მოეღოს. ამ გზაზე ჩვენ დაგვაყენებს ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების განმტკიცება. ის, [illegible] ასამარებს საბჭოთა საზოგადოებრივ[illegible] —ასამარებს ჩვენს მომავალს. რამოდენიმე ნაკლულოვანების მიუხედავათ, საზოგადოებას გაუკეთებია დიდი საქმე.

ამხ. კამენევის მოხსენების შემდეგ 1926 წლის გადაფრენების შესახებ, ავიაქიმის კავშირის თავმჯდომარის მოადგილეთ არჩეულ იქნა ამხ. ვოროშილოვი.

კურს დამთავრებულნი სვერდლოველები

მოსკოვი, 29 მაისი. 28 მაისს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში მოხდა სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე გამოშვება.

სვერდლოველთ პირველად მისალმა კალინინი, რომელმაც სთქვა, რომ ფრთხილად და მუყაითად უნდა მოვექცეთ იმ კულტურულ მონაპოვრებს, რომელიც მოგვცა უნივერსიტეტმა, მაგრამ ამავედროს მასსებთან კავშირი უნდა შევინარჩუნოთ და არ ვიქვეხნოთ თავიანთი კულტუროსნობით.

ამხ. კალინინის შემდეგ გამოვიდა ამხ. ზინოვიევი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ინგლისისა და პოლონეთის უკანასკნელ ამბებზე.

„სვერდლოველებს შეიძლება ვუსურვოთ, დაამთავრა ამხ. ზინოვიევმა, რომ მათ არ დაჰკარგონ საერთაშორისო თვალსაზომი, გაიგონ რა ხდება დედამიწის ზურგზე, და დარჩენ კომუნისტურ ინტერნაციონალის ჭეშმარიტი მებრძოლნი“.

შემდეგ სტუდენტებმა დიდის ყურადღებით მოისმინეს ამხ. ტროცკის მისალმება, რომელმაც აღნიშნა, რომ ახლად კურსდამთავრებულ სვერდლოველების სახით პარტიას შეემატა ახალი, დიდი თეორიტიული მომზადების მქონე მებრძოლები. ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ ეხლა, [illegible] სამუდამოთ დაკარგულია, [illegible] განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ეძ[illegible] მარქსის საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის“.

შემდეგ გამოსულმა ამხ. უგლანოვმა მადლობა გამოუცხადა სვერდლოველებს იმ დიდი მუშაობისათვის, რომელიც მათ აწარმოეს მოსკოვის ორგანიზაციებში.

„სვერდლოველებმა—ამბობს ამხ. უგლანოვი, გვიჩვენეს, რომ ისინი არიან არა მარტო კარგი, მოხერხებული პარტიული მომუშავენი, არამედ მაგარი ბოლშევიკებიც.“

ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეხვდენ ამხ. ბუხარინს.

ამხ. ბუხარინმა აღნიშნა ის მოვალეობანი, რომელთაც პარტია აკისრებს სვერდლოველებს. ამხ. ბუხარინი შეჩერდა იმ დაბრკოლებებზე, რომელთაც განვიცდით ამჟამად ეკონომიკის უბანში, და განაცხადა, რომ არ შეიძლება მათი მიჩქმალვა.

„თქვენ მუშაობის დროს შეხვდებით ამ დაბრკოლებებს და ყოველი თქვენთაგანი მზად უნდა იყოს. თქვენ რამდენიმედ ჩვენი პარტიული მუშაკების ავანგარდს წარმოადგენთ. თქვენ გაქვთ დიდი სისტემატიური მომზადება და ამიტომ ბევრი მოგეთხოვებათ. თქვენ უნდა შეიტანოთ ახალი ნაკადი ყოველდღიურ მუშაობაში და ახალი ძალებით გაანახლოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები“.

შემდეგ სვერდლოველებს მიესალმენ ამხ.

„კომუნისტი" ახალ მანქანაზე

დღეიდან „კომუნისტი" იბეჭდება ახალ საროტაციო მანქანაზე

თანამედროვე სტამბა

(თარგმანი გერმანულიდან)

სტამბა ერთი საინტერესო მოვლენაა თანამედროვე ტეხნიკისა და მეცნიერების თვალსაზრისით. ზოგიერთს ალბათ უკვირს, როგორ არის შესაძლებელი, რომ ორიოდე საათიც არ გასულა, რაც ესა თუ ის ამბავი მოხდა, გაზეთში კი ის უკვე მოთხრობილია და ფოტოგრაფიულად დასურათებული. გაზეთის დასაწყისი და თავი რედაქცია არის. რედაქციის მიერ ხელნაწერები და ნახაზები ტეხნიკურ განყოფილებაში შედის, უწინარეს ყოვლისა საამწყობო ნაწილსა და ცინკოგრაფიაში. საწყობი მანქანა ერთი უშესანიშნავესია თანამედროვე ტეხნიკაში და შრომის ნაყოფიერების მხრივ ის რვა კარგად გაწვრთნილ ასოთ-ამწყობს სჯარბობს. აქციდენციების ამწყობი ერთად ერთი კაცია ამ ხელობაში, რომლის შეცვლა მანქანას არ ძალუძს. ცინკოგრაფია სურათებსა და ნახაზებს ბეჭდავს ცინკის ფიცარზე. ეს პროცესები მოკლე ხანში თავდება და გაზეთის გვერდიც დაწყობილია. შემდეგ იწყება ახალი მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო პროცესი. აწყობილ გაზეთის გვერდს პრესში სდებენ, რომელსაც 500 ტონის სიმძიმე აქვს (ტონა 60 ფუთია) და ჩამოსასხმელ ფორმას, მატრიცას ამზადებენ. ეს მატრიცა სქელი კარტონია, რომელზედაც უცვლელად გაზეთის გვერდი ისახება. მატრიცა შედის ავტომატიურ ჩამომსხმელ აპარატში, რომელიც მატრიცის მიხედვით ლითონის ფიცარს ასხამს. ამ ავტომატს ერთი საათის განმავლობაში შეუძლია 120 გვერდი ანუ ფიცარი ჩამოასხას. წინათ ეს პროცესის მძიმე და ხანგრძლივი იყო, დღეს კი ჩამომსხმელი მანქანა ამ საქმეს სრულიად ადვილად ასრულებს. ყველა სამზადისი ახლა დასრულებულია, ჩამოსხმული გვერდები როტაციული საბეჭდავი მანქანის განყოფილებაში შედის. იქ ამ ლითონის ფიცრებს როტაციო მანქანა მშიერ მხეცივით ელის. ეს მანქანა უახლესი ტიპია, რომელიც დღეს მსოფლიო ბაზარს ბატონობს და თანამედროვე ტეხნიკური პროგრესის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. საუკეთესო როტაციული მანქანა კეთდება აუგსბურგის მანქანების ქარხანაში, რომელიც პირველ სპეციალურ ფირმათ ითვლება დედამიწის ზურგზე და ნაწარმოებს აწვდის არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ მთელ ევროპასა და ამერიკას. ახლა საქართველოსაც აქვს ასეთი მანქანები: სახელდობრ კომპარტიის ცეკას სტამბას თბილისში. ამ სტამბის მოწყობილობა თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებას შეეფერება, ის უკვე დამთავრებულია და მზად არის სრული თავისი სიძლიერით ამოძრავდეს. მთელ ამ დაწესებულებას ატყვია დიდი შემოქმედებითი სული, რომელმაც ყოველივე ეს შექმნა და მოაწყო.

სხვა მრავალ ახალ მანქანებს გარდა, აქ ორი როტაციული მანქანაც სდგას, ეს მანქანები მთელი ამ სტამბის დაგვირგვინებას წარმოადგენენ. ერთია გაზეთ „მუშისთვის": ის უკვე ნახევარი წელიწადია მუშაობს და უეჭველია „მუშის" მკითხველი შეამჩნევდა, რომ ამ გაზეთმა ფერი იცვალა.

მაგრამ ახლა დადგმულია მეორე უფრო დიდი და რთული როტაციული მანქანა. მან უნდა ბეჭდოს გაზეთი „კომუნისტი" 109 სანტიმეტრის სიგრძის და 68 სანტ. სიგანის ფორმატით.

ასეთი საუცხოვო მოწყობილობა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაშინაც კი, როცა მანქანები გაჩერებულია, მოძრაობის დროს კი ყოველი ადამიანის სულს იპყრობს, სპეციალისტი იყოს ის, გინდ უმეცარი. საკმაოა თითის დაჭერა, რომ ელექტრონის ავტომატიური მოწყობილობის შემწეობით მანქანა თავბრუდამხვევი სიჩქარით ან უფრო ნელის ტემპით ამოძრავდეს; სიჩქარის შეცვლა ადვილად შეიძლება მოთხოვნილების მიხედვით: ეს დამხმარე მოტორის შემწეობით ხდება. როცა ჩამოსხმული ფიცრები მანქანაშია შედგმული, ქაღალდი დახვეულია და თვით მანქანა გამზადებულია. მთავარ მოტორს 25 ცხენის ძალის ელექტრონის ნაკადი ეძლევა. მისი ასი ბორბალი თანდათან უფრო ჩქარი ტემპით ტრიალდება და ეს უზარმაზარი საფრთხობელა, რომელიც 35.000 ნაწილისაგან შესდგება და 43.000 კილოგრამს იწონის (კილოგრამი 2½ გირვანქას უდრის) ჯერ ხრიალს იწყებს და შემდეგ გრიგალს ემსგავსება. ასე რომ მახლობლად მდგომ ადამიანს შიშის გრძნობა იპყრობს, ის თუ თანამედროვე ტეხნიკას ახლო გაცნობილი არ არის. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა: სახიფათო არაფერი მოხდება, თუნდაც მაქსიმალური სიჩქარით ატრიალდეს. ორი ქაღალდის ხვეული, თვითეული 350 კილოგრამის სიმძიმისა დაახლოვებით, მანქანას ეხვევა, და ორ მხარეზე დაბეჭდილი გარეთ გამოდის. საათში დაახლოვებით 30 კილომეტრის სიგრძეზე და 109 სანტიმეტრის სიგანე ხვეული იბეჭდება. რამდენიმე მექანიკური მოწყობილობის შემწეობით ეს ორი ქაღალდის ნაკადი დამთავრებულ ნაწარმოებათ იცვლება და მანქანიდან დაჭრილი, დაკეცილი და სურათებით შემკობილი გამოდის. მაგრამ აქ შეიძლება დაიბეჭდოს არა მარტო გაზეთი, არამედ მრავალგვერდიანი წიგნიც, ბროშურაც და ჟურნალიც. 109×68 სანტიმ. ფორმატის უახლოეს შესაძლებლობას წარმოადგენს 2×2, 2×4, 2×8, 2×6 ან კიდევ 1×8, 1×12, 1×16 გვერდი. თუ უფრო პატარა გვერდიანი წიგნი, ბროშურა ან კატალოგია დასაბეჭდი, ზემოთ აღნიშნული რიცხვი შეიძლება 3-ჯერ და 4-ჯერ გადიდდეს.



ე. რუზერ.

მანქანის თვითეულ მობრუნებაზე 109×68 სანტიმეტრის ფორმა (16 გვერდი) იბეჭდება და სამჯერ ან ოთხჯერ იკეცება.

ასეთი მანქანისთვის საჭიროა ერთი გაწვრთნილი და ორი გაუწვრთნელი მუშა, წინათ კი ამავე საქმის შესასრულებლად მრავალი მუშა-ხელი და მანქანა იყო საჭირო. აქ ჩანს ის დიდი პროცესი, რომლის შესაძლებლობას საზღვარი არ აქვს და რომელიც ასე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიური აღმშენებლობისა და გაჯანსაღებისთვის.

E. Ruser.
ე. რუზერ.
(მონტიორი).

ასოთ-საწყობი მანქანა „ლინოტიპი"

სანამ ამ მანქანის შესახებ ვიტყოდე რამეს მინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნო თუ რას წარმოადგენდენ დღემდე ჩვენი ქართული სტამბები, როგორ იწყობოდა და იბეჭდებოდა წიგნები და გაზეთები? ბევრი ლაპარაკი აქ არ დაგვჭირდება. ყველამ კარგად იცის, თუ რა ვაი-ვაგლახით იწყობოდა და იბეჭდებოდა ქართული წიგნი და გაზეთი იმ ადამის დროის მანქანებზე, რომელთაც ახლო მომავალში მოელით სრულიად განდევნა ჩვენი სტამბებიდან და ისტორიის არქივში ჩაბარება.

განა რა მოხდა ასეთი, რა გადატრიალება ქართული ბეჭდვითი სიტყვის საქმეშიო იკითხავს მკითხველი.

ჭეშმარიტად, რომ მართლა გადატრიალება მოვახდინეთ დღეს ჩვენ ამ საქმეში. და ეს გახდა ჩვენში შესაძლებელი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს ფაქტია. განა დაესიზმრებოდა ვისმეს ჩვენს დარგში ქართული ასოთ-ამწყობი მანქანა „ლინოტიპი"? და საბეჭდავი საროტაციო მანქანა ისიც სრულიად ახალი კონსტრუქციის? რასაკვირველია, არა.

ამიერიდან ქართულ ბეჭდვით საქმეს მტკიცე საძირკველი ეყრება და გიგანტიური ნაბიჯით წავა წინ.

გასულ წლის ბოლოს დაარსდა ახალი ქართული დიდი სტამბა, სადაც მოთავსებულია ახლად შეძენილი ძვირფასი მანქანები და მასთან ყველა აუცილებელი სასტამბო მოწყობილობა, სახელდობრ: სამწყობო, ასოთ-ამწყობ მანქანების „ლინოტიპის", საბეჭდავი (საროტაციო), ცინკოგრაფიის, სტერეოტიპის, ასაკინძის და სახაზავის განყოფილებები.

ახლა შევეხოთ ამ ძვირფასი მანქანების თვისებებს.

სალინოტიპო განყოფილებაში მოთავსებულია 7 ასოთ-ამწყობი მანქანა „ლინოტიპი", რომელზედაც იწყობა უმთავრესად გაზ. „კომუნისტი" და „მუშა" და შემდეგ კი ჟურნალები და წიგნები. ამ ჯადოქარი მანქანის მოქმედება გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე: მაგ. ასოთამწყობი ოდნავ ურტყამს თითებს იმ განსაკუთრებულ ასოთ-ყალიბებს, რომელიც მას ესაჭიროება დედნის მიხედვით, შემდეგ კი მანქანას მიაქვს ყალიბებით სავსე პწკარი განსაკუთრებულ ალაგას, სადაც გამდნარ ლითონით ქვაბი დახვდება მზად, ჩამოასხამს პწკარს, გამოიტანს ამ პწკარს დანიშნულ ალაგას ზომაში მოყვანილ და გასუფთავებულს; მხოლოდ ასოთ-ყალიბები, რომლებიდანაც წარმოიშვა ლითონის პწკარი მიდის ზევით განსაკუთრებულ ყულაბისაკენ და ავტომატიურად არჩევს და ჰყრის თავ-თავის ალაგას.

სიჩქარით ამ მანქანაზე კარგ დახელოვნებულ ასოთ-ამწყობს შეუძლია ააწყოს იმდენი, რამდენსაც რვა კაცი ხელით ააწყობს. ამ მანქანას აქვს კიდევ მთელი რიგი უპირატესობანი, რომელთა აღნუსხვას აქ არ შეუდგებით. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მთავარს. ეს იმაში გამოიხატება, რომ ერთ მანქანაზე შეიძლება აიწყოს გაზეთის მასალა რვა სხვადასხვანაირი ასოებით ისე, რომ ასოთ-ამწყობს არ სჭირდება ასოების ძებნა სხვადასხვა ალაგას; ის ზის ერთ ადგილზე გადასწევს ავტომატს და სცვივა ის ასოები, რომელიც მას სურს, გადასწევს კიდევ ავტომატს, სცვივა კიდევ სხვა ასოები.

სხვათა შორის ქართულ ასოების მოხაზულებას შეემატა ორი ახალი ასოთ-მოხაზულება, სახელდობრ „შავი პეტიტი" და „მხედრული".

შემანქანე შ. გოგოლაშვილი.

როტაციონურ მანქანის ელექტრონული მოწყობა

საჭიროა სტამბაში შეხვიდეთ და საკუთარი თვალით ნახოთ, რომ წარმოდგენა იქონიოთ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვით აგებულ ახალ როტაციონურ, ელექტროფიკაცია ქმნილ მანქანაზე.

აი, ორი ელექტრო-მოტორი. ერთი დიდი 20 კილოვატიანი, „მთავარი", მეორე კი—პატარა 1½ კილოვატი „დამხმარე". მანქანის მთელ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას, სანამ ბეჭდვა დაიწყებოდეს, დამხმარე მოტორი აწარმოებს.

აი, კნოპკები, დააჭერ თითს ერთს მათგანს, მანქანა მოძრაობს, დააჭერ მეორეს—მანქანა ჩერდება.

განმანაწილებელი მოწყობილობა ორი ავტომატისაგან შესდგება, რომლებიც ცალკე დაფაზეა დაგროვილი. მთავარი მოტორის მართვა კონტროლიორის მიერ სწარმოებს. ახალი როტაციონური მანქანის მთავარი განსხვავება ძველი სისტემის მანქანისაგან ელექტრონულ მოწყობის მხრივ შემდეგია:

1) ორი მოტორი. მთავარი მოტორი წონასწორი მუშაობის დროს უმოქმედოდაა, რაც დიდ ეკონომიას იძლევა.
2) ავტომატები, რაიც არა აქვთ ძველ მანქანებს.
3) ელექტრო-მაგნიტური ჰახრაკი (ტორმაზი).
4) ავტომატიური დამცველთა სისტემა, რომელიც სპობს მოტორების შერთვის შესაძლებლობას, როცა მანქანა არაა მზად.

დამხმარე მოტორების მუშაობის დროს ენერგიის ხარჯვა უმნიშვნელოა—სულ ½ კილოვატი (3/4 ცხენის ძალის ოდენა). კნოპკა შეძლებას იძლევა ბარაბანის ათწილად მილიმეტრით შეტრიალებისა.

მთავარი მოტორის შეერთების შემდეგ დამხმარე მოტორი მექანიკურად სწყვეტს მუშაობას.

ეს გაუმჯობესებანი არა მარტო აადვილებენ როტაციონურ მანქანის ხმარებას, არამედ მინიმუმამდე ამცირებენ მოსამზადებელ მუშაობას. სრული დატვირთვის დროს (16 გვერდი) მოტორი მოითხოვს 7 კილოვატს, რაიც ფულზე გადატანილი ერთი საათის სამუშაოში უდრის 2 მ. 50 კ. (საათში კილოვატს თუ 35 კაპ. ვიანგარიშებთ) ან კიდევ ნაკლებს თუ ზაჰესის ნიხრის მიხედვით 25 კაპეიკს ვივარაუდებთ.

მთელ მუშაობას, რომელიც საჭიროა ელექტრონის მოსაწყობად, ადგილობრივი ელექტრო-მონტიორები აწარმოებენ—ამხ. ლაზარევი და კოსტილევი ტეხნიკ-ელექტრიკოსი მოლჩანის ხელმძღვანელობითა და ინჟენერ კოსტინის ტეხნიკურ ზედამხედველობით.

ნ. მ.

◆

მხურვალე სალამი.

ამხ. რედაქტორო!

ჩვენ, ელექტრიკოსები, რომლებიც ვაწარმოებდით ჩვენი დარგის სამუშაოს სტამბაში და კერძოთ, საროტაციო მანქანებისათვის, მხურვალე სალამს ვუძღვნით და მიულოცავთ გაზეთ „კომუნისტს", რომელიც დღეს პირველად იბეჭდება თავის საკუთარ საროტაციო მანქანაზე.

ამხ. ტეხნიკოს-ელექტრიკოსების მონდობილობით მალჩან.

პარტიული ცხოვრება

აგიტაციის შესახებ

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგიტაციას: მუშათა კლასის და გლეხების აქტივობა და პოლიტიკური თვითშეგნება თანდათან იზრდება, მშრომელი მასები არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯისადმი. ასეთ პირობებში აგიტაცია საუკეთესო საშუალებაა მშრომელ მასებისათვის დაუყოვნებლივ პასუხის გასაცემად წამოეყენებულ საკითხებზე.

ძირითადი საკითხები, რომლებიც მოითხოვს ყოველმხრივ და დაწვრილებით განმარტებას მუშურ-გლეხურ მასებისათვის მიმდინარე მომენტში არის საკითხები ინდუსტრიალიზაციის, მეურნეობის საერთო განვითარების, სამუშაო ხელფასის, საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის დამყარების, ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის, მომჭირნეობის რეჟიმი და სხვ. თუ გვინდა, რომ ყველა ეს საკითხები გადაიჭრეს რაც შეიძლება დროულად და უმტკივნეულოდ, აუცილებლივ საჭიროა მათ განხილვაში და გადაჭრაში მშრომელთა ფართე მასების ჩაბმა. როგორ შეიძლება ეს? წესიერად დაყენებულ აგიტაციის საშუალებით.

ფართე განმარტებითი აგიტაციის სწორად დაყენება შეიძლება მხოლოდ მასების მოთხოვნილებების, განწყობილების და სულისკვეთების ყოველმხრივ, ფრთხილ და გულდასმით შესწავლის საფუძველზე. ამ საქმის ორგანიზაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საგიტაციო მუშაობის.

აგიტატორი, მომხსენებელი, გამოდის იგი მოხსენებით კრებაზე თუ ესაუბრება მუშების და გლეხების მცირერიცხოვან ჯგუფს, ან ერთ პირს, ისახავს ამოცანას—სწორად და გასაგებად განმარტოს და გააშუქოს ჩვენი პოლიტიკის საკითხები, დააჯეროს აუდიტორია მათ სისწორეში და ამით შესაფერად ჩამოაყალიბოს აუდიტორიის განწყობილება. ყველგან და ყოველთვის აღწევს ამ მიზანს მომხსენებელი? არა. ვერ აღწევს იმიტომ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში სრულიად არ უწევს ანგარიშს იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც აღელვებს ამა თუ იმ ქარხნის, წარმოების მუშებს, ან გლეხკაცობას. მოხსენების გასაკეთებლად აგიტატორი მიდის ისე, რომ არც კი იცის წინასწარ, თუ როგორ აუდიტორიაში მოუხდება მას მოხსენების გაკეთება, ის არ იცნობს წარმოებას თუ სოფელს, არ იცნობს იქაურ განწყობილებას და იმ განსაკუთრებულ, წვრილმან საკითხებს, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ დგას იქ.

აგიტაციის სწორად დაყენების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წინასწარი გაცნობა იმ წარმოების, თუ სოფლის მუშების და გლეხების განწყობილების და მოთხოვნილებების, სადაც მას უხდება მოხსენების გაკეთება. ეს ამოცანა თავის-თავზე უჯრედებმა უნდა იდვან. მომხსენებლისათვის შეუძლებელია დაწვრილებით გაეცნოს აუდიტორიას.

პარტუჯრედებმა, თემკომებმა და სხვა პარტიულმა ორგანოებმა სწორად უნდა დააყენონ ეს საქმე, უნდა სისტემატიურად შეკრიბონ მასალები, შეისწავლონ მუშების და გლეხობის განწყობილება და გადასცენ ის მომხსენებელს. მომხსენებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, როგორ აუდიტორიასთან ექნება მას საქმე, როგორია მისი მოთხოვნილებები, რა აწუხებს მას და სხვ. და როცა ეს ცნობები მას ხელთ ექნება, მან თავის მოხსენებაში, რა საკითხზედაც არ უნდა იყოს იგი, უნდა გაატაროს სწორედ ისეთი ხაზი, რომელიც დააკმაყოფილებს აუდიტორიას; მან გზა და გზა მოხსენების თემასთან დაკავშირებით უნდა შეეხოს იმ მტკივნეულ საკითხებსაც და, საერთოდ, სხვადასხვა აუდიტორიას სხვადასხვანაირად უნდა მიუდგეს. მაგ., არ შეიძლება რკინისგზელებს, ასოთ-ამწყობებს და გლეხობას ერთნაირად მიუდგე. ყოველ მათგანს თავისებური მიდგომა ესაჭიროება.

გარდა პარტიულ ორგანოებისა, თვით მომხსენებელიც უნდა შეეცადოს დაუკავშირდეს აუდიტორიას და გაიცნოს მისი განწყობილება და მოთხოვნილება. იგი რამოდენიმე წუთით ადრე უნდა მივიდეს მოხსენების ადგილზე, ესაუბროს უჯრედის მდივანს, აგიტპროპორგანიზატორს, აუდიტორიიდან რამოდენიმე ამხანაგებს იმის შესახებ, თუ რითი ცხოვრობს და რა აწუხებს ამჟამად წარმოებას თუ სოფელს.

ყველაფერი ეს ანბანური ჭეშმარიტებაა საგიტაციო მუშაობის წარმოებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ძალიან ხშირად ივიწყებენ. ამავე დროს, ზემოდ დასახელებულ პირობის დაცვის გარეშე არ შეიძლება ლაპარაკი აგიტაციის დაყენების შესახებ.

საგიტაციო მუშაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე კრების მოწყობის საკითხი. ხშირად ხდება, რომ კრებაზე მუშებს დაუძახებენ სამუშაო დღის გათავების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში კრება არასოდეს არ იქნება ცოცხალი და აქტიური და არც მოხსენება გამოიღებს რაიმე ნაყოფს. როგორი მნიშვნელოვანი საკითხებიც არ უნდა იდგეს დღის წესრიგში, ძალიან კარგი მომხსენებელიც რომ იყოს,—მუშა მთელი მოხსენების განმავლობაში ფიქრობს, თუ როდის გათავდება მოხსენება, ან როგორ გაიპაროს კრებიდან. აუდიტორია დაინტერესებულია არა საკითხით და მოხსენებით, არამედ სახლში წასვლით. ამიტომ, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ იქნება, ყოველთვის უნდა ვერიდოთ სამუშაო დღის გათავებისას კრების მოწვევას და მოხსენების დანიშვნას. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება გამოვაცოცხლოთ კრებები, მთელ აუდიტორიას მივაღებინოთ მონაწილეობა საკითხის განხილვაში. ამას მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა მუშა თუ გლეხი დასვენებული უსმენს მოხსენებას.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს მოხსენება. ბევრ ჩვენ მომხსენებლებს ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული [illegible] 1 საათი, ან მეტი ილაპარაკონ, კარგ მოხსენებათ თვლიან ისეთ მოხსენებას, რომელიც 1 საათზე ნაკლებს არ დაიჭერს. ასეთი შეხედულება შემცდარია. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მოკლე იყოს მოხსენება. არ არის საჭირო დავიწყოთ იმპერიალისტურ ომიდან ყოველი მოხსენება, არ არის საჭირო ნახევარსაათიანი შესავალი და კიდევ ამდენი დასკვნა. მოხსენება, რაც შეიძლება, მოკლე უნდა იყოს, იგი არ უნდა გაგრძელდეს 40—45 წუთზე მეტი. რასაკვირველია, აქ ჩვენ არა გვაქვს მხედველობაში მოხსენებები და ანგარიშები ყრილობებზე და კონფერენციებზე. მუშურ-გლეხურ აუდიტორიაში მოხსენება უნდა გაკეთდეს ყოველგვარ შესავალ-დასკვნის და „საკითხის ისტორიის" განხილვის გარეშე.

აი ამ მომენტებს უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენს საგიტაციო მუშაობაში, თუ გვინდა, რომ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღოს.

ს. პ.

პოლიტსკოლა დაგვეხმარა.

სოფ. გომბორის კომუჯრედი არსებობს 1925 წლიდან; პირველად კომუჯრედში ირიცხებოდა პარტიის 8 წევრი და კანდიდატი. ამჟამად გომბორის კომუჯრედი აერთიანებს 20 პარტიის წევრსა და კანდიდატს.

ზამთრის განმავლობაში უჯრედის კრებები ხდებოდა კვირაში ერთხელ. 15 აპრილიდან კი კრებები ორკვირაში ერთხელ ხდება. კომუჯრედი გლეხობაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. უჯრედის ღია კრებებს ესწრება საკმაო რიცხვი უპარტიო გლეხობისა და გლეხქალებისა. ზამთრის განმავლობაში სოფ. გომბორში დაარსებული იქნა პოლიტსკოლა, რამაც უჯრედის წევრთა პოლიტმომზადების დონე საგრძნობლად აამაღლა. ამჟამად უჯრედის წევრებს შეუძლიათ საუბრების ჩატარება და ზოგიერთ საკითხებზე მოხსენებების გაკეთებაც.

უჯრედში ირიცხება 5 ქალი. დისციპლინა უჯრედში დამაკმაყოფილებელია. არსებობს ნებაყოფლობითი საზოგადოებანი: „რემედას"-ი და „ავიაქიმი", რომელთა მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

თემკომთან არის გაბმული კარგი კავშირი. კომუჯრედის კრებებს წესიერად ესწრება თემკომის წარმომადგენელი.

გომბორელი.

საჭიროა მოძრავი პოლიტსკოლა.

(სოფ. პატარძეული, თბილისის მაზრა).

სოფ. პატარძეულში პარტიული მუშაობა მოისუსტებდა. მიზეზი ის იყო, რომ არ იყო ადგილობრივად კარგი მომუშავე პარტიული ამხანაგი. დღეს კი სოფ. პატარძეულში არსებობს უჯრედი, რომელიც აერთიანებს 6 პარტიის წევრს და 10 პარტიის კანდიდატს; ამათში თითქმის ყველა გლეხებია. პატარძეულის უჯრედი თანდათანობით იზრდება რიცხვობრივად და უმჯობესდება თვისობრივადაც.

სოფელში ახ. ლ. კომკავშირის უჯრედიც არსებობს, მაგრამ ის არ არის მაინცა და მაინც აქტიური. ახ. ლ. კომკავშირის უჯრედზე მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიმაგრებული იქნა პარტიული ამხანაგი. რომელიც შეძლებისდაგვარად ხელმძღვანელობას უწევს მას. კარგი იქნება, რომ სოფ. პატარძეულში მოეწყობოდეს მოძრავი პოლიტსკოლა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობას პოლიტიკურად მომზადების საქმეში.

აქაური.

პარტიული ქრონიკა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს, რომ ერთიან პარტიულ დღეს პარასკევს, 4 ივნისს, დაამუშაონ საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკანტროლო კომისიის ცირკულიარი მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ და საკავშირო კომპარტიის ამ.-კავკ. საკანტროლო კომისიის პლენუმის დადგენილება (იმავე საკითხის შესახებ.)

საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სამშაბათს, 1 ივნისს, საღ. 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში იწვევს საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობის გამგეობის წევრ-კომუნისტების თათბირს.

დაუგვიანებლად გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის თბ. კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან: 1) ფირცხალაიშვილი მოსე, 2) მახარაძე ილია მიხეილისძე, 3) კვინიკაძე გრიგოლი, 4) გიორგაძე გალაქტიონ ივანეს ძე, 5) არხიპოვი ნიკოლოზ ალექსის ძე, 6) გორშკოვი მიხეილ ვასილის ძე.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საკავშირო პროფსაბჭოს წერილი

მოსკოვი, 28 მაისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს დაუგზავნა წერილი მომჭირნეობის შესახებ.

„ს. ს. რ. კ-ის სამეურნეო ზრდის ძირითადი პირობა,—ნათქვამია წერილში,—არის აქტიური მოქმედება მრეწველობის მოწყობის სექმეში და შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო ძალების რაციონალური გამოყენება და მკაცრი მომჭირნეობა ადმინისტრატიულ და სამეურნეო ცხოვრების ყოველ დარგში.

მომჭირნეობის რეჟიმი უნდა ჩატარდეს არა როგორც დაკვრითი კამპანია, არამედ როგორც ხანგრძლივი, სისტემატიური მუშაობა, რომელიც შეუსუსტებელ ყურადღებას მოითხოვს. ამასთან ერთად, პროფკავშირებმა სასტიკად უნდა ადევნონ თვალ-ყური, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებამ მუშების ნივთიერი მდგომარეობის, გაუარესება კი არ გამოიწვიოს, არამედ მისი გაუმჯობესების საფუძვლად გახდეს.

განსაკუთრებული ყურადღება პროფკავშირებმა უნდა მიაქციონ მუშათა ფართო მასსების მომჭირნეობის რეჟიმის მუშაობაში ჩაბმას. ზომები უნდა იქმნას მიღებული, როგორც სამრეწველო თათბირების და კომისიების, ისე საკანტროლო კომისიებისა და თათბირების (სახ. ვაჭრობაში, კოოპერაციაში) მუშაობის განსაცხოველებლად.

აღნიშნული პირთაგან პირველ ორს უკვე მიესაჯა თავისუფლების [illegible] წლით და მოთავსებულნი [illegible] უკანასკნელ ორს კი—ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელი ჩაეთვალა პირობით.

მომჭირნეობის ცენტრალური კომიტეტი.

ც. ს. კ. და მუშგლეხინის რწმუნებულთან აჭარისტანში შესდგა მომჭირნეობის რეჟიმისათვის მებრძოლი ცენტრალური კომისია ამხ. ბ. ტაკიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან: ამხ. ცხელაშვილი (პარტკომი), სოლ. ლორთქიფანიძე (აჭარპრომტორგი), ჯინჭარაძე (ქალაქის აღმასკომი), სულაბერიძე (სახ. საგ. კომ.), გვილავა და ხარაძე (საგანგ. კომისია), ჯიქია (ქალაქის აღმასკომი), ჯორბენაძე (ფინსახკომი), ტანცოში (შინავაჭრობის სახკომატი), თავდიშვილი (კოოპერაცია), აბრამოვი (პროფსაბჭო), ბრეიძე (შრომის სახკომი) და ს. ყუფარაძე (გაზეთის გამომცემლობა).

აღნიშნული კომისია დაიყოფა ქვემოკომისიებად და დაანაწილებს მუშაობას თავის წევრებს შორის. კომისიის მიზანია თავი მოუყაროს მომჭირნეობისათვის მუშაობას ც. ს. კ. და მუშგლეხინის გარშემო, რომ ამ მუშაობამ მიიღოს გეგმობრივი და არა შემთხვევითი ხასიათი.

ბრძოლა დაწესებულების გაჯანსაღებისათვის.

ბათომის ქალაქის აღმასკომის კანცელიარიის უფროსი პ. ღლონტი (უპარტიო) აჭარისტანის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოხსნა სამსახურიდან, რადგან ღლონტს დაუმტკიცდა: ბიუროკრატობა, „ჩინოვნიკობა", თანამშრომლებისა და გლეხებისადმი უდიერი მოპყრობა.

ამას გარდა, აღნიშნულ ღლონტს, მისი სოციალურ უზრუნველყოფის სახკომატში სამსახურის დროს (კოლეგიის წევრი იყო) გაუტანია კომისარიატიდან 391 მან. 05 კ., რომელიც ჯერაც არ გადაუხდია. მუშგლეხინმა საქმე სასამართლოს გადასცა და წინადადება მისცა სოც. უზრუნველყოფის სახკომატს მიიღოს ზომები დავალიანების გასანაღდებლად.

მომჭირნეობისათვის მებრძოლ ც. კ. სხდომა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, შესდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ მომჭირნეობისათვის მებრძოლ ცენტრალურ კომისიის სხდომა.

სხდომამ [illegible]ხილა საბოლოოდ შემუშავებული სია იმ [illegible]ამობილებისა, რომლებიც უნდა ჩამოერთვას [illegible]ესებულებებს და დაამტკიცა ის. შემდეგ მოსმენილ იქნა „მუშკოოპის", საქართველოს სახელმწიფო ვაჭრო საპაიო ამხანაგობის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მოხსენებები მომჭირნეობისათვის გატარებულ ღონისძიებების და მიღებულ შედეგების შესახებ.

„მუშკოოპი"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომჭირნეობისათვის ბრძოლა „მუშკოოპ"-ში უკვე კარგა ხანია სწარმოებს. ამ ჟამად მიღწეულია 6.770 მანეთის ეკონომია წლიურად. გამგეობა უმთავრეს ყურადღებას აქცევს საქონლის ბრუნვის ვადის შემცირებას და ამ მხრივ უკვე დადებითი შედეგები მიაღწია: დღეს „მუშკოოპი" ახერხებს საქონლის დაბრუნებას ერთი თვის განმავლობაში. ეს დიდი მიღწევა საგრძნობლად ამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს კოოპერატივის ფინანსიურ მდგომარეობას.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წლიურად 48.417 მანეთის ეკონომია არის მიღწეული.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში მიღწეულია 89.795 მანეთის ეკონომია.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომისიას ჯერ მუშაობა არ დაუმთავრებია მაგრამ უკვე მიღწეულია წლიურად 110.259 მანეთის ეკონომია. დაწვრილებითი ცნობები ცალკე ტრესტებში და დაწესებულებებში მიღწეულ ეკონომიის შესახებ გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზე[illegible] უახლოეს ნომერში.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის და არა მომჭირნეობასთან

გაზეთ „კომუნისტ"-ში № 110, 18 მაის. იყო მოთავსებული წერილი წევის სამსახურის უფროსების მივლინებების შესახებ. წერილში აღნიშნული იყო, რომ ოთხი თვის განმავლობაში (ე. ი. წარსული წლის ოქტომბრიდან ა. წ. იანვრამდე) მივლინებებზე დახარჯულა 23.365 მან.—71 კაპ. წევის დარგის უფროსმა, მოქ. ლეონტიევმა, მოიწვია ბუხჰალტერი ცუკანოვი და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გაცემული იქნა ბრძანება: დღეიდან ყველა ფულის სიები დოკუმენტები და სხვა საბუთები ჩაკეტილი იქნას შკაფში, რომლის გასაღები ექნება თვით ბუხჰალტერს—მოქ. ცუკანოვს.

ამნაირად მოხერხებულმა სპეცებმა ცხრა კლიტულში ჩამალეს მასალები, რომელნიც დიდი გამოსადეგია მომჭირნეობისათვის ბრძოლაში.

ეს საბუთები მუშკორისათვის ხელმიუწვდომელია.

ამიტომ საჭიროა თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გაალოს ის ადგილი, სადაც ინახება საბუთები და თვითონვე ნახოს თუ რამდენი დახარჯულა მივლინებაზე და განსაკუთრებით ზედმეტი საათების მუშაობისათვის, რამდენი გაუციათ ჯილდო მოსამსახურეებზე და მათ შორის „სპეც-სტავკიანებზედაც".

აქ არის კიდევ ერთნაირი მახინაცია: ეს მახინაცია გამოხატება იმაში, რომ სპეცები ხსნიან დროებით თვიანთ სპეც-განაკვეთებს და გადადიან ნარდათ მუშაობაზე, რომელიც ბევრად აჭარბებს სპეც-განაკვეთით გამოწერილ ჯამაგირს.

მაგალითად თუ სპეც-განაკვეთით ღებულობენ თვიურათ 120 მანეთს, ნარდზე გადასვლით მიიღებენ არანაკლებ 200 მანეთისა.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მახინაცია უფრო ხელსაყრელია რკინისგზის ზოგიერთ სპეცებისათვის. თუ არ გამოადგება ნარდათ მუშაობა ის ისევ გადმოდის სპეც-განაკვეთზე.

ასეთი მაგალითები არა მარტო წევის დარგში ან მთავარ სახელოსნოებში ხდება, არამედ ყველა დარგში და თვით რკინისგზის სამმართველოშიც ხდება.

მუშკორი ძია ლევან.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მივლინებები

მივლინებები ერთ იმ ცოდვათაგანია, რომლისაგან ჯერ კიდევ ვერ განკურნებულან ბევრი ჩვენი დაწესებულება-წარმოებები და რომელნიც საგრძნობ ზედმეტ ხარჯათ აწვება სახელმწიფო სალაროს. ამიტომ მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში გაცხოველებული კამპანია სწარმოებს მივლინებათა შემცირების სასარგებლოთ.

გაზეთი „საბჭოთა ციმბირი" გადმოგვცემს, რომ ციმბირის ადგილობრივ აღმასკომებს გაუღიათ მივლინებებზე მილიონ ოთხასი ათასი მანეთი.

„ნუ თუ მათ (მივლინებებს) აქა-იქ იმისათვის არ იგონებენ,—სწერს გაზეთი, რომ თავი გაირთონ? ნუ თუ ჩვენ არ ვნახულობთ აქ ისეთებს, რომელნიც არც ისე დიდ საქმეზე და არც ვისმე გამოწვევით ჩამოსულან?".

ამავე საკითხს ეხება ხარკოვის „კომუნისტი"-ც.

„თვითეულ თავმოწონე დაწესებულებას,—ამბობს გაზეთი, ჰყავს თავისი მივლინებაში მყოფი რწმუნებულები. ამ რწმუნებულთა მუშაობა მდგომარეობს იმაში, რომ იარონ ტრესტებში და სავაჭრო ორგანიზაციებში თავიანთი წარმოებისათვის საქონლის მისაღებათ. სასტუმროში ბინა ღირს საშუალოდ 5 მან. დღე-ღამეში. მივლინებით და დღიურებიანათ რწმუნებული უჯდებათ დაწესებულებებს თვეში 500 მან.

საყურადღებო ციფრები მოჰყავს ამავე საკითხთან დაკავშირებით ქ. კალუგის „კომუნისტს". ხელის სავაჭრო პუნქტში, გაზეთის სიტყვით წარსული წლის პირველ ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე, ე. ი. 4 თვის განმავლობაში, ჯამაგირის სახით გაღებულია 726 მან., მაშინ, როცა მივლინებებზე დახარჯულია თითქმის ორჯერ მეტი 1.300 მანეთი.

ფაქტები აღებულია შორეულ კუთხეებიდან, მაგრამ უდაოა, რომ საქართველოს სინამდვილეშიაც არა ნაკლებ აქვს გადგმული ფესვები მივლინებათა სენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზაფხულის თვეები. წარსული წლების გამოცდილებით ვიცით, რომ ზაფხულობით, ინსტრუქტორები, რევიზორები და რწმუნებულები უმთავრესად ისეთ ადგილებში იყრიან თავს, რომელნიც ცნობილი არიან, როგორც სააგარაკო და საკურორტო რაიონები.

რა საფუძველიც უდევს ასეთ მოვლენებს, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს.

აჭარისტანში

ბრძოლა კონტრაბანდასთან.

ს. კ. პ. (ბ) საკონტროლო კომისიის რწმუნებულმა აჭარისტანში გამოაქვეყნა ცნობა, რომ კონტრაბანდის გავრცელებისა და ხელისშეწყობისათვის გამორიცხულ იქნენ პარტიიდან:

1. ზუქერია დურსუნის ძე ბარამიძე, პარტიის წევრი 1925 წლიდან.
2. იუსუფ ემინის ძე ნაკაშიძე, კანდიდატი 1925 წლიდან.
3. ისმაილ შავერდის ძე ნაკაშიძე, პარტიის წევრი 1925 წლიდან და
4. ყედირ იუსუფის ძე ნაკაშიძე, კანდიდატი 1925 წლიდან.

მოკლე ხნით კახეთში

უნდა გამოვტყდე, კახეთი არ მინახავს ჩემ სიცოცხლეში. ეს კარგი შემხვდა კახეთისაკენ გამგზავრება.

პირველათ გურჯაანამდე ჩაველი ერთი დღით; დავალება მქონდა იმავე დღეს მოვისაქმე და უკან დავბრუნდი—ეს შარშანწინ იყო ზაფხულში.

ამ რამდენიმე დღის წინათ წაველი თელავში. თელავი დიდი სამაზრო ქალაქია, ამბობენ აქ 11.000 მცხოვრებიაო. საქართველოს სამაზრო ქალაქისთვის ეს დიდი რიცხვია.

დილა ადრიანად მიადგა ჩვენი მატარებელი სადგურს, მაგრამ სადგურიდან ქალაქი სამი ვერსით ყოფილა დაშორებული. აქაც, როგორც ყველგან, სადაც სადგური ქალაქიდან მოშორებითაა აშენებული, იმავე ამბავს გაიგონებთ.

— ინჟენერმა რომელიც გზას აშენებდა, ქალაქის თავს ქრთამი სთხოვა, ქრთამი არ მისცეს და მანაც ჯიბრზე სადგური ქალაქის მოშორებით ააშენაო.

ასეთი ამბავი ბევრგან გამიგონია. შეიძლება მართლაც ასე იყო, მაგრამ ქალაქი და სადგური, მართლაც რომ სრულებით უმნოთ და უაზროთ არის დაშორებული ერთმანეთზე.

სადგურთან

ჯერ არც კი იყო გათენებული ხეირიანათ. სადგურის ახლოს მგლისაგან შეშინებული საქონელი რომ ტყეში ერთად თავს მოიყრის, ისე გროვათ დამდგარიყვნენ ეტლები.

ვინ იცის როდის მოვიდენ ისენი აქ მგზავრების მოლოდინში. ალბათ, ყოველივე ფერი, რაც სათქმელი ჰქონდათ, ჩამოათავეს და ეხლა ფრთა ჩამოყრილ ქათმებივით შემსხდარიყვნენ ეტლების კოფოზე.

კახელი ძალიან განებივრებული ჰყავს აქაურ ხელგაშლილ ბუნებას. კახელს ბუნება უხვათ აძლევს შრომის ნაყოფს. ცოტაა თუ ბევრი შრომა, ნაყოფი მაინც ბევრია.

თელავი ფერდობზეა აშენებული. სადგურიდან მიმავალი გზა გვერდს უვლის ქვიტკირით აშენებულ გალავანს.

— ეს მეფე ერეკლეს სასახლეაო, გვითხრა მეეტლემ. ამ გალავანს კარგა მოზრდილი ალაგი აქვს მოკავებული.

— არის რამე შენობა შიგ?

— როგორ არა, შიგ სასახლეა და კარის ეკლესია. სასახლეში ეხლა სკოლაა გამართული, ეკლესია კი დაუქმებული სდგას.

— დიდია სასახლე?

— აბა, რა მოგახსენოთ, გვარიანი დიდია, თქვენ თვითონ ნახავთ.

დილა თელავში

ჩვენ რომ მივედით, ქალაქი ჯერ კიდევ დილის ძილშია გახვეული. ვინც გვყავდა სანახავი (ჩვენ ორი წავედით თბილისიდან), მათთან მისვლა ჯერ ადრე იყო, ვარჩიეთ სადმე გვესაუზმებია.

მივადექით წითელ სასადილოს—დაკეტილი დაგვხვდა. კერძო ვაჭრის დუქანი კი გაჩაღებულ მუშაობაში იყო. შევაღეთ კარები. ქუჩის თავში წავიკითხე წარწერა „ორახელაშვილის ქუჩა". ამ ქუჩაზე მარტო ხარაზები და მიკიტნების მეტი არავინაა. თუმცა, უკაცრავათ, ერთი ვიღაც მახარაძის (პატრონია) სასტუმროც არის.

— მობრძანდით, დაგვლოცეთ, ღვინო ლაგვილიეთ, შემოგვეპატიჟენ კახელები. შეპატიჟება აქ, მართლაც, რომ რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებაა.

— ხინკალი მიირთვით.

— ჩვენ რაღაც მოვიმიზეზეთ და ბოდიში მოვიხადეთ. ცოტა მოშორებით ჩამოვჯექით.

ვისაუზმეთ, ცოტა ხანი მოვათიეთ და გავუდექით ქალაქის ქუჩებს. ამ გაშლილ ალაგას, საოცარი ვიწრო ქუჩებია. ბოლო დროს—აღმასკომს რამდენიმე ქუჩა გაუფართოვებია, დანარჩენები კი ვიწრო ორღობეს უფრო ჰგავს, ორი ცხენოსანი ერთმანეთს გვერდს ვერ შეუხვევს. ასეთია სხვათაშორის სერგო ორჯონიკიძის ქუჩაც. მაგრამ სერგოს ქუჩა მაინც თელავის პირობაზედაც მეტის მეტი ვიწრო ქუჩაა, ისიც ქალაქის განაპირას.

საზოგადოთ აქ ქუჩები ახალი სახელებით არის ჩამოწერილი, მაგრამ სიახლე ამ წარწერების გარდა არაფერს ეტყობა.

დავათვალიერეთ ქალაქის ახალი ბაღი. ფართოდ გაშლილი, ის მართლაც კარგი რამ იქნება, როცა წამოიზრდება ახლათ დარგული ხეები. ჯერ-ჯერობით კი იქ არც ჩრდილია და არც სიგრილე.

არის თელავში მეორე ბაღიც—ეს ერეკლეს სასახლის გალავანის ერთ კუთხეზე დარჩენილი ხეივანია. ბაღი მოძველებულია, ხეებიც დაბერებულა და ეხლაც აქ დასასვენებლად და გასასეირნებლად არავინ მოეშურება.

პატარა თავგადახდილ „ბუტკაში" მოვაჭრე კახელს გამოუტანია შეჭვარტლული თუნუქის ქვაბი და ნაკვერცხლებზე მზესუმზირას კაკალს ხალავს. „სემიჩკას" აქ, როგორც ჰგავს, დიდი მუშტარი უნდა ჰყავდეს, ბაღის გზებზე სქლათ ყრია ნარჩევი სემიჩკის კანი.

ერეკლეს სასახლეში

შემთხვევით გადავეყარე აქ ერთ ნაცნობ ამხანაგს. ის იყო იმ დღეს ჩვენი წინამძღოლი და გზის მასწავლებელი. დავათვალიერეთ ეს ერეკლეს სასახლეც. გალავანი მაღალია, ექვს არშინზე მეტი სიმაღლე ექნება. შესავალი ერთ მხარეზე აქვს დატანებული პირლია ჰიშკარში გროვათ მიდი-მოდის მოწაფეები.

თვით სასახლის შენობა დაცული აღარ უნდა იყოს. არის შენობა, მაგრამ რა არის აქ ძველი სასახლის ნაწილი და რაა შემდეგ აშენებული, ამის მთქმელი ჩვენ არავინ გამოგვეჩინდა. გვაჩვენეს ერეკლეს ოთახი,

— სრულათ და ხელუხლებლათ არის დაცულიო—გვითხრეს.

ეს ძალიან პატარა თაღებით შეკრული ოთახია, ოთხ-კუთხი მოყვანილობის. ამ ოთახში ეხლა სკოლის წიგნთსაცავია. ეს სამკითხველო, ერეკლეს დროის არ უნდა იყოს, მაგრამ იქ რომ წიგნებია, ეხლა მართლაც დროა, მათი მუზეუმში გადატანის. წიგნები თითქმის ერთიანათ ყველა რუსულია—ეს არაფერი, მაგრამ არ იკითხავთ რა წიგნებია?

„Сочинения Екатерины II-ой" არის ძველი—ამ 20—30 წლის წინანდელი—რუსული ჟურნალები და წიგნები. ვაი თუ ამ წიგნებით ეხლა ვინმეს „ანათლებენ" აქაური მასწავლებლები.

ოთახში. ერთ შკაფის თავზე, მეფე ერეკლეს სურათია ჩამოკიდებული. ერთი ხის დაფა, რომელზედაც დაწერილია რუსულ-ქართულად, რომ „აქ აღსრულდა მეფე ერეკლე მეორე", იქვეა აღნიშნული, რომ ეს სასახლე ამა და ამ წელს (აღარ მახსოვს რომელი წელია) დაუთვალიერებია „ნამესტნიკს" ვორონცოვ-დაშკოვს და მის განკარგულებით შეუკეთებიათ.

აბრეშუმის ქარხანაში

— ეს წარსული ხომ ვნახეთ, ეხლა, თუ კაცი ხარ, ისეთი რამ მაჩვენე, რასაც ახალი—ჩვენი დროის კვალისა და ვავლენის ნიშანი ჰქონდეს; არის რამე აქ ასეთი? შევეკითხე ჩვენ გამყოლს

როგორ არა. აი წავიდეთ აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა ვნახოთ.

წავედით მის სანახავად.

—:—

ნუ დამემდურებით, რომ ცოტა ხნით მაინც შევაჩერო თქვენი ყურადღება ამ ქარხანაზე.

— ეს, რასაც უყურებთ, ამ რამოდენიმე თვის წინათ, ლანძღეული და დაფეხვილი იყო და ეხლა კი... მორცხვი ღიმილით გვეუბნება ქარხნის ახალი წითელი დირექტორი.

მე ვიცნობ მას, ის ძველი მუშაა. დაკვირვებული, აუჩქარებელი კაცი. არ ვიცი, მან საგულდაგულოდ იცის თუ არა აბრეშუმის საქმე, მაგრამ, როცა ვუსმენ მის ლაპარაკს და ვაკვირდები აქაურ მუშაობას, ვგრძნობ და მწამს, რომ ის თავს არ შეირცხვენს.

შევედით ქარხანაში. ეს გრძელი, მაღალი ფართე შენობაა, ფანჯრები მწკრივებათ მიჰყვება ორთავე სიგძის კედელს. მართლაც რომ სასიამოვნო სანახავია. სინათლე და სისუფთავე—აი, რაც ახარებს და ახალისებს გულს.

— ეს მანქანები ეხლა მივიღეთ იტალიიდან. თითქმის ვათავებთ დადგმას. აქ პირველ პირს ამოვახვევთ, აქ წმინდა ძაფის ამოსაღები იქნება, აქ კოჭებზე დასახვევი. ეს ქვაბები ისეა მოწყობილი, რომ ორთქლმა მუშა არ შეაწუხოს, გარდა ამისა შენობის რამოდენიმე ადგილას დატანებული ექნება საქარებელი.

— ვინ დგამს მანქანებს?

— არიან იტალიიდან ჩამოსული ოსტატები—სამი კაცია.

ისინი აქ არიან, ფუსფუსობენ, ერთმა მათგანმა ულმერთოთ დამტვრეული რუსული იცის, დანარჩენები მხოლოდ თავის ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ მუშებს ისე კარგათ ესმით მათი ნათქვამი, რომ თარჯიმანი არ სჭირდებათ. მუშებიც და ოსტატებიც ერთ საქმეს აკეთებენ და საერთო შრომას საერთაშორისო ენა აქვს;

— ამ ქარხანაში 120-ზე მეტი მუშა გვეყოლება. პარკის საშრობიც ჩვენ სხვანაირად გვექნება მოწყობილი. უწინ მზით აშრობდენ, ამას დიდი დრო უნდა, ჩვენ მექანიკურად გავაშრობთ, ეს უფრო ჩქარა იქნება და უფრო საიმედოც. ოესლის გამოყვანასაც აქ დავიწყებთ, იმედიანად გვესაუბრება დირექტორი—მუშა.

— ელექტრონის სადგურს ჩვენსას გავაკეთებთ, წყალი საკმარისი გვაქვს.

დავათვალიერეთ ეზო, ერთ კუთხეში ჰყრია ძველი ქარხნის ნამსხვრევები.

— ეს ჩვენ მოვშალეთ, არაფრის მაქნისია, რკინას წონით გავყიდით ან მოვიხმართ. განზრახული გვაქვს ბუძლის სანერგის მოწყობა. ერთს სანერგეს აქვე ვაკეთებთ—საჩვენებლათ. შემდეგ გლეხები ჩვენგან ისწავლიან და თვითონ დაირგავენ.

— როდის დაიწყებს ქარხანა მუშაობას?

— უეჭველათ უნდა გავხსნათ იმ დროისათვის, რო წრევანდელი მოსავალი აქ დავამუშაოთ.

აი ეს აქ მგონი პირველი მაგალითია, მაგრამ საუცხოო და ჩინებული მაგალითი იმისათვის, რომ კახეთის გლეხმა ლაინახოს საბჭოთა ხელისუფლების შრომის და მუშაობის უნარი. სირცხვილი იქნება, რომ ამ ქარხანამ ვერ იხეიროს, მაგრამ მე პირადათ ამაში ეჭვი არ შემდის. რაც კეთდება, საიმედო და საგულდაგულო გაკეთებულია.

— გაზეთები მოგდით? დავეკითხე ქარხნის გამგეს გამოთხოვებისას.

— როგორ არა!

— რატომ არაფერს სწერ თქვენი მუშაობის შესახებ?

— ბარემ რომ დავწერდით, მაგრამ არ გვცალია, აი თქვენ თვითონ მაინც დასწერეთ.

შევპირდი. ესეც ჩემი დაწერილი—ამით, ვითომც ეგეია, ვიხდი შეპირებულ ვალდებულობას, მაგრამ ეს არ კმარა.

ყვარელისაკენ

მე და ჩემ ამხანაგს დავალებული გვქონდა გლეხკორესპონდენტების თათბირს დავსწრებოდით. გამოირკვა, რომ ეს თათბირი მხოლოდ მეორე დღეს უნდა დაწყებულიყო და ისიც არა თვით თელავში. არამედ თელავიდან 35 ვერსის მანძილზე—ყვარელში.

საღამოს 5 საათზე გვარიანი რბენისა და წვალების შემდეგ ვიშოვეთ ეტლი და გავუდექით გზას.

ჩვენს გარდა თელავიდან თათბირზე დასასწრებლათ წამოვიდა კიდევ ორი ამხანაგი. ერთი მათგანი იყო ადგილობრივი პროკურორი.

თელავიდან ყვარელისაკენ ფართე შარა გზა მიდის.

ეს შარა, ვინ იცის, როდის შეაკეთეს. ეხლა ორმო-ჩორმო თხრილებით არის დასერილი. წინა ღამით იწვიმა და ერთი დღის განმავლობაში გაუშრობელი ტალახი სქელი ცომივით იდვა გზაზე.

გავცილდით თუ არა თელავს, გზადაგზა ჯგუფ-ჯგუფად ხშირად გვხვდებოდა თელავისაკენ მომავალი გლეხები. ზოგი ურმით მიდიოდა, ზოგი ლინეიკით, ზოგი ფეხით დადგომოდა გზა შუაგულს.

— აქ სოფლად „შვიდმაისობა" იციან, იქედან მოდიან, გვითხრეს თელაველებმა.

— არ ანებებენ თავს ძველ ჩვეულებებს?

— დაანებებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა, ხელაღებით, ვინ მოიშლის მამა-პაპისაგან შემოღებულ ადათებს.

— მეც კარგად ვხედავ, რომ ეს ჩქარა არ მოხდება. ამ ხალხში ფეხიზელი ცოტა უნდა იყოს..

— ფეხიზელი საიდან იქნებიან, სამი დღეა, ალბად, სმაში არიან.

— კახეთი ღვინის ქვეყანაა. კახელი უღვინოთ წარმოუდგენელია. გზაში, სახლში, კახელი და ღვინო განუყრელი არიან.

მახსოვს, უკან რომ ვბრუნდებოდი, გზაში ერთ შუახნის კახელს მივეწიე. დაკაპიწებული, ფეხშიშველა გადმოვიდა გადიდებულ ღელეზე, ზურგზე გუდა ეკიდა ტიკჭორით. ტიკი შენაკრულებული იყო, მაგრამ ერთი ჩაფი ღვინო მაინც იქნებოდა შიგ.

— ხომ არ ჰყიდით ღვინოს, შეეკითხა ერთი ჩვენთაგანი.

— არა, შენი ჭირიმე, გზათ მივდივარ, ისე თან მიმაქვს, მოგვცა პასუხი. როცა ცოტა გამოვიარეთ, კიდევ შევხვდით რამდენიმე მგზავრს „ლინეიკა" გაეჩერებიათ და ღვინოს შეექცეოდენ.

— მობრძანდით, დაგვლოცეთ! შემოგვეპატიჟენ ჩვენ და სანამ თითო-ოროლა ჭიქა არ დაგვალევიეს, არ მოგვეშვენ.

— თქვე მამაცხონებულო, ე, პირუტყვი გვებრალება, განა რატომ ვსვამთ? ტიკი სავსე იყო, ეხლა შევანახევრეთ, გზა ცუდია, უფრო იოლათ წაგვიყვანს ცხენები...

მაგრამ ეს აქეთობას იყო. მე ჯერ იქითობის ამბავი არ გამითავებია.

შეგვალამდა. წვიმაც წამოგვეწია.

— აი ეხლა დურუჯზე უნდა გავიაროთ—გვითხრა მეეტლემ,—ეს დურუჯი მდინარე ყოფილა ჩვენმა „დურუჯელებმა", როცა თავიანთი მანიფესტი გამოსცეს, მახსოვს, იქ ბლომად იყო ჩამოწერილი შმაგი, ხელი, შეუშპარიანი, ასეთი უნდა იყოს არტისტიო, ამბობდენ ისინი. არ ვიცი ეს თვისებები მათ შეიძინეს თუ არა და თუ შეიძინეს, რა საგანძურია ყველაფერი ეს არტისტისათვის, ოღონდ დურუჯი რომ შმაგიც არის, მართლაც შეუშპარიანი,—ეჭვს გარეშეა. წარმოიდგინეთ დინჯი კახელი გლეხი ამ გადარეული მდინარის (მეორე მდინარე მაინც იყოს, ერთი მოზრდილი ღელეა) გადამკიდე. მორბის, მოარღვევს ჭალებს, თითქმის ორი ვერსის მანძილს მოსდებია. წელს ერთ კიდეს მოაწვება წალეკავს ყველაფერს, საგაისოთ მეორე კიდესკენ გაიწევს. შემდეგ მოტრიალდება, თავის კალაპოტს მიატოვებს და შარა გზას გაუყვება. ეს კიდევ არაფერი, ხანდახან ჯაჭვიდან აწყვეტილი ნადირივით სოფელს შეუტევს ხოლმე და მთლად ააფორიაქებს იქაურობას.

—:—

ყვარელი

მივაღწიეთ ყვარელს. სოფლის პირობაზე კარგა მოგვიანებული იყო. როგორც იქნა, მივაგენით აღმასკომს.

თავმჯდომარე ჩვენ წინასწარ გავაფრთხილეთ—ტელეფონით ვაცნობეთ თელავიდან, მაგრამ აღმასკომში მხოლოდ დარაჯი დაგვხვდა. გავუგზავნეთ კაცი ბინაზე—დაბრუნდა ხელცარიელი.

— გაუცივებია, ავად არისო, გვითხრა. ჩვენ უცხო ხალხი ვიყავით—დავიჯერეთ, მაგრამ თელაველ ამხანაგებს თავმჯდომარის ასე მარცხად ავად გახდომა ჭკუაში არ დაუჯდათ.

— დათვრებოდა, ეგ ოხერი, ალბათ ველარ დგება ზეზე—ესაა და ეს, სთქვეს მათ.

გავაგზავნეთ სხვებთან კაცი, საჭირო იყო ბინის შოვა ღამის გასათევად. არც ერთი სახლში არ დაგვიხვდა.

ამ ღამეს ჩვენ კარგა ხანი დაგვჭირდა ცდა, სანამ ერთმა გლეხმა არ ჰქნა სიკეთე და არ გაგვათევია ღამე.

— ეს კარგი, ჩვენ აქ ერთხელ მოვედით. ერთ ღამეს კაცი როგორმე გაიჭირვებს. ზაფხულია, სხვა რომ არაფერი—გარეთ გავათევთ ღამეს, მაგრამ თქვენ რას შვრებით. თქვენ ხომ აქ ხშირად გიხდებათ ყოფნა? თანაც ხომ ყოველთვის ზაფხული არ არის, ზამთარში რომ ასეთ დღეში ჩავარდეთ, მაშინ რას ეწევით?—ვკითხე თელავიდან წამოსულ ამხანაგს.

— ასეთ მდგომარეობაში ვართ ყოველთვის—ესაა ჩვენი უბედურება. თუმენი რომ მისცე, ერთ კვერცხს არავინ მოგყიდის, სირცხვილია ფასის აღება, დუქანი ათასში ერთგან არ არის და, სადაც არის, იქაც ვერაფერს იშოვით.

ბოლოს, როგორც ვთქვი, ერთმა გლეხმა მოგვცა ბინა.

რაკი სახლში შეგიშვებს კახელი, შენ მისი სტუმარი ხარ. სტუმრის დახვედრა, კახელმა, სიცოცხლე გაქვთ იცის. გასმევს, გაჭმევს, მოგასვენებს.

—:—

მეორე დღეს ჩვენმა გლეხკორებმაც მოიყარეს თავი. ზანტათ იკრიბებოდენ, ჩვენ თავისუფალი დრო არ დავკარგეთ და მათ მოსვლამდე დავათვალიერეთ აქაური სახალხო სახლი. რაღაც დიდი კედლებია. გადახურულია, მაგრამ შიგნივ იატაკი, კარი და ფანჯრები ჯერაც არ მოუწყვიათ. პირდაპირ მიწაზე არის დადგმული გრძელ-გრძელი სკამები და, როგორც ჰგავს, აქ იკრიბებიან ხოლმე. შეიძლება ათასში ერთხელ წარმოდგენასაც მართავენ.

— ერთხელ კინოც გვქონდაო, გვანუგეშა თელაველმა ამხანაგმა.

— მერე ელექტრონი?

— ელექტრონი ჰქონდათ აქ. წისქვილის თვალით ამუშავებდენ, მაგრამ მანქანას ისეთი კარგი მომვლელი ჰყავდა, რომ მთლათ მოშალა, გააფუჭა და ეხლა დაუქმებულია ყველაფერი.

მართლაც ასვია ბოძები, გაყვანილია მავთული. სახლებშიც მოსჩანს აქა-იქ ჩამოკონწიალებული ელექტრონის ლამფები, მაგრამ სადგომში მხოლოდ შავად შეჭვარტლული ლამფის მეტი არაფერი აქვთ.

— ეს არის ილია ჭავჭავაძის სახლი, ეხლა იქ სამკითხველო გვაქვს.

სოფლათ არის გლეხები, რომლებსაც ახსოვთ თავადი ილია. ავად არ იხსენიებენ.

— კარგი ბატონი იყოო, მაგრამ ამ სიკარგის საბუთი უფრო ის უნდა იყოს, რომ ილია, ყვარელში დაბადებული, აქ იშვიათი სტუმარი ყოფილა.

—:—

სკოლაში

წავედით სკოლისაკენ. იქ უნდა შეკრებულიყო ჩვენი გლეხკორები.

საჭიროა ამ სკოლაზედაც ორიოდე სიტყვის თქმა.

აქ არსებობს შვიდ-წლიანი სასწავლებელი. შენობა ქვიტკირისაა. იქნებ სადმე გინახავთ გაცვებული, მიტოვებული ეკლესია. ეს შენობა უფრო ამას ჰგავს.

— ამ სიბნელეში რა უნდა ასწავლოთ ბავშვებს? ვკითხე მე მასწავლებელს.

— ეს კიდევ კარგი შენობაა. მე აქ ველისციხიდან გადმომიყვანეს, აბა შენობა თქვენ ის უნდა ნახოთ. არ გვეძლევა არაფერი... მოჰყვა იერემიას მოთქმას. მართლაც რომ ეთქმით მასწავლებლებს საყვედური. სასტიკ პირობებში მუშაობენ ისინი. სახელმძღვანელოები მათ არა აქვთ, სკოლა და მისი მოწყობილობა ისეთია, რომ იქ, არამც თუ სწავლება, შესვლა და გამოსვლა გაუჭირდება ადამიანს.

მაგრამ,—ვთქვათ, რომ ფული არავის მიუცია და მოწყობა უფულოთ შეუძლებელია, მაგრამ ფანჯრის შუშას სწორეთ ერთი გოჯა ჭუჭყი რომ აქვს გადაკრული, ამის გაწმენდას, რა დიდის საქმე უნდა?

შევედი ერთ ოთახში, ზევიდან წყალი ჩამოდის, სახურავი შესაკეთებელია, მაგრამ რატომ არავინ გაისჯება, რომ ორი კრამიტი შეაფაროს და წვიმა არ ჩამოუშვას. ამ დაუდევრობის წყალობით ზევიდან ჩამოსული წვიმის წყალს მთლად დაუშლია ფეხი და იატაკზე ჩემი იქ შესვლის დროს წყალი გუბეებათ იდგა.

— ეს ვიღაცას დაუსხამს, მოიბოდიშა მასწავლებელმა. მე მაშინ დაუჯერე, მაგრამ როდესაც ზევიდან წვეთა დაიწყო, შევატყვე, რომ ეს „ვიღაცას დაუსხამს" სიტყვის ბარაქათ იყო ნათქვამი.

დურუჯის მუქარა

ჩვენ გლეხკორების თათბირი გვქონდა. გლეხკორებმა ბლომათ მოიყარეს თავი.

რაც სათქმელი გვქონდა ვთქვით, მათი ნათქვამიც გავიგეთ.

ბოლოს სიტყვა ისევ იმავ დურუჯზე ჩამოვარდა. აქ ერთ ახირებულ ამბავს შევეხეჩეთ. ყვარელის გლეხებს—ვინ იცის როდის, ზვრებისა და ყანების მოსარწყავათ დურუჯიდან ერთი შტო სოფელზე გადმოუტარებიათ. მაგრამ დურუჯი (შეუშპარიანი დურუჯი!) განრისხებულა, არხის სათავე გაურღვევია და არხიანათ წამოსულა ყვარელის ბაღებსა და ქუჩებზე.

გლეხობას ეხლაც თვალწინ უდგა ამ რამდენიმე წლის წინათ მოვარდნილი დურუჯის მიერ მიყენებული ზარალი.

— დაგვინგრია სახლები, მარნები, (მარანია ხომ აქაური გლეხების მთავარი საგანძური და ხაზინა!), ვაი რომ ახლაც ასეთი ამბავი დაგვემართოს.

— რატომ თქვენი აღმასკომი არ გამოიღებს ხელს, შეკრიბოს ხალხი და გამოიყვანოს სამუშაოზე.

— ოღონდაც შევკრებდი, მაგრამ ეხლა ნებაყოფლობითი მუშაობით დაბეგვრა აკრძალულია. პასუხისგებაში მიმცემენ, მომიგო იქვე მყოფმა აღმასკომის თავმჯდომარემ.

პროკურორმაც დაადასტურა.

— ბეგარა აკრძალულია, მაგრამ თუ თქვენ გააკეთებთ საქმეს, რომ ეს უბედურება აიცდინოთ თავიდან, არავინ არაფერს გეტყვით მაგაზეო.

ასეთმა პასუხმა თავმჯდომარეს ვერ მისცა იმედი, რომ მას შემდეგ საყვედური ან სასჯელი არ შეხვდებოდა.

მტკივანი საკითხი

ქალაქიდან ჩამოსულ ხალხს სოფელში ხშირად „დიდ კაცებათ" სთვლიან. ბევრი ისეთი შეკითხვები მოგვცეს, რომლებზედაც პასუხის გაცემა ჩემთვის პირადათ ძნელი იყო. ასეთ პასუხის გაცემას კი მოითხოვს ცხოვრების დღევანდელი ვითარება.

— გაგვირკვიეთ: აქვს თუ არა ვინმეს უფლება, რომ მიწები გაჰყიდოს?—ასე ეწერა ერთ შეკითხვაში.

— ასეთი უფლება არავის არა აქვს, გადაჭრით უპასუხა პროკურორმა.

— კი ჰყიდიან და... წამოაწია სიტყვა ერთმა იქ დამსწრე გლეხმა.

— როგორ?

— როგორ და აი როგორ. ვთქვათ, აქვს მიწა რომელიმე გლეხს, მოინდომა მან იმის გაყიდვა. დადგამს ის ამ ნაჭერზე ერთ პატარა ქოხს, ან და არც ქოხს, საქათმეს, ფარდულს და შემდეგ შეუღლობს მუშტარს ქვეყნისა და კანონის მოსატყუებლად, ის ვითომც ამ შენობას ჰყიდის. მაგრამ ნამდვილათ კი მიწის ფულს ახდევინებს მყიდველს.

პროკურორმა ამაზე დიპლომატიური პასუხი გასცა.

— თუ დაუმტკიცდა, რომ...

— შეიძლება კი მაგის დამტკიცება?

— ეს, რა თქმა უნდა...

აქ „რა თქმა უნდა" კი არა, საჭიროა რაიმე გადაწყვეტილი და გარკვეული სიტყვის თქმა, თორემ სოფლად მიწის ყიდვა-გაყიდვა თანდათან უფრო და უფრო გავრცელდება.

ეს სიტყვა საბჭოთა კანონმდებელ ორგანოებმა უნდა სთქვან და თანაც, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ. ამბობენ, რომ ასეთი შემთხვევები პარტიის წევრებს შორისაც ყოფილა. პარტიის წევრი გლეხებიც ჰყიდიან თურმე ამ წესით ადგილებს; ეს ხომ მთლად უარისი.

პ. საყვარელიძე.

◆

აბრეშუმის პარკი

აბრეშუმის დამამზადებელ ორგანიზაციების ცნობით, გასულ წელს მთელ საქართველოში დამზადდა 140 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი. ეს მოსავალი 9 პროცენტით მეტია წინა წლის მოსავალზე.

დამზადებულ 140 ათას ფუთ პარკიდან სააქციონერო საზოგადოება „აბრეშუმმა" ნაღდ ფულზე შეიძინა 1,841,542 მანეთის პარკი, რომელიც გააშრო საკუთარ და სამომხმარებლო კოოპერატივების პარკის საშრობებში.

აბრეშუმის მეურნეობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ქუთაისის მაზრას, შემდეგ ოზურგეთს და ზუგდიდს.

აღმშენებლობა აჭარისტანში

ამჟამად თბილისში მყოფმა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **მოიდინ სურმანიძემ**, აჭარისტანში წარმოებულ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ, ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

მომჭირნეობის რეჟიმმა თვისი გამოხმაურება ჰპოვა აჭარისტანში. აქ მისი გატარება, სხვათა შორის, გამოიხატა შტატების შემცირებაში და მუშ მოსამსახურეებზე ავანსების გაცემის შეწყვეტაში. შტატები შემცირებულია 40 პროცენტით, რაც სრულიად უმტკივნეულოდ ჩატარდა.



ამხ. მოიდინ სურმანიძე.

ხულოს მაზრაში გაკეთდა შუა-ხევის ხიდი, რომელიც გაიხსნება 6 ივნისს. ამ ხიდს დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანისათვის, რადგან ის აკავშირებს ერთმანეთთან მთელ რიგ სოფლებს.

რამოდენიმე თვის შემდეგ მზად იქნება მერისის გზა—ქედის მაზრაში, სხალთის გზა—ხულოს მაზრაში. დაწყებულია და სამი თვის განმავლობაში დამთავრდება უჩამფას გაყვანა. ქობულეთის მაზრაში ცოტა მოგვიანებით დამთავრდება ჭახადის გზის გაყვანა.

დაზიანებულია ბათომ-ახალციხეს გზატკეცილი. თუ მისი შეკეთება დროზე არ მოხდა—შემდეგში დასჭირდება გაცილებით მეტი ხარჯები და დრო მის აღდგენას. ჩვენს მიერ აღძრულია სათანადო შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ გზატკეცილი დროზე იქნას შეკეთებული.

გაცხარებული მუშაობა სწარმოებს აჭარის-წყლის ჰიდრო-ელექტრო-სადგურზე. თუ ასე შეუფერხებლად გაგრძელდება მუშაობა, ვიმედოვნებთ, რომ სადგური დაპირებულ დროისათვის მზად იქნება.

სასურველად მიმდინარეობს გლეხებისათვის გადასაცემ ტყეების გამოყოფა. ჯერ ეს სავსებით არ დასრულდება, მაგრამ მაინც არ ვაყოვნებთ გლეხებისათვის საჭირო სატყეო მასალის გაცემას, როგორიც არის, მაგალითად, საშენებელი ხე-ტყე, შეშა და სხვა.

საბჭოთა მამულებში გაჩაღებულია მუშაობა. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოები დროზე შესძლებენ ამ მდგომარეობის სათანადოთ გამოყენებას.

ჩვენმა სასწავლებლებმა უკვე დაითხოვეს მოწაფეები, რომლებიც წავიდნენ სოფლებში, რათა დაეხმარონ უკვე სამუშაოდ გასულ ფუხარა ხალხს. საუკეთესოდ მუშაობს წერკუმსიც, რომლის საქმიანობას ფუხარა ხალხი დიდი ნდობით უყურებს.

ამუშავებულია საკასრე ქარხანა. მიღებულია ზომები, რომ სხვა ქარხნების მუშაობაში არ მოხდეს შეფერხება.

აჭარცეკავშირის საშუალებით შევსძელით 20 ვაგონი სიმინდის მიწოდება სოფლებისათვის და მისი უზრუნველყოფა მარილით, ნავთით და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნებით.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა რაიონებში გახსნილია საექიმო პუნქტები, საიდანაც მშრომელნი გარდა საექიმო დახმარებისა ღებულობენ უფასოდ წამლებსაც.

მთავრობის მიერ მიღებულია სასტიკი ადმინისტრატიული ზომები კონტრაბანდის წინააღმდეგ, რამაც უკვე გამოიღო საგრძნობი ნაყოფი.

თუ ასეთი სწრაფი ნაბიჯით გაგრძელდა საბჭოთა აღმშენებლობა აჭარისტანში, ეჭვი არაა, რომ უახლოეს ხანში ჩვენი კუთხე ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს მთელ საბჭოთა კავშირში.

◆

ბანკებში

სამრეწველო ბანკი.

სამრეწველო ბანკის საქართველოს კანტორასთან არსებულმა ეკონომიის რეჟიმის გამტარებელმა კომისიამ მოახდინა ბანკის ყველა სალაროების და განყოფილებების შტატის და ხარჯების გადასინჯვა. ამასთან ერთად მოეწყო ეკონომიური თათბირი, რომელსაც დაესწრენ ბანკის ყველა პასუხისმგებელი თანამშრომელნი. თათბირზე ეკონომიის რეჟიმის გამტარებელმა კომისიამ გააკეთა მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ბანკის სხვადასხვა განყოფილებების მოსამსახურეთა შტატები ნორმალურია, მოსამსახურეების დატვირთვა სამუშაოებით ნორმალურია, რაც დადასტურებულია ინსპექტორების მიერ მოხდენილი რევიზიებით. ეკონომიური კომისიის დასკვნა ასეთია: სამრეწველო ბანკის საქართველოს კანტორის მიერ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში დახარჯულია მეტი, ვიდრე ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული. ზედმეტი ხარჯები კომისიის აზრით აიხსნება შემდეგი გარემოებით: საოპერაციო წლის პირველ ნახევარში ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციები მეტად გაიზარდა; ამ პერიოდში შესრულებულ იქნა წლიური ოპერაციების თითქმის 20 პროცენტი. ამის გამო აუცილებელი შეიქმნა შტატის გადიდება, რომელიც 6—7% არ ასცილდება.

ხარჯების გადიდება გამოუწვევია აგრეთვე სატარიფო განაკვეთების მომატებას, საკანცელარიო ნივთების გაძვირებას, სპეციალისტების დაჯილდოებას, წლიური ანგარიშების შედგენას, ავანს, 1—2 წლის საშვებულებო კომპენსაციების გადახდას, ხშირათ სატრანსპორტო გადაზიდვას და სხვას. საერთოდ კომისია აღნიშნავს კანტორის მიერ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ თანხ. მომჭირნეობით ხარჯვას და მომჭირნეობის გაძლიერების მიზნით წინადადებას აძლევს კანტორას: მოახდინოს ტეხნიკურ თანამშრომელთა გადაჯგუფება, შეამციროს საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები ფასიან საპასუხო დეპეშების გაუქმების გზით, გამოყოს კომისია საჭირო ნივთების შესაძენად და შეძენილ ნივთების შესამოწმებლად და სამეთვალყუროდ.

ა.-კ. სასოფლო სამეურნეო ბანკი

მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისია მოწყობილა სასოფლო სამეურნეო ბანკში. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. ამ ჟამად აწარმოებს ბანკის სალაროების და განყოფილებ. შტატის გამოკვლევას. განზრახულია ბანკის მოსამსახურეთა შტატი შემცირებული იქნეს 10%-ით. ამავე დროს მუშავდება გეგმა საქმის წარმოების სარეორგანიზაციოდ, რამაც საგრძნობლად უნდა შეამციროს ხარჯები.

მუშავდება აგრეთვე გეგმა სამუშაო დღის და აგრეთვე ყველა განყოფილებების სრულ დატვირთვისათვის. განზრახულია აგრეთვე მინიმუმადე დაყვანილი იქნეს საფოსტო-სატელეგრაფო ხარ[illegible] გასავლის მნიშვნ[illegible]

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნათესების მდგომარეობა კარგია

ქუთაისი, 29 მაისი. წვიმების შემდეგ ნათესების მდგომარეობა უმჯობესდება. ქუთაისის მაზრის ბევრ ადგილებში, რომლებშიაც გვალვების გამო მუშაობა შეჩერებული იყო, წვიმების მოსვლის შემდეგ მუშაობა კვლავ განახლდა.

მეცადინეობის დამთავრება

ქუთაისი, 29 მაისი. მეცადინეობა ყველა ოთხწლედებში 9 ივნისს დამთავრდება.

ცხრაწლედებსა და შვიდწლედებში მეცადინეობა დამთავრდება 25 ივნისს, რის შემდეგაც შეუდგებიან გამოცდებს.

არაჩვეულებრივი წყალდიდობა

თელავი, 27 მაისი. განუწყვეტელი წვიმების გამო კახეთის მდინარეები არაჩვეულებრივად ადიდდენ.

მდ. ალაზანზე გადასვლა შეუძლებელია. წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა მევენახეებს. მრავალი წისქვილი წაიღო წყალმა. სოფლებს შორის ურთიერთობა შეწყვეტილია. არის ადამიანების მსხვერპლიც. წვიმებმა შეაჩერა მინდვრის მუშაობა. მეცხვარეებს არ შეუძლიათ მთაზე ასვლა, ვინაიდან მთებში არაჩვეულებრივი სიცივეებია.

თეატრის გაძარცვა

თელავი; 27 მაისი. 25 მაისს სახალხო თეატრის კასა გასტეხეს და წაიღეს მთელი შემოსავალი. სახალხო თეატრის კასის გაძარცვის ეს მეორე მაგალითია.

ტყეების დაცვა

თელავი, 29 მაისი. სამაზრო აღმასკომმა დაადგენა გადიდებულ იქნეს ტყის მცველთა რიცხვი ტყეების უკეთესად მოვლის მიზნით. საბიუჯეტო კომისიას წინადადება მიეცა შეიტანოს ეს ხარჯები ბიუჯეტში.

თელავის საავადმყოფო

თელავი, 29 მაისი. თელავის საავადმყოფო ერთად-ერთი საავადმყოფოა მაზრაში, რომელსაც აქვს ქირურგიული განყოფილება და სამშობიარო თავშესაფარი. საავადმყოფოში 25 საწოლია; გასული წლის განმავლობაში საავადმყოფოში ყოფილა 15.000 ავადმყოფი. საავადმყოფოში ავადმყოფთა რიცხვი ყოველთვის ნორმაზე მეტია. შენობა ძველია, ესაჭიროება რემონტი. საექიმო პერსონალი არ არის საკმაო.

საძოვრების საქმის მომწესრიგებელი კომისია

ახალქალაქი, 29 მაისი. ჩამოვიდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოყოფილი სპეციალური კიმისია; კომისიამ უნდა გამოარკვიოს შემდეგი საკითხები: შეიძლება თუ არა დამატებით საძოვრების დათმობა მეცხვარეებისათვის და რამდენად მოხერხდება საქონლის გადარეკა ოსმალეთის საძოვრებზე.

გლეხკორთა თათბირი

ახალქალაქი, 29 მაისი. 25 მაისს შესდგა ადგილობრივ გაზეთის „რანჩპარ“-ის გლეხ კორესპონდენტთა პირველი თათბირი. თათბირს 50-დე გლეხკორი დაესწრო.

ტრაქტორით მოხვნა

ახალქალაქი, 29 მაისი. 20 დესეტინა მიწაზე, რომელიც სპეციალურად დაეთმო საკრედიტო ამხანაგობას, მუშაობს ტრაქტორი „ხელტი“. მიწის დამუშავება მხოლოდ მანქანით სწარმოებს.

დახმარება სარძევე არტელების კავშირს

ახალქალაქი, 29 მაისი. აღმასკომმა სარძევე არტელების კავშირს მისცა კრედიტი 5.000 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა კავშირმა მიიღო 5.000 მანეთი იმ 10.000 მანეთის ანგარიშში, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა მას სარძევე საქმის განსავითარებლად.

საზაფხულო ს[illegible]რებზე

ახალქალაქი, 29 მაისი. დაიწყეს ცხვრების გარეკვა საზაფხულო საძოვრებზე. ჯერ-ჯერობით გარეკილია 1.000 ცხვარი, რომელიც თუშ მეცხვარეებს ეკუთვნის.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალქალაქი, 29 მაისი. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოანგარიშებული იქნეს არა სახნავ მიწის, არამედ ნათესების მიხედვით, რის შესახებაც აღძრულია სათანადო შუამდგომლობა.

რძის პროდუქტების დამზადება

ახალქალაქი, 29 მაისი. სარძევე არტელების კავშირმა ხელშეკრულება დასდო ყველა სარძევე არტელებთან კავშირისათვის რძის პროდუქტების მიწოდების შესახებ. რძის პროდუქტების გასაღების შემდეგ კავშირი უხდის არტელებს სრულ ღირებულებას საორგანიზაციო ხარჯების გამოკლებით. პროდუქტების გასაშრობლად ეწყობა საწყობები და სავაჭრო პუნქტები.

წვიმები

ახალქალაქი, 29 მაისი. წვიმების გამო გლეხებმა ყოველგან ვერ მოასწრეს ყანების დათესვა.

საჩუქარი განათლების სახალხო კომისარიატისაგან

ახალქალაქი, 29 მაისი. განათლების სახალხო კომისარიატმა აჩუქა აღმასკომს სამხედრო ორკესტრის ინსტრუმენტები, წიგნები და სახელმძღვანელოები სკოლებისათვის.

აჭარისტანი

მუშათა ქალაქი

ბათომი, 29 მაისი. კვირის ახალი პარტიის მიღების შემდეგ, ნავთის სინდიკატის მუშთა ქალაქის აშენება ისევ განახლდა. მუშათა ქალაქის გარდა აიგება მექანიკური და ელექტროსადგური.

ნავთსადგურში

ბათომი, 29 მაისი. ნავთის სინდიკატმა ოსმალეთში გაგზავნა 25.000 ბიდონი ნავთი. გავიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი, რომელმაც ფქვილი ჩამოიტანა. ამ.-კავკასიის სახ. ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ საფრანგეთში გაგზავნა 2.000 ძვირფასი ტყავეული და 50 კიპა ხალიჩა.

ხარჯების შემცირების მიზნით, ჯანმრთელობის კომისარიატი 5 სარაიონო ამბულატორიას ერთ მთლიან ამბულატორიათ გააერთიანებს.

აფხაზეთი

მუშკოოპის კრიზისი

სოხუმი, 29 მაისი. სოხუმის მუშკოოპი მძიმე ფინანსიურ კრიზისს განიცდის. გაპროტესტებულია 40.000 მან. თამასუქები. კოოპერატიულმა კომისიამ თავის სხდომაზე უარი უთხრა მუშკოოპს 70.000 მან. გრძელვადიან სესხის მიცემის შუამდგომლობაზე, და წინადადება მისცა მას შეკუმშოს თავისი მუშაობა, დასტოვოს ექვსი დუქნიდან მხოლოდ ორი, რომლებიც ამჟამად მუშაობას აწარმოებენ.

თამბაქოს მრეწველობის გაფართოება

სოხუმი, 29 მაისი. აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობის გაფართოების მიზნით განზრახულია სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის სააქციო წესზე გადაყვანა. ამ საკითხის შესახებ მომხდარ წინასწარ თათბირმა, რომელზედაც დაესწრენ დამარსებელნი და აფხაზეთის სახ. ვაჭრობისა, თამბქოს კავშირის წარმომადგენელნი, პრინციპიალური თანხმობა განაცხადა საზოგადოებაში შესვლაზე—50.000 მან. კაპიტალით თითო მონაწილის მხრივ.

დასასვენებელი სახლი გუდაუთში

სოხუმი, 29 მაისი. 10 ივნისს გუდაუთში შესდგა ლენინგრადის თამბაქოს ქარხნის დასასვენებელი სახლის გახსნა. დასასვენებელ სახლში მხოლოდ ლენინგრადის თამბაქოს მრეწველობის მუშები გაიგზავნებიან.

სამხრეთ-ოსეთი

გაუპატიურება

ცხინვალი, 29 მაისი. ცხინვალის რაიონის სოფ. ერედვის მცხოვრებმა ყოფილმა სახალხო გვარდიელმა გიგა ბერუაშვილმა, 37 წლისამ, გააუპატიურა ამავე სოფლის 9 წლის გოგო, რომელიც ავად გახდა და საავადმყოფოში წევს.

ბერუაშვილი დატუსაღებულია. როგორც ირკვევა, დამნაშავე, 1920 წელს, როცა გვარდიელად იყო ბევრ უწესოებას სჩადიოდა რაიონში.

ქარხნის აღდგენა

ცხინვალი, 29 მაისი. ამ ახლო ხანში ყოფილ გულიევსკის ახლად მოწყობილ სამელების ქარხანას გახსნიან. ქარხნის წლიური ნაყოფიერება 3 მილ. ფუთამდე აღწევს. ჩრდილოეთოსეთის ცაკი 24 პრაქტიკანტს აგზავნის რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში სახამებლის საქმეში სპეციალურ ცოდნის შესაძენად.

სტიქიურ უბედურებით გამოწვეულ ზარალის აღრიცხვა

ცხინვალი, 29 მაისი. მრავალი რაიონიდან მოდის ცნობები სტიქიურ უბედურების შესახებ. ზარალის აღსარიცხავად სამხრეთ-ოსეთის ცაკმა გუშინ აირჩია საგანგებო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას და დაზარალებულ რაიონებში გაემგზავრება.

წერილები

„საქმე“ 28 ათასის შესახებ

(ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტისაგან)

საქმე № 150, სქელტანიანი, სავსეა 28 ათასის გაფლანგვის ფაქტიური დოკუმენტებით, მოწმეებისა და მთელი რიგი ბრალდებულების ჩვენებით. აქ არის მთელი სამწუხარო ისტორია, „სიყვარული“-ს მსხვერპლათ ქცეულ 28 ათასისა.

ზუგდიდის მაზრა. სოფ. ლია. ფ.-ტელეგრაფის უწყება და გმირი მთელი საქმისა დ. შელია; იგი დარაჯიც არის, ტელეგრაფის მოხელეც და გამგეც ფ.-ტ. განყოფილებისა. ამავე დროს ლიის კოოპერატივის სარევიზიო კომისიის წევრიც. შელია ლიის საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, როგორც გულკეთილი, ხელგაშლილი და სანდო კაცი. ერთ დროს ადგილობრივი პროფკავშირის თავმჯდომარეც ყოფილა. უპარტიო—„გლეხი“, ცოლიანი, მაგრამ!.. ვაი, ისეთ ცოლს ,მასთან უკმაყოფილებას ოჯახურ ნიადაგზე, და აყალ-მაყალს სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, ეს კი თავისი მხრით საქმეებით დატვირთულ შელიას დავთარს უზნევდა.

1925 წლის ივნისიდან აგვისტოს უკანასკნელ დღეებამდე იარმუკობაა. ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას სიცოცხლე დაეტყო, სამუშაო მოაწვა, თანხების გადაგზავნ-გადმოგზავნა გახშირდა. შელიას უჭირს.. მით უმეტეს, რომ იმ ხანებში ცოლთან ურთიერთობა მეტად გამწვავდა, ხშირათ „შეცდომებს“ უშვებს, აზრი „ებნევა“.

გაქცევამდე შელია „არსენასებურ“ გულუხვობას ეწევა. ღარიბ სტუდენტებს ეხმარებოდა ნივთიერათ (100,150 მ.), ერთ გლეხს რომ შეხედა მხრით ტომარა მიჰქონდა, ცხენი უყიდა (180, 200 მ.) და ისი ვისაც მან გატაცებული ფულის ნახევარი მისცა, ეს გახლდათ 6 წლის შეყვარებული იმოგენა სამუშია. სიმამრს სახლის ასაგები ფული მისცა, ასე და ამგვარათ. შეყვარებულს ხან აბანოზე გზავნიდა, ხან ძვირფასი ნივთებით ამკობდა, არ აკლებდა მოწყალებას მათხოვრებს: აი არსენას გული, მხოლოდ სახელმწიფო ხაზინა და მისი ჯიბე. ასე მან გაქცევამდი 5 ათას მანეთამდე გაფლანგა.

სექტემბერში მოლაპარაკებას აწარმოებს იმოგენასთან, აგროვებს თანხებს, ემზადება, ეშინია რევიზიის... და 7 სექტემბერს, შელიხ უგზო-უკვლოთ დაიკარგა. ყველას უკვირს... სასწრაფოთ მომხდარმა რევიზიამ გამოარკვია, რომ ამ ხელგაშლილ, სანდო ადამიანს 28160 მანეთი გაუტაცებია. აპირებდა საზღვარ-გარეთ გაპარვას იმოგენასთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხა, სამურზაყანოს „დებიტორებს“ შერჩა და ამასობაში იმავე წლის 29 ნოემბერს დააპატიმრეს.

დღეს კი, სდგას მუშურ-გლეხურ სასამართლოს წინაშე და შეწყალებას თხოულობს, როგორც 60 პროცენტით უნარდაკარგული ავადმყოფი, გულის ფრიალით შეპყრობილი.

ბრალდებულის სკამზე 12 კაცი ზის, არც ერთმა ქართული არ იცის, მოწვეულია თარჯიმანი ჯორჯიკია.

დაპატიმრებამდე დიმიტრი შელია ძველებური ხელგაშლილობით არიგებს თანხებს, თავის საყვარელ იმოგენას გადასცა 14.644 მანეთი, გელენავებს, სადაც ის იმალებოდა, . ასესხა 4.000, რომლებმაც გააჩაღეს ვაჭრობა, მაგრამ ფული მოთხოვნისთანავე ვერ მიართვეს შელიას და მოკვლაც კი დაუპირეს, მთელი თანხის ხელში ჩაგდების მიზნით. ფიფიებს მისცა სარგებელით 8.000 მანეთამდე. ვილაც თორიაზე (რომელმაც თავი მოიკლა) თითქოს 6000 მანეთი მიუცია, ხოლო დანარჩენი ფული უშუალოდ საკუთარ საჭიროებისათვის აქვს დახარჯული. ხაზინამ გაფლანგულ ფულიდან დაიბრუნა 17.669 მან., დანარჩენი 10.495, ბრ. შელიამ მიითვისა და გაფლანგა.

საოლქო სასამართლომ საქმის გარჩევა საჯაროთ მოაწყო.

გასამართლებას აუარებელი ხალხი აწყდებოდა. ქუთაისისათვის უჩვეულო მოვლენა იყო 1000-ბით თავს იყრიდა ხალხი თეატრთან, უკანასკნელ დღეს 10 დააპატიმრეს უწესრიგობისათვის. ძალიან ბევრი დარჩა გარეთ—26 მაისს, საღამოს 8 საათზე, 8 საათის თათბირის შემდეგ, სასამართლომ ბრალდებული დააჯილდოვა 10 წლის ციხით, ხოლო დანარჩენ 3-ს ორ-ორი წლის ციხე—ხელის შეწყობისათვის. 8 ბრალდებული სრულიად გაანთავისუფლეს. ხალხი ტაშის გრიალით მიეგება განაჩენს.

აღსანიშნავია, რომ გასამართლებამ მასიური ხასიათი მიიღო. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. სასურველია, რომ საოლქო სასამართლო ასეთი დიდ საქმეების გარჩევას საჯაროთ მოახდენდეს, რაიც საბჭოთა კანონიერების და მართლმსაჯულების საუკეთესო პროპაგანდას წარმოადგენს.

ქ. ნ.

ქვრივ სპანდერაშვილის დავა

(ს. საქობო, სიღნ. მ.)

— მივედით სტქვა მსაჯულმა და ჩამოსხდით ეტლიდან. სასამართლო ათვალიერებს სადაო კარ-მიდამოს: ვენახს, სახლს, საბოსტნეს და საყანე მიწებს, რასაც ქვრივი მაგდანა სპანდერაშვილი უჩივის თავის სიძე, კოტე გაბაშვილს. ჩალით დახურულ, ნესტიან ქოხში თავმჯდომარე სასამართლოს სხდომას გახსნილათ აცხადებს. მიმართავს მხარეებს და სთხოვს შერიგებით გაათავონ საქმე, მაგრამ მოდავეეი არ თანხმდებიან.

ქვრივი მაგდან სპანდერაშვილისა, ღრმად მოხუცებული დედაკაცი, შავში ჩაცმული, ძალზე წელში მოხრილი, ჯოხით ხელში, წარსდგება სასამართლოს წინ და ჩივის:

— შვილებო! ეს კაცი 13 წელიწადია, რაც ჩვენსას სიძეთ შემოვიდა. არაფერი მას არ გააჩნდა, საკუთარი თავის მეტი. ამდენი ხანია ერთადა ვართ, ვშრომობდით, ვმუშაობდით, და ეხლა, როცა ჩემი ქალი, ამ სამი წლის უკან გარდაიცვალა, დამიწყო შეურაცყოფის მიყენება: მცემს, მლანძღავს, მიგინებს ცოცხალმკვდარს, მაგდებს საკუთარი სახლიდან, მართმევს კარ-მიდამოს და შეუბრალებლათ მტახჯავს. გთხოვთ სამართლიანობას... ყველაფერი ჩემია, მას არაფერი ეკუთვნის...

როგორ თუ არაფერი აწყვეტინებს სიტყვას მოპასუხე გაბაშვილი,—მთელი ჩემი ჯანი აქ ჩამიყრია, აქ მიღვრია ოფლი, გივლიდით, გარჩენდით, სახლი ამიშენებია, ვენახი გამიშენებია, მოსავალი მომიყვანია, თქვენთვის ჩამიცეცხლებია და ეხლა გინდა, რომ აქედან გამაგდო?!

მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა, რომ მოპასუხე გაბაშვილი მისულა მომჩივანთან ზედ-სიძეთ, გაუშენებია სახლი, ვენახი.—13 წელიწადი ერთად უცხოვრიათ. 3 წლის უკან გარდაცვლილა ცოლი, რომლიდგანაც დარჩენია ობოლი, 12 წლისა. სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება:

...„მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ კოტე გაბაშვილი მისულა მომჩივანთან ზედ-სიძედ, აუშენებია ერთი ალიზის სახლი და ერთი ჩარექი ვაზიანი ვენახი; გარდა ამისა ამ კომლს უსარგებლია საბოსტნე და სახნავი მიწებით დაახლოვებით დესეტინა ნახევრამდე, რომ მოპასუხეს ყოლია მომჩივრის ქალთან ცხოვრების დროს ერთი შვილი 12 წლისა, რომელიც ამჟამად ცოცხალია, რომ მოპასუხეს ჰკვდომია ცოლი 3 წლის წინათ რის შემდეგ მოსვლიათ ოჯახური უსიამოვნება, რომ სადაო სახლი და ვენახი—დაახლოვებით ერთი ჩარექი, აშენებულია მხარეთა შორის ერთად ცხოვრების დროს—დაადგინა: სადაო სახლი ცნობილი იყოს მომჩივარი მაგდან სპანდერაშვილის, კოტე გაბაშვილის და დარჩენილ ობლის საკუთრებათ. ხოლო სანამ მაძიელი მაგდანა ცოცხალია—იცხოვროს აღნიშნულ სახლში; მასვე მიეცეს ერთი მესამედი ვენახის შემოსავლიდან, ორი მესამედი კი დარჩეს მოპასუხე კოტე გაბაშვილს და მის ობოლს“. ვენახისა და მიწების განაწილებაზე უარი ეთქვას მომჩივანს.

გრიშა ცანავა.

წერილებიდან

მცხეთა

დაუშვებელი საქციელი. ამას წინათ ადგილობრივ მილიციის უფროსს სოხაძეს თბილისიდან ეწვია ცოლი. სწორეთ ამ დღეს სოხაძეს სხვა ქალი ჰყავდა სახლში. მოსულ ცოლს მან და მისმა ახალ მეგობარ ქალმა დაუზოგავათ სცემეს და ისე გამოისტუმრეს. რამდენად დასაშვებია პასუხისმგებელ პირის ასეთი უხეში საქციელი თვის ცოლის მიმართ?

ღამის ბუშაგი.

ცაიში (ზუგ. მაზრა)

სიბნელის წინააღმდეგ. ინტელიგენციის გაერთიანებულმა ყრილობამ დაადგინა გასწიონ თემში სასტიკი ბრძოლა და პროპაგანდა მავნე ზნე-ჩვეულებისა და ყოველგვარი ცრუ-მორწმუნეობის წინააღმდეგ. შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც გადასდგა ნაბიჯი ქელეხ-ქორწინების მოსასპობად და სდგება სია იმ გლეხთა, ვინც გვერდში უდგება ყრილობის დადგენილებას.

საგარეჯო (გარე-კახ.)

აღმასკომო, სადა ხარ? ერთი თვის წინათ ეფრემ გოდერძიშვილმა დაიბევა ევა ქარსაულიძის ვენახი. ამ მამულს აქამდე ამუშავებდა ღარიბი გლეხი მიხო ქარსაულიძე. ასეთი შემთხვევები ჩვენში ბევრია. მიწის ყიდვა-გაყიდვაც ხშირათ სწარმოებს. აღმასკომი კი ყურს არ იფხეკავს.

აქაური გლეხი.

ს. ნადოკრა (ერწოს რ.)

სამკითხველო არა გვაქვს. ჩვენი სოფელი წინად ჩამორჩენილი იყო კულტურულად. დღეს აქ სკოლა არის და გლეხობა დიდი აღტაცებით ეტანება სწავლა-განათლებას. ცუდია მხოლოდ, რომ აქამდე ქოხ-სამკითხველო არა გვაქვს. მოთხოვნილება ჟურნალ-გაზეთებზე კი დიდია. ვფიქრობთ, თბილისის განათლების განყოფილება მიაქცევს ამ მდგომარეობას ყურადღებას.

წიკლაური.

სოფლის ქრონიკა

—**ახალციხის** აღმასკომმა მაზრაში სისუფთავის დასაცავად გამოსცა სავალდებულო დადგენილება.

— **დაზღვევა.** სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა დააზღვიოს თავის მამულების ვენახები.

— **საძოვრები.** ახალქალაქის აღმასკომმა მესაქონლე არტელებს დართო ნება საქონელი აძოვონ საზოგადო საძოვრებზე.

—- **სოფ. ყიტაანი** გამოეყო ახაშნის თემს და მიეწერა ველისციხის თემს.

— **იურიდიული სექციები.** ახალციხის მაზრაში, სათემო აღმასკომებთან არსდება იურიდიული სექციები.

— **სამრეწველო ტეხნიკუმისათვის** სიღნაღის აღმასკომი იძენს კაბინეტ-ლაბორატორიას.

— **ბორჩალოს** აღმასკომი შეუდგა ხე-ტყის ʼახერხ ქარხნის მოწყობა-გადახალისებას.

— **სატელეფონო კავშირი.** შინდისის თემაღმასკომი შეუდგა ცხინვალთან სატელეფონო კავშირის აღდგენას.

— **გზის შეკეთება.** სოფ. საქაშეთის გლეხები შეუდგენ სოფლის გზების შეკეთებას.

მუშათა ცხოვრება

მეწაღე ბალდასარიანცის ოინები.

(მუშის შენიშვნა).

ვერის დაღმართზე, სახ. № 3-ში, არის მეწაღე ბალდასარიანცის პატარ-პატარა, სახელოსნო. მის გვერდზე კი ახლად ვაღებული სადალაქოა, რომელსაც მეწაღედან ჰყოფს თხელი ფიცრის კედელი.

ვზივარ, წვერს ვიპარსავ. ჩემი დალაქი დახელოვნებული ხელით მსუბუქად მაცლის ლოყებიდან ბალნის ბუჩქებს, ხან მარჯვნიდან მივლის, ხან მარცხნიდან.

მეწაღეს მხრიდან ისმის საშინელი ყვირილი, აურ-ზაური და შემაძრწუნებელი ხმაურობა.

— ეს რა ამბავია?—ვეკითხები წყნარად დალაქს.

— ეს ბალდასარიანცი ეჩხუბება თავის მუშებს,—კავშირში რად ჩაეწერეთო!—მიპასუხა ჩემმა დალაქმა.

— როგორ? ბალდასარიანცი უკრძალავს მუშებს კავშირში ჩაწერას აქ, მუშათა რესპუბლიკის დედაქალაქში?!

— დიახ!...

გამოვდივარ სადალაქოდან გაპარსული, გალამაზებული. ჩავდივარ სახლში. აქაც ბალდასარიანცზეა ლაპარაკი და უბედურება. ირკვევა, რომ იგი ატყუებს დამქირავებლებს: გამოართმევს წინდაწინ ფულს და შემდეგ მთელი თვეობით ატარებს წინ და უკან, „დღეს“, „ხვალ“, „ზეგ“, „მაზეგ“,—ეუბნება ის და ამითი იძულებული უნდა ჰყოს იგი ბედ მიცემულ ფულზე ხელი აიღოს!

— ბალდასარა ეჩხუბება თავის მუშებს—კავშირში რად ჩაეწერეთო!

— ვინ მოარჯულებს თავგასულ ბალდასარას?!

მუშა **ნიკო ახ—ლი.**

თბილისის აღმასკომში.

თბილისის აღმასკომში არსებობს ექვსი ადგილკომი: მიწა-ტყის, სახალხო განათლების, ზაჰესის, ჯანმრთელობის, საბჭოთა მუშაკების და კომუნ. მეურნეობის („უქსის“). აღნიშნულ ადგილკომებში ზოგიერთი ადგილკომი უშვებდა ცალკე კედლის გაზეთს, რაც ერთ დაწესებულებაში მიზანშეწონილი არ იყო. ამისათვის დადგენილ იქნა ერთი მოზრდილი კედლის გაზეთის გამოცემა, ნაცვლად რამოდენიმე კედლის გაზეთისა, რაც სისრულეშიაც იქნა მოყვანილი. ექვს თვეზე მეტია გამოდის ერთი მოზრდილი ფორმატის გაზეთი „აღმასკომის თვალი“-ს სახელწოდებით. გაზეთი გამოდის 7 ეგზემპლიარად, ხელმძღვანელები კარგი ჰყავს და შინაარსითაც კარგია. ჰყავს აგრეთვე საკმაო რაოდენობით კორესპონდენტებიც; უკვე გამოსულია 9 ნომერი. ამ ბოლო დროს კი მისი გამოცემა ფერხდება და, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ორკვირეულია, უსახსრობის გამო თვეში ერთხელაც ძლივს გამოდის.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, თითო ადგილკომზე მოდის თვეში 2 მან. ხარჯების [illegible] რაგად, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო ს[illegible] მუშაკების და „უქსის“ ადგილკომები [illegible] რეგულიარულად ამას, დანარჩენი ადგილკომები კი ყურებსაც არ იბერტყავენ.

ნუ თუ დანარჩენ ადგილკომებს, ან მათთან არსებულ კულტკომისიებს არ აინტერესებთ ერთად-ერთი კედლის გაზეთის არსებობა და მისი არსებობისათვის ხელსშეწყობა? ან რას უნდა მივაწეროთ გაზეთისადმი ასეთი გულგრილობა? ეს ადგილკომების დაქვეითებად უნდა ჩაითვალოს. მრავალი მიწერ-მოწერის შემდეგ შეგვპირდენ ფულის გადახდას. ვნახოთ, გახდებიან თუ არა კულტუროსნები.

მუშკორი მეთვალყურე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მორიგი შვებულებები უნდა მიეცეთ დანიშნულ დროზე.** რკინისგზებზე და საბჭ. სხვა წამოწყება-დაწესებულებებში ადმინისტრაციები მორიგი შვებულებების გაცემას მუშა-მოსამსახურეთ ძალზე უგვიანებენ; ან და აძლევენ შვებულებას, მაგრამ საშვებულებო ფულების გაცემას კი აგვიანებენ თითქმის ერთი კვირით. ამ ფულების მიღების -მოლოდინში შვებულებაში გაშვებულს შვებულება უთავდება.

ეს ყოვლად მიუტევებელი ბოროტება უნდა აღმოიფხვრას ერთხელ და სამუდამოდ.

მუშა პროფმუშაკი.

— **უსამართლობაცაა და ბოროტებაც.** თბილისის საქონლის სადგურზე აგერ რამოდენიმე თვეა ზოგიერთი მუშები მუშაობენ დამხმარე მუშების სახით. ამათ კუთვნილი ჯამაგირი უნდა მიეღოთ ყოველ შაბათობით. ეს კი ასე არ ხდება. მათ ხელფასის გაცემას ძალზე უგვიანებენ. მათ ამუშავებენ განუსაზღვრელ დროის განმავლობაში. აქ აშკარა ექსპლოატაციას აქვს ადგილი.

შრომის ინსპექტორო, ფხიზლად!

მუშა იქაური.

— **საწარმოო თათბირების დადგენილებანი უნდა მოიყვანონ სისრულეში.** მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო თათბირებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი წარმოების აღდგენა-გაჯანსაღებისათვის, მაინც მათ დადგენილებებს რკინისგზის ადმინისტრატორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ასეთი სენითაა შეპყრობილი განსაკუთრებით თბილისის საქონლის სადგურის ადმინისტრაცია.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა აღმოფხვრან ეს მავნე სენი.

მუშკორი მტვირთველი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

(„კომუნისტი“-ს რედაქციას)

სამუშაოს წესიერად გავანაწილებთ

თქვენი გაზეთის № 82-ში მოთავსებული შენიშვნის შესახებ: **სამუშაო თანასწორად არ ნაწილდება“,** ა.-კ. რკინისგზის გამგეობა გაცნობებთ, რომ ძნელი მოსაძებნია ისეთი ფრთხილი მოსამსახურე, რომ სატვირთო ბარათების დამუშავების საქმეში ერთნაირათ დააკმაყოფილოს ყველა თანამშრომლები. ბარამიძის ქალის წინ ამ მუშაობას ასრულებდა ამხ. თვალიაშვილი, რომელიც სატვირთო ბარათების უსწოროთ განაწილების ნიადაგზე მის და თანამშრომელთა შორის მომხდარი გეუგებრობის გამო, ექვსი თვეა მოხსნილია სამუშაოდან.

ეხლაც მოხდენილია სათანადო ნაწილის უფროსისადმი განკარგულება ბარამიძის ქალის სხვა თანამშრომლით შეცვლის და ხსენებული ბარათების სამართლიანად განაწილების შესახებ.

რკ. გზ. სამმართ. ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი — **გაბესკერია.**

დეფექტები აღმოფხვრილი იქნება

თქვენი გაზეთის ამ 13/IV მე-82 ნომერში სათაურით: **„მეეზოვე ეზოს აბინძურებს“** მოთავსებული წერილის შე[illegible] ადგილობრივმა სანქემმა არდაზიანმა გვა[illegible] რომ მის მიერ მიღებულია სასტიკი ზომები დეფექტის აღმოსაფხვრელად.

ნაწილის გამგე—**ბუხნიკაშვილი.**

მივეცით პასუხისგებაში

თქვენი გაზეთის ამ 18/4 მე-78 ნომერში სათაურით: **„ვიზრუნოთ ამათზედაც“** მოთავსებულ წერილის შესახებ ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ მოქ. მარკეტიზე და აბაშიძეზე შედგენილია სამოქალაქო ოქმი, რომელიც გადაეგზავნა მე-4 უბნის სახ. სასამართლოს ა/წ. 6/3 № 7151. აგრეთვე აღნიშნულ მოქალაქეებს ჩამოერთვა გამაფრთხილებელი ხელწერილი, რათა ერთმანეთს შეურაცყოფა არ მიაყენონ და არ შეაიწროვონ.

აღმასკ. ადმინ. განყ. ნაწილის გამგე **ბუხნიკაშვილი.**
კაშვილი.

ქუჩებს გავანათებთ და მოვაწყობთ

თქვენი გაზეთის მე-97-ე №-ში სათაურით: რიგით № 92 მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: **„გაანათეთ ეს ქუჩებიც“** გაცნობებთ რომ **მიღებულია ზომები განათების და ქვა-ფენილების გასაუმჯობესებლად.**

ადმინისტ. განყ. უფროსი **კილურაძე.**

სახლის პატრონს მოვარჯულებთ

გაზ. „კომუნისტ“-ის № 81 მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით:**„ამ მუშას სახლის პატრონი ძალზე ავიწროვებს“** გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პირს ჩამოერთვა ხელწერილი, რათა ასეთ საქციელს მის მიერ არ ექნება ადგილი.

აღმ. ადმინისტრატიული განყ. უფროსის მაგიერ **კილურაძე.**

გაცემულია/განკარგულება

თქვენი გაზეთის მეწ--წეს სუვოზგ აენმიხ **„ეს აღმართიც უნდა მოირწყოს“** მოთავსებულ წერილის შესახებ აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილებამ გვაცნობა, რომ მას უკვე გაუცია განკარგულება აღნიშნული აღმართი ირწყვებოდეს.

ნაწილის გამგე **ბუხნიკაშვილი.**

მიღებულია ზომები.

თქვენი გაზეთის 14 აპრილის მე-84 ნომერში სათაურით: **„გათავხედებული სპეკულიანტი“,** მოთავსებულ წერილის შესახებ, ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ მის მიერ მიღებულია ზომები დეფექტის გასასწორებლად.

აღმას. ადმ. გან. ნაწილის გამგე **ბუხნიკაშვილი.**

მუშათა ქრონიკა.

მე-2-ე თამბაქოს ქარხანაში.

— **ბიუროს არჩევა.** მეორე თამბაქოს ქარხკომში მოხდა „რემედას“-ის საზ. ბიუროს არჩევა. არჩეულ იქნენ ამხ. ხალატიანი, ნინა პეტროვა და შახვერდოვი.

— **უმუშევართათვის დახმარება.** მეორე თამბაქოს ქარხნის მუშების საერთო კრებამ დაადგინა—გადადებული იქნას უმუშევართა სასარგებლოდ თანრიგიდან 10 კაპეიკი.

— **სარევიზიო კომისიის ამორჩევა.** მეორე თამბაქოს ქარხნის მუშების საერთო კრებამ სარევიზიო კომისიაში აირჩია ამხ. ოლღა პეტროვა, გრებენიუკი და მარტიროსოვი.

— **უბრალო ჩეკების შეცვლა.** მეორე თამბაქოს ქარხნის მუშებს ჰქონდათ უბრალო ჩეკები, რითაც მხოლოდ ქარხანაში ღებულობდენ პურს. ეს ჩეკები შეიცვალა და საშუალება მიეცათ მუშებს ყველა რაიონებში მიიღონ პური—მუშკოოპიდან ნისიად.

— **სალაროს მუშაობა.** მეორე თამბაქოს ქარხნის დამხმარე სალაროს ექვსი თვის განმავლობაში გაურჩევია 119 განცხადება. 111 წევრებისათვის სესხის სახით მიუცია 923 მანეთი; 8 წევრისათვის კი დაუბრუნებია სესხის სახით 97 მანეთი.

პროფკავშირები

შრომის ხელფასის ზრდა ჩვენს კავშირებში

(სტატისტიკური მიმოხილვა).

როგორც ვიცით, გასული წლის შემოდგომაზე კამპანიები დაიწყო კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლად დასადებათ. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ამ კამპანიამ შესამჩნევად გაზარდა. ცალკე კავშირების მიხედვით, სამუშაო ხელფასის მომატება გამოიხატება პროცენტულად შემდეგში:

კავშირის სახელწოდება.

ა) მე[illegible]თონეთა კავშირი: 1) ელექტრო-მომწესრიგ. მუშებს—10 პროც., 2) „თემქას“ მუშებს—3,6 პროც., 3) წითელდროშოვან არმიის სარემონტო ქარხანა—10 პროც., 4) კერძო წამოწყება-დაწესებულებებში მომუშ.—24 პროც.

ბ) მიწა-ტყის მუშაკთ[illegible]შირი: 1) სახალხო მეურნეობის ტრესტი: [illegible]ჯგუფი—15 პროც., ბ) ჯგუფი—9 პროც., გ[illegible]ჯგუფი—0. 2) ქალაქის აღმასკომის მიწათმოწყობის განყოფილება: ა) ჯგუფი—11 პროც., ბ) ჯგუფი—9 პროც., 3) სამკურნალო განყოფილების მუშა-მოსამსახურეებს; 4) წარმოკავშირის მუშა-მოსამსახურეებს—16 პროც., 5) სატყეო ტრესტის დღიურ მუშებს—0 პროც.

გ) სახალხო შეერთების კავშირი: 1) ზოლი—11 პროც., 2) ზოლი—10,4 პროც., 3) ზოლი—9 პროც.

დ) მეტყავეთა კავშირი: 1) ტყავტრესტის მუშა-მოსამსახურენი—9 პროც.

ე) ადგილ. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი: 1) „ზაკპოგრუზი“-ს საქქ. საზოგადოება—10 პროც., 2) „ზაკავტოპრომტორგ“-ის საქქ. საზ.—20 პროც., 3) „საქ. მარგანეცი“-ს სააქც საზოგადოება—10,8 პროც., 4) წითელდროშოვან არმიის „ობოზ“-ი—16,6 პროც.. 5) შოფერები (სახ. და კერძო დაწ. მომ.)—13,3 პროც., 6) საქართველოს სატყეო მრეწველობის „ობოზ“-ი—10 პროც.

ვ) მბეჭდავთა კავშირი: 1) პოლიგრაფიულ ტრესტის, „ზარია ვოსტოკა“-ს, „კრასნი ვოინ“-ის და საქ. კომპ. ცკას სტამბის მუშები—15.9 პროც., 2) წითელდროშოვან არმიის სტამბის მუშები..., 3) კერძო წარმოებებში მომუშავე მ[illegible]—11,7 პროც.

ზ) სურსათ-გემოვნების კავშირი: 1) თამბაქოს ტრესტის მუშებს—15,6 პროც., 2) სახელმწიფო სპირტის წარმოების მუშებს—12,5 პრ.. 3) ქალაქის აღმასკომის სასაკლაოს მუშებს—10.5 პროც., 4) მუშკოოპისა და ა/კ. სატრანსპორტო საზოგადოების საცხობებო მუშებს—11 პროც., 5) სასურსათო კომბინატის მუშებს--5.5 პროც., 6) მეღვინეთა სრ. საქ. კავშირის მუშებს—0.

თ) კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირი: 1) ტრამვაისა და წყალსადენის მუშებს—10 პროც., 2) [illegible]ქის კეთილმომწყ. განყ. მუშებსა და მოსამსა[illegible]ეებს—11,1 პროც., 3) ხანძრის საქრობ რაზმელებს—20 პროც., 4) ქალაქის აბანოები[illegible] მუშებს—10 პროც., 5) ქალაქის აღმასკო[illegible] უძრავ ქონებათა სამმართველოს მუშა-მო[illegible]—10 პროც., 6) კერძო საპარიკმა[illegible] მომუშავეებს ეძლევათ 14 მანეთიდან 2[illegible] პირველ თანრიგით.

კ) სამთამადნო[illegible]თა კავშირი: 1) ტყიბულის მაღაროებში [illegible]უშავეებს—10 პროც., 2) „საქართველოს მარგანეცი“-ს საზოგადოება--5,5 პროც., 3) „ნეფტსინდიკატ“-ის მუშებს—0, პრ., 4) სამთო-ქიმიური კომბინატი—30 პროც.

ლ) ხის დამმუშავებელთა მუშაკთა კავშირი: 1) საქართველოს ხე-ტყის სამრეწველო ტრესტი—0, ა) ჯგუფის მომუშავენი—12,8 პროც., ბ) ჯგუფის მომუშავენი—9 პროც., გ) ჯგუფის მომუშავენი—9 პროც., დ) ჯგუფის მომუშავენი—16 პროც., 2) ქალაქის აღმასკომის ქარხნის მუშები—14 პროც., 3) ბორჯომის კომბინატის მუშები—25 პროც., 4) ა/კ. რკ.-გზ. სატყეო განყოფილების მუშები—38 პროც., 5) კერძო პირებთან მომუშავე მუშები იღებენ პირველ თანრიგით 20—24 მან.

მ) აღმშენებელთა კავშირი: 1) ზაჰესის მუშები—25 პროც., ზაჰესის მოსამსახურეები—26,6 პროც., 2) საგზაო აღმშენ. მუშები—17 პროც., დღიურად მომუშავენი—10 პროც., 3) აგურის ქარხნები—0, 4) სამხედრო-საინჟ. დისტანციის მუშები—17 პროც., 5) კერძო მოიჯარადრეებთან მომუშავენი იღებენ პირველ თანრიგით 24 მან.

ნ) მედსანშრომის კავშირი: 1) ჯანსახკომის მუშა-მოსამსახურეებს—28 პროც., 2) ქალ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილ.—0 პროც., 3) დაზღვეულთა სალ. ქვეგანყოფ.—9 პროც., 4) აფთიაქის მოსამსახურენი—17 პროც., 5) ამიერ-კავკ. რკ.-გზ. ჯანმრთელობის განყოფილებას—31 პროც., 6) წითელი ჯვრის საზ. მუშა-მოსამსახურ.—16,7 პროც.

ო) სახ. კვების მუშაკთა კავშირი: 1) სასტუმრო „ორიანტ“-ის მუშა-მოსამსახურეებს—6,6 პროც., 2) სასტ. „სასახლის ნომრები“—0 პროც., 3) სასტ. „ნოე“-ს ნომრების მუშა-მოსამს.—9 პროც., 4) ამიერ-კავკ. სატრანსპორტო საზ. წითელი სასადილო—0 პროც.

პ) ფეიქართა კავშირი: 1) საფეიქრო ზეთის სახდელი და საპნის ტრესტი—13,2 პროც., 2) ქუთაისის მაუდის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს—11,1 პროც., 3) უმაღლეს მეურნ. საბჭოს აბრეშ. საქ.-საფ.—3,6 პროც.

რ) ქიმიკოსთა კავშირი: 1) ბორჯომის კომბინატის მუშებს—25 პროც., კომბინატის მოსამსახურეებს—9 პროც., 2) საარტილერიო საწყობის მუშებს—0 პროც., 3) საქართველოს სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურეებს—20 პროც., 4) საპნის სახარშ და ზეთის სახდელ ტრესტის მუშებს—13,2 პროც.

როგორც აქ მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებებში გაუდიდდათ სამუშაო ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს. გადიდების რაოდენობა მერყეობს 0 პროც.—38 პროც. ამნაირად, ამ კამპანიამ სამუშაო ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს საგრძნობლად გაუდიდდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ სამუშაო ხელფასის გადიდებასთან ერთად გადიდდა საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულებაც. საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულება საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიუროს გამო[illegible]არიშებით 1925 წლ. მარტიდან გადიდდა 7 პ[illegible]ცენტით.

კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლად დადების დროს, საშუალოდ, მუშა-მოსამსახურეებს საერთოდ ხელფასი მოემატათ 11 პროც. ამ ხელშეკრულებებით მუშა-მოსამსახურეებს, რასაკვირველია, ზარალი არ უნახავთ, მათ მოიგეს. მაგრამ ამით არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სასარგებლო იყო ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეთათვის (უმეტესად მოსამსახურეთათვის, რადგანაც მუშები მოსამსახურეებზე გაცილებით მეტს იღებენ), რომლებიც ცოტა ხელფასს იღებენ.

ამიტომ, შემდეგ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს პროფკავშირები უნდა ეცადონ გაუდიდონ სამუშაო ხელფასი მათ, ვინც შედარებით ნაკლებ გასამრჯელოს იღებს.

სურსათ-სანოვაგის ღირებულების შეურყევლობის საკითხიც საინტერესოა მუშა-მოსამსახურეთათვის. თავის-თავად ცხადია, რომ ხელფასის მომატებას არავითარი აზრი არ ექნება, თუ კი მომატებასთან ერთად სურსათ-სანოვაგის ფასიც აიწევს. ეს საკითხი კი საჭიროა შინავაჭრობის კომისარიატმა მოაწესრიგოს.

ასეთი აზრი უკვე გამოსთქვა საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებასთან შემდგარმა ყველა პროფკავშირების ც. გ. სატ.-საეკ. განყოფილებების გამგეების თათბირმა და აწი ჯერი თვით კავშირებისა და შინავაჭრობის კომისარიატზეა; მათ უნდა მიიღონ ზომები ამის მოსაგვარებლად.

პროფკავშირელი.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში.

— **შამფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშათა ფრაქციისა და ეკონომკომისიის დარგში მომუშავეთა კონფერენციები** ამ მოკლე ხანში მოწვეული იქნება ქალაქ ჭიათურაში, ბათომში, სოხუმში და ფოთში. ამ კონფერენციების სახელმძღვანელოდ პროფსაბჭომ მიავლინა ამხ. ს. გოდიბრელიძე.

— **პროფსაბჭოს საორგანიზაციო** განყოფილებამ განუმარტა მეღითონეთა კავშირს, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ახლად დამთავრებულ მოწაფეებს სამსახურში მიღებისას უნდა ეძლეოდეს ის უპირატესობა, რაც კავშირის წევრს ეძლევა.

— **„ჯავშანის“ (ბრონის) წევრობის შესახებ.** ზოგიერთი პროფორგანიზაციები ეკითხებიან პროფსაბჭოს—შესაძლოა თუ არა „ჯავშანის“ (ბრონის) ანგარიშში მყოფი მომუშავენი ჩაირიცხონ კავშირში წევრებათო. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ განუმარტა ყველა კავშირებს, რომ „ჯავშანის“ (ბრონის) ანგარიშში მყოფი მომუშავენი უნდა ჩაირიცხონ კავშირში წევრებად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ სამუშაო ხელფასს იღებენ ისინი.

— **ავანსების დაფარვის შესახებ.** ზოგიერთი კავშირებიდან მიღებულ საფინანსო ანგარიშებიდან სჩანს, რომ კავშირები ხშირად აძლევენ ავანსებს დაქირავებულ პირთ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს სასწრაფოდ დაფარვიონ თანამშრომლებს წაღებული ავანსები.

სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოში.

— **ინგლისის მუშებს ეხმარებიან.** ინგლისში გაფიცულ მუშების დასახმარებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ინგლისის პროლეტარიატის დასახმარებლად გადასდოს დღიური ხელფასის მეოთხედი.

აფხაზეთ პროფსაბჭოში.

— **შტრეიკბრეხერების გამორიცხვა კავშირიდან.** ქ. სოხუმში არსებულ რესტორან „პომოშჩ რებენკუ“-ში მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მეპატრონეებს იმის გამო, რომ სამუშაო ხელფასს თავის დროზე არ იძლეოდენ. ამ რესტორანში მომუშავეებმა ლომთათიძემ და მაევსკიმ შტრეიკბრეხერობა გასწიეს. აფხაზეთის სახალხო კვების კავშირმა დაადგინა—გამორიცხოს კავშირიდან ლომთათიძე და მაევსკი. ეს დადგენილება აფხაზეთის პროფსაბჭომაც დაადასტურა.

— **აფხაზეთის პროფსაბჭომ** განაწილა ადგილები დასასვენებელ სახლებში. განაწილებულ ადგილებზე იგზავნებიან 75 პროც. ფიზიკური, ხოლო 25 პროცენტი—გონებრივი მომუშავე.

მეცნიერება და ტექნიკა

დიდი გადაფრენები

დიდი გადაფრენები

საკავშირო ავიაქიმი მიმდინარე ზაფხულში აწყობს დიდ გადაფრენებს დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში თან და თან ვითარდება და ძლიერდება საავიაციო მშენებლობა; ამას ნათლად ამტკიცებს გადაფრენები საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რესპუბლიკებში, გასული წლის საჰაერო ექსპედიცი. ჩინეთში და, ბოლოს, ეხლანდელი გადაფრენები საზღვარ-გარეთ. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი ამ გადაფრენების ორგანიზაციისაკენ არის მიპყრობილი.

საავიაციო მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1921 წლიდან,მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყანამ თავი დაახწია სამოქალაქო ომებს და შეუდგა აღმშენებლობითი მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ავიაციას წარსულიდან არავითარი მემკვიდრეობა მიუღია, მან ამ ხუთი წლის განმავლობაში მაინც შესძლო საერთაშორისო ავიაციას ამოსდგომოდა გვერდში. 1923—25 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში შესამჩნევად განვითარდა, როგორც აეროპლანების, ისე მოტორების დამზადების საქმე. საბჭოთა კონსტრუქციის, როგორც აეროპლანებმა, ისე მოტორებმა სამაგალითოდ დაიჭირეს გამოცდა მოსკოვიდან პეკინში გადაფრენის დროს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ავიაციაში შორეულ გადაფრენებს ეძლევათ, რადგან აქ გამოიცნობა როგორც მოტორების, ისე აეროპლანების ღირსება-ნაკლულოვანებები.

შორეულ გადაფრენების მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ: 1923 წლის მოსკოვ-თბილისის,—ტაშკენტ-მოსკოვის გადაფრენა, შესრულებული მფრინავ **ველინგის** მიერ (მანძილი, 11.000 კილომეტრი) და 1925 წლის აგიტგაფრენა მფრინავ **კოპილოვისა**—მოსკოვ-ყაზან-უფა-პერმ-ვიატკა-იუსტიუმ-ვოლოგდა-მოსკოვის ხაზით (10.000 კილომეტ. მანძილი). ჯგუფობრივ გაფრენებში კი აღსანიშნავი 1924 წელს მფრინავების: **მეჟრაუპის, გარანინის, არვატოვის, გოპიეს, იაკობსონის, და ზალევსკის** გადაფრენა ტერმეზიდან ქობულეთში 420 კილომეტრის მანძილზე ჰინდიკუშ[illegible] მთებით. ჰაეროპლანები მიფრინავდენ 5.000 მეტრის მანძილზე. მეორე უდიდესი გადაფრენა მოხდა 1925 წელს მოსკოვიდან პეკინში ამხ. **შმიდტის** მეთაურობით. გადაფრენაში მონაწილეობას იღებდა 6 ჰაეროპლანი და მფრინავები: **გრომოვი, ვოლკოვოინოვი, ნაიდენოვი, იატაკოვი, ტომაშევსკი და პოლიაკოვი,** მანძილი უდრიდა 7.000 კილომეტრს.

ამავე წელს მფრინავებმა **გრომოვმა** და **ვოლკოვოინოვმა** მოახდინეს გადაფრენა პეკინიდან ტოკიოში (მანძილი 2.800 კილომეტრი დაფარული იყო სამი დღის განმავლობაში.

ამ გადაფრენებმა უდიდესი როლი ითამაშეს საბჭოთა ავიო-მრეწველობის განვითარებაში.

წელსაც საკავშირო ავიაქიმი აწყობს ხუთ გადაფრენას ოთხი მიმართულებით, რომელიც მოხდება უფრო რთულ პირობებში. წელს გაფრინდებიან მხოლოდ საბჭოთა ჰაეროპლანები. ამ ჰაეროპლანებს მართავენ წითელი მფრინავები, რომლებმაც მომზადება მიიღეს საბჭოთა საავიაციო სკოლებში.

პირველი გაფრენა მოხდება ივნისში **მოსკოვიდან-თეირანში** და უკან, მეორე ივნის-ივლისში **მოსკოვიდან-ანგორაში** და უკან, მესამე—ამავე დროს **მოსკოვიდან-ბერლინში და პარიზში,** მეოთხე—ივლის-აგვისტოში—**მოსკოვი-კენიგსბერგი-ბერლინი-ფრანკფურტი - პარიზი-ლიონი-რომი-უდინე-ვენა-პრაღა-ვარშავა - მოსკოვის** ხაზით. ამ უკანასკნელ გადაფრენაში სიძნელეს წარმოადგენენ გადაფრენა ალპებზე, აპენინებზე (რომიდან უდინში და ტიროლის ალპები (უდინიდან ვენაში), მეხუთე გადაფრენას აწყობს უკრაინის ავიაქიმი **მოსკოვიდან-თეირანში** და უკან აგვისტოში. სულ გასავლელია 24.000 კილომეტრი.

1926 წლის გადაფრენები აჩვენებენ, როგორც ევროპას, ისე ახლო აღმოსავლეთს საბჭოთა კავშ. სოციალისტურ მშენებლობას. ისინი განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მეგობრობას დასავლეთის და აღმოსავლეთის მშრომელებთან და ეს უნდა შეიგნოს და გაითვალისწინოს ჩვენი რესპუბლიკის ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ და ხელი შეუწყოს მათ.

ა. კ—ძე.



გადაფრენების რუკა

მარჯვნიდან მარცხნივ მფრინავები: 1) ნ. პ. შებანოვი, 2) გ. მ. გრომოვი, 3) პ. ხ. მეჟრაუპი, 4) ი. ჭ. მოისეევი.

მექანიკური სამრეცხაო

ტეხნიკის სწრაფი ზრდა, რომელიც შრომის ყველა დარგში გავრცელდა, შეეხო რეცხვის ტეხნიკასაც. სარეცხის რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გარეცხვა, უფრო ეკონომიურად და სწრაფად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საავადმყოფოებში, საერთო საცხოვრებლებში, სასტუმროებში და სხვ., რომელთაც დიდძალი ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უხდებათ; ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ასეთ დაწესებულებებს წმინდა ეკონომიური მოსაზრება აიძულებს არ ისარგებლონ საზოგადო სამრეცხაოებით, თვითონვე გაიჩინონ საკუთარი სამრეცხაოები, რაც უფრო იაფიც ჯდება და გარდა ამისა მრავალ მხრივ უფრო ხელსაყრელია. საზღვარგარეთ ტეხნიკამ უკვე დიდი ხანია გაითვალისწინა მექანიკური რეცხვის სარგებლობანი; ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკაში და 1871 წლის შემდეგ გერმანიაშიც—მოწყობილ იქნა სამრეცხაო მანქანები.

ამ მანქანების წყალობით ხელით რეცხვა განდევნილ იქნა 70 პროცენტით; მაგრამ ეს მანქანები, მართალია შრომის დიდ ნაყოფიერებას იძლეოდენ, მაგრამ უზარმაზარნი იყვნენ და თანაც ძვირი, მათი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ დიდ საავადმყოფოებში ცენტრალურ საზოგადო სამრეცხაოებში, მსხვილ ცენტრებში და სხვ.

ელექტრონის მრეწველობის განვითარებამ შესაძლებელი გახადა დამზადება უფრო იაფი და უფრო პატარა აპარატების,რომელთა გამოყენება შეიძლება წვრილ საზოგადო გაერთიანებებში და კერძო სახლებშიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ ზოგიერთ ქარხნების მიღწევები გერმანიაში.

კერძოდ ფირმა **„რუმშის და გამერის“** მანქანების საამშენებლო ქარხანა ფორსტში უკვე 30 წელზე მეტია წარმოების ამ დარგს ანვითარებს. ამ ხნის განმავლობაში მან დიდ შედეგებს მიაღწია. ქვემოდ ვათავსებთ ამ ფირმის რამოდენიმე მანქანის აწერილობას, რომელთაც უცხოეთში ყველაზე უფრო ეკონომიურ და ხელსაყრელ მანქანებს უწოდებენ.

თანამედროვე მექანიკური სამრეცხაო სამი აპარატისაგან შესდგება: მრეცხავი მანქანა, ცქიტგანწური (центрофуга) და საუთოვებელი მანქანა. სამი მანქანა მოძრაობაში მოჰყავს ელექტრომოტორს; თვითეულ მანქანას აქვს ცალკე ელექტრომოტორი, ან სამივეს ერთი საერთო მოტორი აქვს.

მექანიკური რეცხვა ასე სწარმოებს: წინასწარ დასველებული თეთრეულს სდებენ სარეცხი მანქანის (იხ. სურათი 1.) შიგნითა, ხვრელოვან სპილენძის დოლში (1); ამის შემდეგ გარეთა დოლში (2) ასხამენ სოდის ხსნილს და უმატებენ საპონს; შემდეგ ხურავენ ღუმელი (3) და მანქანა ამუშავდება. შიგნითა დოლის ღერძის გარეთა ნაწილს აქვს კბილოვანი ბორბალი.

სპეციალური მოწყობილობის საშუალებით დოლი ყოველთვის 3-ჯერ მობრუნდება ერთი მიმართულებით, ხოლო შემდეგ—მეორე მიმართულებით, რის გამო ფართო თეთრეული (მაგიდის საფარი, ზეწარი) არასოდეს არ იმუჭყნება. დოლის შიგნით მოწყობილია სპეციალური წიბო, რომელიც ბრუნვის დროს ერთგვარ სიმაღლეზე სწევს თეთრეულს, შემდეგ თეთრეული დაეცემა მეორე წიბოს, რომელიც კვლავ მაღლა ასწევს მას. თეთრეული ძალიან კარგად ირეცხება.

ღუმელის (3) გახურების გამო. ხსნილი თანდათანობით აღწევს ადუღების წერტილს, რაც აჩქარებს დუღების პროცესს; ხელით მუშაობის დროს კი თეთრეულს ცალკე ქვაბებში ხარშავენ. გახურების დროს, გარედ დოლის ქვეშ ტარდება კლაკნილა, რომლის შემწეობით ცხელდება წყალი აუზში (4) მანქანის ზემოდ. ამ წყალით, დოლიდან ხსნილის გაშვების შემდეგ, რეცხავენ თეთრეულს, თანდათანობით უმატებენ ცივ წყალს. შემდეგ, მანქანის შეუჩერებლად, დოლში უმატებენ ლილის ხსნილს, რითაც სრულდება რეცხვის პროცესი. თავისთავად ცხადია, რომ ქსოვილების დაცხრილვას, რომელიც ხშირია ხელით მუშაობის დროს, აქ ადგილი არ აქვს [illegible] შემდეგ, თეთრეულს სდებენ ცქიტგანწურში (იხ. სურათი 2), რომელშიაც ის ჰკარგავს სისველის 85 პროცენტს. ცქიტგანწური შესდგება ცილინდრიული გარსისაგან (1) და შიგნითა ხვრელოვანი დოლისაგან, რომელშიაც თეთრეულს სდებენ. მოტორი (2) ღვედის შემწეობით სწრაფად ატრიალებს შიგნითა დოლის ღერძს (4), რომელიც მასთან მთლიანს ერთეულს წარმოადგენს; წყალი, რომელიც დოლის კედლებზე აწვება, გამდის მილში. ცქიტგანწურში თეთრეული ჰკარგავს სისველის დიდ ნაწილს.

საბოლოო გაშრობა ხდება საუთოვებელ მანქანაში (იხ. სურ. 3), რომლიდანაც თეთრეული სავსებით სახმარად გამზადებული გამოდის. ნაჭრის შესაუთოვებლობისათვის არსებობს საშრობი უჯრები (იხ. სურ. 4).

გარდა აღნიშნულ მანქანებისა, საზოგადო სამრეცხაოებში ხმარობენ განსაკუთრებულ **ეკონომიურ ღუმელებს იმ უთოების გასახურებლად, რომელნიც საჭიროა ისეთი თეთრეულის გასაუთოვებლად; რომელსაც საუთავო მანქანა არ უდგება.**









სიკვდილის სხივები

ამერიკელმა ფიზიკოსმა **დ. კულიჯმა** აღმოაჩინა ახალი განსაკუთრებული სხივები, რომლებიც განმანადგურებელ გავლენას ახდენენ ორგანიზმზე. კულიჯის ცდების დედა-აზრი, როგორც მათი აღწერა ამტკიცებს, ძველია, მაგრამ ტეხნიკის უდიდესი განვითარების წყალობით, მან სრულიად ახალი შედეგები მიიღო.

ყველამ, ვინც ცოტათ თუ ბევრათ გაცნობილია ფიზიკასთან, იცნობს ალბათ ე. წ. „გეისლერის მილსაც“. ეს არის შუშის მილები, რომელთა ბოლოში ელექტროდებია მიმაგრებული ამ მილებიდან ჰაერი განდევნილი არის. ჰაერისაგან განთავისუფლებული სივრცე ადვილათ ატარებს ელექტრო-დენს, რომელიც ოდნავ ანათებს. თუ ასეთი მილიდან ჰაერი მთლიანად იქნება განდევნილი, ნათება მილებში შეწყდება და დარჩება მხოლოდ პირდაპირ მიმართული ულტრა-იისფერ სხივთა კონა, რომელიც აშუდის ელექტროდების უარყოფითი პოლიუსიდან.

მილის შუშის კედლები არ ატარებენ ამ სხივებს, მაგრამ მათ შეუძლიათ გავლა ალიუმინის ფირფიტაში, როგორც ეს გერმანელმა ფიზიკოსმა **ლენარდმა** დაამტკიცა 1892 წ. დ. კულიჯმა, ისარგებლა რა ამ გარემოებით, დაამზადა განსაკუთრებული სახის გეისლერის მილი, რომლის შუშის კედლის ნაწილი შესცვალა უარყოფითი ელექტროდის წინ მოთავსებული ალიუმინის ფირფიტით. ასეთი მილები მაღალი ძაბვის ელექტრო-დენის გაშვების დროს (250.000 ვოლტი), კულიჯმა მიიღო სხივთა კონა, რომელიც ფირფიტიდან გამოდიოდა ½ მეტრის მანძილზე. ამ სხივების გავლენა, მათი საშინელი სისწრაფის (300.000 კილომეტრი) გამო, არაჩვეულებრივათ დიდი უნდა იყოს. ამის გამო, ყველა პატარა ცოცხალი არსებანი—ბაქტერიები, ბუზები და სხვ.—იმ წამსვე კვდებიან, როგორც კი მოხვდებიან ამ სხივების მოქმედების სფეროში. კანზე მოქმედების დროს ეს სხივები იწვევენ ბალნის გაცვენას და ქსოვილების დაშლას. ეს პირველი ცდები ამტკიცებენ, რომ ახალი სხივების გამოყენება შეიძლება, რენტგენის სხივების მსგავსათ, საექიმო მიზნებისათვის და რომ მომავალში, ტეხნიკის კიდევ უფრო განვითარების შემდეგ, მათ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემა.

მანქანა-მეთორნე

(ანდრია კლდიაშვილის გამოგონება)

ყველამ კარგად იცის თუ რა აუტანელ პირობებში უხდება შრომა მეთორნეს: მთელი ტანით თავდაყირა უნდა ჩაეშვას თორნეში პურის ამოსაკრავათ, თვალები უნდა დაჭყიტოს, რომ ბნელ თორნეში ცომი კარგა გაასწოროს.

ასეთი შრომა სრულიად ამახინჯებს ჯანით და ღონით სავსე მუშაკს: ადრევე თვალხილვა აკლდება, თავის ტკივილობას განიცდის, სისხლის ცხვირიდან დენა ხშირი მოვლენა არის, მარჯვენა ფეხის ზედა ნაწილზე „მაზოლები“ უჩნდება. არის მაგალითები თორნეში ადამიანის ჩავარდნისა, როგორც ქალაქად ისე სოფლად.

იყო ტეხნიკური პირობების გაუმჯობესების ცდები, ოღონდ დღემდის არავითარი ცვლილებები არ მომხდარა თორნეში პურის ამოცხობის საქმეში.

ა. კლდიაშვილის გამოგონილ პურის საცხობ იარაღის საშუალებით მეთორნეს ჩამორთმეული აქვს ცომი ხელიდან, იარაღი ასრულებს მის მაგიერობას, ადამიანის ხელმძღვანელობით, თორნეში აკრავს ცომს. ასე რომ ახალი გამოგონების საშუალებით მეთორნე ჯანსაღ პირობებში ეწევა შრომას და არ გრძნობს არც დაღლას, არც ოფლს და სიცხეს. საცხობი იარაღი სრულებით უნაკლოთ ემსახურება თავის დანიშნულებას. თორნის კედლებზე სწორად აკრავს ცომს, პური ცხვება თანაბრათ და ეძლევა ბევრათ ლამაზი ფერი, ვიდრე ხელით ნაცხობ პურს.

იარაღი წარმოადგენს ორ თითას, რომლის მოხრილ შუა ნაწილში ხის ტარი არის ჩარგული, წინ გაშვერილი თითები არის შეერთებული ღერძით, რომელზედაც მუცლიანი მორგვი მორგებული და ბრუნავს თავის ღერძის ირგვლივ, თითებ შუა მოედანი ხის ფიცრით არის დაფარული, ამ ფიცარზე ოდნავ გაშლილი ცომი იდება. იარაღი მეთორნის ხელით ჩადის თორნეში და მორგვის ნაწილით, რომელზედაც ცომი არის, მიაკვრის კედელს და სასწრაფოდ ასწევს მთელ იარაღს, რითაც მორგვის ბრუნვა ცომს გაიყოლიებს და აკრავს თორნის კედელზე.

იარაღი ყურადღებას იქცევს თავისი სისადავით, მოხმარების სიადვილით, სიმჩატითა და სიიაფით.

25 მაისს თორნის მუშკოოპის ერთ-ერთ თორნეში მოხდა ამ იარაღის გამოცდა. გამოცდას დაესწრნენ: შრომის კომისარიატის წარმომადგენელი, ექიმი, მუშათა წარმომადგენელი, მუშკოოპის წარმომადგენელი და სხვა.

გამოგონებას საპატენტო მსვლელობა აქვს მიცემული.

ახალი საექიმო ცნობები

სიმსივნეების ამოწვა ელექტრონით

თანამედროვე საექიმო ტეხნიკის არაჩვეულებრივმა განვითარებამ შესაძლებლად გახადა სამკურნალო მიზნებისათვის ელექტრონის ძალის ფართოთ გამოყენება. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ხმარება ავთვისებიან სიმსივნეების მკურნალობის საქმეში. განსაკუთრებულ ხელსაწყოების საშუალებით შესაძლებელია მოსპობა, არამც თუ კანის ზედაპირზე გაჩენილ კიბოს სიმსივნეების, არამედ ისეთებისაც, რომლებიც ჩვენი სხეულის შინაგანი ორგანოების შიგნით იმყოფებიან. განსაკუთრებით კარგად სპობენ ავთვისებიან წარმოქმნებს შარდის ბუშტის შიგნით. შარდის ბუშტის კიბოს ადვილათ გამოიცნობენ ბუშტის სიღრუვის განათებით სპეციალურ ხელსაწყოს ბოლოს მოთავსებულ პატარა ელექტროშუშის საშუალებით. როდესაც სიმსივნე კარგად არის დათვალიერებული, შარდსადინარით ბუშტში შეჰყავთ ფრიად წვრილი მავთულის ელექტრონი, მაშინ, როდესაც მეორე განიერ ელექტრონს, ბალიშის მსგავს, დასველებულს მარილის ხსნარით, დაწოლილ ავადმყოფს მენჯის ქვეშ ამოუდებენ. შემდეგ ელექტროდებით, რომლებიც მიდიან განსაკუთრებულ ელექტრო-აპარატიდან, უშვებენ ელექტროდენს, რომელიც სწვავს სიმსივნეს. წინასწარ კი ბუშტს ავსებენ ბორონის ხსნარით.

რათა საბოლოოთ დაშლილ იქნეს საშუალო ზომის ავთვისებიანი სიმსივნე, საჭიროა რამოდენიმე ასეთი სეანსი. თვით გამოწვა თითქმის სრულიად უმტკივნეულოდ ხდება. ავადმყოფი გრძნობს მხოლოდ მცირე წვას.

დაფარულ სიმსივნეების გამოცნობა

ავთვისებიან სიმსივნეების ადრე გამოცნობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მათ მოსპობას ქირურგიული გზით მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს კარგი შედეგი, როცა სიმსივნე იწყებს ზრდას საოპერაციოდ მისაწვდომ ადგილზე. როდესაც სხეულში წარმოშობილი სარკომა ან კიბო იძლევიან გადანერგებს სხვა ქსოვილში და ორგანოებში, ან და შეეზრდებიან მეზობელ ორგანოებს, ოპერაცია [illegible] ყოფო. ამას გარდა საყლაპავი მილის, კუჭის, სწორი ნაწლავის და შარდის ბუშტის ლორწოიანი გარსის კიბოს სიმსივნეები ისეთი განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებიან, რომ დრო განვლილი სიმსივნის წარმოშობიდან ავადმყოფის სიკვდილამდე, მხოლოდ განსაკუთრებით შემთხვევაში აღემატება ორ წელიწადს. განსაკუთრებით ხშირია შეცდომები კუჭის კიბოს გამოცნობის დროს.

ქირურგიულ სისუფთავის დიდათ გაუმჯობესების გამო, რაც სრულიად უშიშრად ხდის ოპერაციას, უკანასკნელი მარტივი საშუალება დიაგნოზის დასასმელად და თუ კიბო არ აღმოჩნდა, ავადმყოფი სავსებით რწმუნდება თავის ჯანმრთელობაში.

მაგრამ ასეთი საშუალება ავადმყოფობის გამოსაცნობად სულ ერთი როდია ავადმყოფისათვის და უფრო ხშირად მიუღებელია, რადგან ოპერაციამდე არაა შესაძლებელი დიაგნოზის დასმა. საექიმო ხელოვნებას არ შეუძლია დააკმაყოფილდეს ასეთი მდგომარეობით, და ილტვის გამოსძებნოს მეცნიერულად ისეთი დასაბუთებული და ობიექტიური საშუალებები ავთვისებიან სიმსივნეების გამოსაცნობათ, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას სწორად დასვას დიაგნოზი. ასეთი საშუალება ახლა თითქმის გამოძებნილია ინგლისელ ექიმ დევისი მიერ. დევისმა შეიმუშავა დაფარულ ავთვისებიან ხორცმეტების გამოსაცნობათ შემდეგი მარტივი საშუალება: ავადმყოფს, რომელიც საეჭვოა ავთვისებიან სიმსივნის მხრივ, ართმევენ 50 კუბ. სანტ. შარდს; მას ფილტრში ატარებენ და ადუღებენ 5 კუბ. სანტ. ქლოროვან მარილის მჟავასთან. როდესაც დუღილი დაიწყება, მას უმატებენ 20 კუბ. სანტ. ეთერს და აყენებენ დღე-ღამის განმავლობაში. ავადმყოფის ორგანიზმში ავთვისებიან სიმსივნის ყოფნის შემთხვევაში, ეთერი მარილის მჟავასთან არეული, ამ შარდის ნარევში იღებს წითელ ფერს, სიმსივნის არ ყოფნის შემთხვევაში კი არ შეიღებება. ამ საშუალების მოქმედების მიზეზი არაა გამორკვეული, მაგრამ მისი სისწორე დადასტურებულია.

ახალი ინკუბატორი

(წიწილების ხელოვნურათ გამოჩეკა)

ამერიკაში, სასოფლო-სამეურნეო ფერმებში, სადაც მრავალ საოჯახო სამუშაოთა შესასრულებლათ ელექტრონის ენერგიით სარგებლობენ ძალიან გავრცელებულია უმარტივესი სახის ინკუბატორები (წიწილების ხელოვნურათ გამოსაჩეკი აპარატი), რომლებიც მინიმალურ მოვლას მოითხოვენ. ყველაზე გავრცელებულია იმ ტიპის ინკუბატორი, რომელიც აქვე სურათზეა ნაჩვენები. იგი 150 კვერცხს იტევს. მთელი აპარატი შესდგება ლითონის ყუთისაგან (1) ყუთის სახურავი (2) ჰერმეტიულად იხურება, წინა კედელი (3)—ისხმება ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ყუთის კედელს გაკეთებული აქვს ხვრელები (4) ამ ხვრელებიდან ყუთში შედის ჰაერი და აქედან აგრეთვე თვალყურს ადევნებენ წიწილების გამოჩეკას. კვერცხები ლაგდება ჯურღმულში (5) ინკუბატორს ორმაგი კედლები აქვს. სივრცე კედლებს შორის გავსებულია მასალით, რომელიც სითბოს არ უშვებს. ინკუბატორი თბება სპეციალური [illegible] ლამპების საშუალებით (6) რათა სითბო მეტი არ მოვიდეს, ყუთის კედელზე მიმაგრებულია სპეციალური საზომი (7), რომელიც თავისთავად სწყვეტს ელექტროდენს, თუ სითბე ყუთში ნორმალურს 1 გრადუსით გასცილდა.



გარდა აღნიშნულ აპარატისა,ამერიკაში ფართოდ არის გავრცელებული სპეციალური ლამპები საქათმეებისათვის. ამ ლამპებით განსაზღვრული დროის განმავლობაში ანათებენ საქათმეებს და ქათმები მთელი წლის განმავლობაში სდებენ კვერცხს.

გამჭვირვალე ლითონები

დღემდი ჩვენ ვთვლიდით, რომ ლითონები არ არის გამჭვირვალი რადგან ისინი რენტგენის სხივებსაც დიდის გაჭირვებით ატარებენ. ტყვია ამ სხივებსაც არ ატარებს, ამიტომ მას საფრველათ ხმარობენ რენტგენის კაბინეტებში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ზოგიერთ არაკეთილშობილ ლითონებიდან დამზადეს ისეთი თხელი ფირფიტები, რომ ისინი თითქმის სრულიად გამჭვირვალე არიან . მათი სისქე სანტიმეტრის ერთ მემილიონედ ნაწილს უდრის. მიუხედავათ ასეთი სითხელისა, ეს ფირფიტები ძლიერ მაგარი არიან და მრავალი ტეხნიკური [illegible] არიან გამოსადეგ[illegible]

გამოიწერეთ ჟურნალი „სოფლის კომუნისტი"

სოფლის კომუნისტი

საკ(ბ)ცკ ორგანო

შინაარსი:

შ. მახარაძე—„სოფლის კომუნისტი" და სოფელში მუშაობა

მ. ორახელაშვილი—მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი" საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი" არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; **პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფაცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.**

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი **„სოფლის კომუნისტი"**.

ჩვენი ლოზუნგია: **მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი"-ს!**

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი"-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით . . .	2 მანეთი
ნახ. „ . . .	1 „
3 თვით . . .	60 კაპ.
ცალკე ნომერი . . .	20 „

ამასთანავე გეგზავნებათ ფურცელი ხელის მომწერთათვის, რომელიც ფულთან ერთად გამოგზავნილი უნდა იქნეს შემდეგი მისამართით:

თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

ნ. 1362 10—1

ცხრაწლედების მუშაკთა კონფერენცია

მეოთხე დღე

პოლიტ-საგანმანათლებლო განხრა ცხრა წლედებში

პოლიტ-საგანმანათლებლო განხრის სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **გეკკერი**, რომლის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ცხრაწლედები პოლიტ-საგანმანათლებლო განხრით არსებობენ მხოლოდ თბილისში; მათი რიცხვი უდრის—5. აქედან 3 რუსულია, თითო-თითო ქართული და სომხური.

მიმდინარე სამოსწავლო წლის მუშაობამ,—მომხსენებლის გადმოცემით, თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. მოწაფეები დიდი ხალისით აწარმოებენ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: თეორეტიულ და პრაქტიკულ მუშაობად. პოლიტ-საგანმანათლებლო საგნების თეორეტიულ შესწავლასთან ერთად სწარმოებდა მუშაობა სხვადასხვა პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც მოწაფეები ეცნობოდენ საქმის წარმოებას და პრაქტიკულ საქმიანობას.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კოოპერატიული განხრა

კოპერატიულ განხრის სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **ზანდუკელი**. მთელს საქართველოში კოოპერატიული განხრა გატარებულია 24—9 წლედში. ამ ტიპის განხრის სკოლების შედარებით სიმრავლე აიხსნება იმ გარემოებით, რომ პროვინციაში უფრო [illegible] შეიქნა ამ განხრისათვის საჭირო სპეციალისტების გამონახვა.

კოოპერატიული განხრის სკოლების მიზანია მომზადოს სოფლის და ქალაქის კოოპერატივებისათვის საშუალო კვალიფიკაციის მუშაკნი. თითქმის ყველა ცხრაწლედებთან მოწყობილია პატარა სასკოლო კოოპერატივები, სადაც მუშაობენ სკოლის მოწაფეები. ამასთან ერთად სწარმოებს მე-9 ჯგუფის მოწაფეთა სისტემატიური ექსკურსიები კოოპერატივებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სტატისტიკურ დაწესებულებებში და სხვაგან.

პროვინციის ცხრაწლედში ახალგაზრდებს ამზადებენ არა მარტო სასოფლოდ, არამედ ქალაქის კოოპერატივებისათვის.

სექციის აზრით, განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული პროგრამა სავსებით საკმარისია და შესაფერი კოოპერატ. განხრის სკოლებისათვის.

მუშაობას აბრკოლებს კოოპერატიულ ლიტერატურის, სახელმძღვანელოების უქონლობა და ლაბორატორიების და კაბინეტების მოუწყობლობა. რასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ამხ. **მარიამ ორახელაშვილის** აზრით, კოპერატიულ განხრის პრაქტიკულ მუშაობის გასაძლიერებლად მიზანშეწონილი იქნება, თუ პროვინციის სარაიონო კოოპერატივები ცხრაწლედებთან გახსნიან კოოპერატ. დუქნებს, სადაც სამუშაოთ მოწვეული იქნებიან უკანასკნელი ჯგუფის მოწაფეები. ორატორები გამოსთქვამენ აზრს, რომ ცხრაწლედებმა ყურადღება მიაქციონ არა მარტო კოოპერატორ-პრაქტიკოსებს, არამედ კოოპერაციის იდეის პროპაგანდისტების გამოზრდასაც. ორატორების აზრით კოოპერატ. განხრის სკოლებმა უნდა გამოუშვან ახალგაზრდები, რომელნიც დაეხმარებიან ჩვენ მშრომელ გლეხობას კოლექტიური მეურნეობის მოწყობა-მოწესრიგებაში.

მეხუთე დღე

პედაგოგიური განხრა

პედაგოგიური განხრის სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **ევ. მიქელაძე**. საქართველოში მომხსენებლის გადმოცემით—პედაგოგიური განხრა მიცემული აქვს 20 სკოლას, სადაც 40 ჯგუფი მეცადინეობს. პედაგოგიურ განხრის მიცემა ცხრაწლედებისათვის მოითხოვეს მაზრებმა, რომელნიც ოთხწლედების მასწავლებელთა დიდ საჭიროებას განიცდიან. პედაგოგიური განხრის შემოღებას დიდი დაბრკოლება არ გადაულობია, რადგანაც შედარებით ადვილი შეიქნა პედაგოგიური პერსონალის გამონახვა ასეთი ტიპის სკოლებისათვის.

საერთოდ ჯგუფების პრაქტიკული მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

მეორე საფეხურის სკოლების მეორე კონცენტრაციის რეორგანიზაცია

(მომხსენებელი ამხ. გ. გოგვაძე)

მომხსენებელი [illegible] მეორე საფეხურის სკოლის რეორგანიზაციის, ამბობს, რომ [illegible]ლი მარქსისტული შრომის სკოლის [illegible] პირობას წარმოადგენს მაღალი ტექნიკით.—საწარმოო ძალების ზედმიწევნით განვითარება. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პირობებში ძნელ საქმეს წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის პოლიტექნიკური ცოდნის მიცემა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში შეუძლებელი იყოს შრომის სკოლის შექმნა.

საბჭოთა შრომის სკოლამ ჩვენს მეურნეობას უნდა მოუმზადოს ახალგაზრდები, რომელნიც აუცილებელ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას გასწევენ.

ყოველწლიურად ჩვენს ცხრაწლედებს ათავებს რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა. სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია მიიღოს ყოველწლიურად მხოლოდ 1.500 ახალგაზრდა. იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გარიყული არ დარჩეს საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობისაგან, ჩვენს ცხრაწლედებს ეკისრებათ ქვეყანას მისცეს მეურნეობისათვის საჭირო ცოდნით და შრომის უნარით აღჭურვილი ახალგაზრდები.

◆

ინჟენერ-ჰიდრავლიკოსთა თათბირი

მესამე დღე

მოხსენებები ოლქებიდან

მესამე სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენებები წყალთა მეურნეობის ოლქებიდან.

პირველი მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის წყალთა ოლქის გამგე **ინჟ. კაკუბა**.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა აფხაზეთის მოსახლეობისათვის ჭაობების ამოშრობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ თუ იქ ყველა განზრახული სამუშაოები ჩატარდა—მივიღებთ 20 ათას დესეტინა სახნავ მიწას, რაც ფრიად შეამცირებს მიწის ნაკლებობას აფხაზეთში, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მოვსპობთ იქ დაბუდებულ მალარიას. მომხს. შეჩერდა აგრეთვე მდინარეების ნაპირების გამაგრების საჭიროებაზე და დამსწრეებს წარუდგინა სქემა თუ რა დაჯდება ყველა ეს სამუშაოები და რა შედეგებს მოგვცემს მათი შესრულება.

მეორე მოხსენებით გამოვიდა აჭარისტანის წყალთა ოლქის წარმომადგენელი ინჟ. **ვოლიკოვი**.

იგი აღნიშნავს რომ აჭარისტანში მხოლოთ შარშან დაიწყო წყალსადენის გაყვანა და ახლო ხანში დასრულდება 17 ვერს ნახევრის სიგრძის წყალსადენების გაყვანა.

ამოსაშრობი ადგილების სივრცე კი მთელ ოლქში შეადგენს 3.500 დესეტინას. შემდეგ იგი დაწვრილებით ჩერდება ცალკე სამუშაო რაიონებში წარმოებულ მუშაობაზე და აცნობს თათბირს, თუ რა სისტემით სწარმოებს მუშაობა.

თბილისის წყალთა ოლქიდან მოხსენება გააკეთა **ინჟ. ჯაფარიძემ**.

მომხს. აღნიშნავს, რომ ოლქში ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ყველა წყალთა უბნებში და განსაკუთრებით ყარაიაზის სისტემის გადასაკეთებლათ. იგი დაწვრილებით ეხება თუ თითო დესეტინას მოსარწყავათ რამდენი რაოდენობის წყალია საჭირო, როგორი დამოკიდებულებაა წყლით მოსარგებლე გლეხობთან, აღმასკომებთან და სხვა.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მან გასცა სათანადო პასუხი.

შემდეგ მოხსენებებით გამოდიან სხვა ოლქების წარმომადგენლები გორის წყალთა ოლქიდან, კახეთის წყალთა ოლქიდან და სხ.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ადგილების წარმომადგენელმა ჰიდრავლიკებმა.

კამათის დასასრულს განიხილეს რამოდენიმე მიმდინარე საკითხი, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

◆

საგეგმო კომისიაში

ნოტარიატების შესახებ

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მომავალი საბიუჯეტო წლიდან ნოტარიატების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანა [illegible] სისტემის დატოვებით.

სახმელვაჭროების შუამდგომლობა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო სახმელვაჭრობის წარმოების გაფართოება და ამისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემა მისთვის. ამ მიზნით წინადადება მიეცა სამმართ[illegible] კომისიაში სა-

რადიო-სტუდია

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მუშათა სასახლეში აწყობს რადიო-სტუდიას. საჭირო თანხა გადასდო პროფსაბჭომ.

რადიო-სტუდიიდან ტელეფონით ნავთლუღის რადიო-სადგურში გადაცემული იქნება კონცერტი, სიტყვები, მოხსენებები და სხვა. აქედან ყველაფერი ეს გადაცემული იქნება მთელ საქართვე-

დახმარება

მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში, (1-ლი ოქტომბრიდან 1-ლ აპრილამდე) სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილ ომის ინვალიდებს დახმარების სახით მიუღიათ 7.036 მანეთი.

ამავე ხნის განმავლობაში რევოლიუციისა და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებულებს მიუღიათ გაძლიერებული დახმარებების სახით 19.506 მანეთი, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში 1.877 მანეთი დაიხარჯა ერთდროული დახმარებების სახით.

◆

საორგანიზაციო თათბირები

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა განყოფილებებთან ამჟამად ეწყობა ე. წ. საორგანიზაციო თათბირები. თათბირებს უხელმძღვანელებენ ცალკე კოლეგიები, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ კომისარიატში შემოსულ საქმეებს და საზოგადოთ განყოფილებების მიერ ჩატარებულ მუშაობას.

კომისარიატის აღნიშნული ღონისძიება გამოწვეულია საქმის და კომისარიატის სხვა მიმართულებებით მუშაობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენების მიზნით.

◆

რკინის გზებზე

კომისიის დაბრუნება

საკავშირო კომპარტიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ, რომელიც ჩამოვიდა ა.-კ. რკინის-გზების საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის საკითხის ადგილობრივ გასაცნობათ და გზების სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის გამოსაკვლევათ, უკვე მოიარა გზების დასავლეთ უბანი და გუშინ დაბრუნდა თბილისში. დღეს კომისია დაათვალიერებს ზაჰესს.

ვაგონები საზაფხულო ექსკურსიებისათვის

ა.-კ. რკინის გზების საგზაო კომიტეტის თხოვნით და ცენტრის შუამდგომლობით, ამიერ-კავკასიის რკ. გზებმა მისცა კომიტეტს საზაფხულო ექსკურსიებისათვის ოთხი ვაგონი. აქედან ორი ვაგონი გამოყენებული იქნება ა.-კ. რკ. გზების გარეთ ექსკურსიებზე და ორიც თვით ა.-კ. რკ. გზებზე.

ვაგონები მოხმარდება განსაკუთრებით რკინის გზელთა პროფკავშირის წევრთა ექსკურსიებს.

შ. მ. ო.-ს წარმომადგენელი გამგეობაში

გზათა მიმოსვლის კომისარიატის ბრძანებით შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიუროს წარმომადგენელი შედის გზათა გამგეობის შემადგენლობაში, როგორც ცალკე ტექნიკური განყოფილება. იგი ითვლება ორგანოთ, რომელიც ხელმძღვანელობს გზებზე, მუშაობის რაციონალიზაციის საქმეს.

რკინის გზელთა ყრილობაზე

ა.-კ. რკინისგზების სამმართველოდან რკინისგზელთა მე-6 ყრილობაზე, რომელიც იხსნება 1 ივნისს ლენინკანში, მიემგზავრებიან: სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. **ივანოვი** და გზათა უფროსი ამხ. **ზერიძე**.

საგზაო კომიტეტის პლენუმი

31 ივნისს შესდგება ა.-კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის პლენუმი. პლენუმი დამთავრდება იმავე დღეს და საღამოს დელეგატები სპეციალური მატარებლით გაემგზავრებიან ლენინკანში რკინისგზელთა მე-6 ყრილობაზე.

◆

მოსახლეობა

რესპუბლიკის მაზრებში ზოგიერთ თემების გაუქმებისა და ადმინისტრატიული გადაჯგუფებისათვის შინ. საქ. სახ. კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებამ დაამუშავა მასალები მაზრების მოსახლეობისა, თემების რიცხვისა და ტერიტორიის სივრცის შესახებ.

ამ ცნობების თანახმად გამოირკვა შემდეგი:

ქუთაისის მაზრაში ითვლება 231,594 მცხოვრები, 45 თემი და 3.044 კვადრატ. ვერსის სივრცის ტერიტორია.

ოზურგეთის მაზრაში—118,724 მცხოვრებია, 41 თემი და 1,845 კვადრ. ვერსის ტერიტორია.

სენაკის მაზრაში—125.039 მცხოვრებია, 39 თემი და 1.716 კვადრ. ვერსის ტერიტორია.

ლეჩხუმის მაზრაში—44381 მცხოვრებია, 14 თემი და 1.916 კვადრ. ვერ. ტერიტ.

რაჭის მაზრაში—72.538 მცხოვრები, 29 თემი და 2.092 კვადრ. ვერ. ტერიტ.

შორაპნის მაზრაში—175.078 მცხ., 34 თემი და 2.410 კვადრ. ვერ. ტერიტ.

ზემო-სვანეთში—12.444 მცხოვრები, 15 თემი და 2.682 კვადრ. ვერსის ტერიტორია.

დუშეთის მაზრაში—მცხოვრებთა რიცხვი უდრის 59.818, ტერიტორია—3.841 კვადრ. ვერსს და თემების—20.

თელავის მაზრაში—92.602 მცხოვრები, 19 თემი და 3.910 კვადრ. ვერსის ტერიტორია.

სიღნაღის მაზრაში—140.037 მცხ., ტერიტორიის სივრცე კი—5.429 კვადრ. ვერსს უდრის.

ზუგდიდის მაზრაში—125.728 მცხოვრები, 49 თემია და 2.626 კვადრ. ვერსის ტერიტ.

ბორჩალოს მაზრაში—60.700 მცხოვრები, 2.698 კვადრ. ვერ. ტერიტ. და 30 თემი.

ახალციხის მაზრაში—83.305 მცხ., 2.308 კვად. ვერ. ტერიტ. 19 თემი.

ახალქალაქის მაზრაში—68.240 მცხოვრები და ტერიტ. სივრცე უდრის 2.355 კვად. ვერსს.

გორის მაზრაში ითვლება—175,427 მცხოვრები, 40 თემი და 4.060 კვად. ვ. ტერ. ხოლო **თბილისის მაზრაში** კი სცხოვრობს 5.552 კვადრ. ვერსზე 376.543 მცხოვრები.

ცაკში

სასოფლო სასამართლოების შესახებ.

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაარსა კომისია ამხ. ს. თოდრიას თავმჯდომარეობით და დაავალა დაწვრილებით განიხილოს დებულება სასოფლო სასამართლოების შესახებ და ცაკის თავმჯდომარესთან შეთანხმებით წარუდგინოს განსახილველად მიმდინარე სესიას.

სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

ცაკმა დაამტკიცა პროექტი დადგენილებისა „სავალდებულო დადგენილებათა წესისა და მისი დარღვევისათვის ადმინისტრატიულ წესით დასჯის შესახებ" მოქმედ დებულებისათვის დამატების დანართის შესახებ. ეს დამატება შეიცავს სასჯელს ტრამვაიზე თამბაქოს წევისა, ქუჩებში მიმოსვლისა და სხვა წესების დარღვევისათვის.

თამბაქოს წევის შესახებ.

ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, იუსტიციისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისრების მონაწილეობით შეიმუშაოს პროექტი სავალდებულო დადგენილებისა თამბაქოს წევის წესის შესახებ დაწესებულებებში, წარმოებებში და ორგანიზაციებში.

პენსიის დანიშვნა.

შრომის სახალხო კომისარიატის სოციალურ დაზღვევის სამმართველოსთან არსებულ კომისიის მიერ იქნა შემუშავებული 2 სია დამსახურებულ პირველ საფეხურის მასწავლებელთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ამ სიების თანახმად, დაენიშნათ პენსია 38 დამსახურებულ მასწავლებელთ. სია დამტკიცებულია საქ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ უცვლელად.

თხოვნის დაკმაყოფილება.

ქუთაისის მაზრაღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცაკის პრეზიდიუმის წინაშე, რათა ობჩის თემის ოთხწლედი შრომის სკოლის შენობა იქნეს აშენებული ლაღიძისეულ მამულში (ეს მამული ითვლება ცენტრად ამ თემის მეოთხე უბანში). ცაკმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

სკოლის ადგილი.

განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად, ცაკმა დაადგინა: ზემო და ქვემო-თავპანტას სასკოლო ადგილად ცნობილი იქნეს ქვემო-თავპანტას ის ადგილი, სადაც ეხლა აგებულია ამ სოფლის სასკოლო შენობა. ამ უკანასკნელის გასაფართოებლად უნდა გადმოტანილ იქნეს ზემო-თავპანტაში არსებული სკოლა.

ჯარიმის გადახდისაგან განთავისუფლება.

ახალქალაქის მაზრაღმასკომის შუამდგომლობის გამო, პრეზიდიუმის მიერ განთავისუფლებულ იქნა სოფ. ლეშტიის ათი მცხოვრები ახალქალაქის სახალხო სასამართლოს განაჩენით დადებულ 200 მანეთის ჯარიმის გადახდისაგან.

თხოვნების უშედეგოთ დატოვება.

პრეზიდიუმის მიერ უშედეგოთაა დატოვებული მსჯავრდადებულთა: ჯიბუტის, ამირაღოვის, იაშაღაშვილის, გოგიტაშვილის, შაგინოვის, ცივიშვილის, წივწივაშვილის, ბუკიას, ცატუროვის, მწყერაშვილის, პოპოვის, კორძაიას, ჩარგეიშვილის, ადამიას, ტირიდატოვის, შაან ალი-ოღლის, კანდელაკის, ცხომარიას, ფავლენიშვილის, პეტროსოვის, ფურცელაძის და ქაცარაძის თხოვნები.

◆

ს. ხ. კომისართა საბჭოში

აჭარისტანის წარმომადგენელი ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში

ამხ. ქიქავას ნაცვლად ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრად აჭარისტანიდან დაინიშნა ამხ. სულეიმან ლორთქიფანიძე.

ჭაობების ამოშრობა

მოეწყო კომისია ამხ. ზახტაძისა (თავმჯდომარე), მგალობლიშვილისა და კიკნაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მოაწესრიგოს საკითხი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის ფოთისა და ჭალადიდის რაიონებში ჭაობების ამოშრობის მიზნით წარმოებულ მუშაობათა საჭიროებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალათა დათმობის შესახებ.

კურორტების კეთილმოწყობა

სახკომსაბჭომ მოიწონა სპეციალურ კომისიის მოხსენება საქართველოს კურორტების კეთილმოწყობის შესახებ. საკურორტო სამმართველოს დაევალა გაატაროს ცხოვრებაში ზემოხსენებული კომისიის მიერ აღნიშნული ყველა ღონისძიებანი.

ამხ. მამალაძის დანიშვნა

საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. მამალაძე.

◆

სამუშაო დრო

სტუდენტებისათვის

ა.-კ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს 8 საათ. სამუშაო დღე სადაც ასეთი შემოღებულია მუშათა ფაკულტეტების უკანასკნელი კურსის იმ სტუდენტთათვის, რომლებიც მუშაობენ ამიერ - კავკასიის რკინისგზებზე და ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში, შემცირებული იქნეს ორი საათით.

აღნიშნულ სტუდენტებს ენახებათ სრული სამუშაო დღის ხელფასი.

ამას გარდა აღნიშნული სტუდენტები მიმდინარე სამოსწავლო წელში გამოცხადების დროს სრულიად განთავისუფლებული იქნებიან სამუშაოდან აღნიშნულ დაწესებულებებში ხელფასის შენახვით.

ქრონიკა

ამხ. ბორისოვის ჩამოსვლა

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო განათლების ცენტრალურ სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ბორისოვი. გუშინ ამხ. ბორისოვი ეწვია საგზაო კომიტეტს და გაეცნო ა.-კ. რკინის-გზათა კომიტეტის საგანმანათლებლო მუშაობას.

ამხ. ბორისოვის ამ.-კავკასიაში ჩამოსვლის მიზანია გაატაროს ცენტრის დადგენილება ა.-კ. რკინის-გზებზე სატრანსპორტო -საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერების შესახებ.

ამ დღეებში ამხ. ბორისოვი გაემგზავრება ა.-კ. რკინის-გზის ხაზის დასათვალიერებლად.

შემოსავალი.

1924—25 წ. მთელ საქართველოში სახელმწიფოს შემოსავალი უდრის 24.927.038 მან., აქედან მარტო თბილისის მაზრიდან სახელმწიფოს შემოუვიდა 15.772.520 მანეთი.

ტრაქტორები.

ცენტრის დადგენილებით, კოოპერატიული დაწესებულებები ვალდებული არიან გლეხებს ტრაქტორებისათვის საჭირო ნავთი დაურიგონ შეღავათიან ფასებში. ქუთაისის მაზრაში ტრაქტორებისათვის გლეხებს უკვე ფუთი ნავთი ეძლევათ 39½ კაპეიკათ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის საერთო რაოდენობა მთელ საქართველოზე გასულ 24—25 წელთან შედარებით, 25—26 წლისათვის შემცირებული იქნა სანახევროდ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასე საგრძნობი შემცირება გამოწვეულია გლეხებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებისა და, საერთოდ, სასოფლო მეურნეობის გაჯანსაღების მიზნით.

ხარჯები განათლებაზე.

1925—26 წლისათვის სწავლა-განათლების საქმეზე მთავრობის მიერ გაღებული იქნა 5.982.157 მანეთი, რაც უდრის სახელმწიფოს მთელი გასავლის თითქმის ნახევარს.

კოოპერაცია.

— **საქონლის ნაკლებობა.** დასავლეთ საქართველოში სამომხმარებლო კოოპერატივებში ნაკლებობაა ფართლეულის, რკინეულის და ჭურჭლეულობის.

— **ფართალი.** ცეკავშირმა ქუთაისის განყოფილებას გაუგზავნა 1 ვაგონი ფართალი.

— **სამაგალითო კოოპერატივი.** სენაკის მაზრაში, სოფ. თაბაკონის კოოპერატივი ნაყოფიერ მუშაობისათვის გამოცხადებული იქნა სამაგალითო კოოპერატივად.

თამბაქოს მეგამბეობის შესახებ.

15 ივლისს შესდგება ამიერ-კავკასიის თათბირი მებამბეობის შესახებ.

სხვადასხვა.

— **ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს** 1925—26 წ. დახმარება გასულ წელთან შედარებით გაუდიდდა 59,8 პროც., ასე რომ წელს ჯანმრთელობის საქმეზე დაიხარჯება 1.050.639 მან.

— „ავ[illegible]"-ის წევრთა ხელახალი აღრიცხვა დამთავ[illegible]ება დღეს; ძველი წევრები, რომლებიც არ გატარდებიან აღრიცხვაში, ჰკარგავენ წევრობის უფლებას და შემდეგ მიღებული იქნებიან მხოლოდ, როგორც ახალი წევრები.

კრებები და მოხსენებები.

— **„ექსპედიცია იალბუზზე".** დღეს, 30 მაისს, საღამოს 8½ საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში დოც. გ. ნიკოლაძე წაიკითხავს მოხსენებას—„საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციის ასვლა იალბუზზე".

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს, 31 მაისს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება პროფწრის მეცადინეობა ამხ. კვიცარიძის ხელმძღვანელობით.

— **„ბაღ-ბოსტან კავშირის" წევრთა კრება.** სრულიად საქართველოს მებაღე-მებოსტნეთა ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთა „ბაღბოსტანკავშირი"-ს დამფუძნებელი კრება შესდგება კვირას, 30 მაისს, დილის 12 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში.

შემთხვევები.

— **ქურდი ქალი.** 28 მაისს ექიმ მრევლიშვილის ბინაზე შეიპყრეს ელენე ხარეკაული, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **ცეცხლი.** 28 მაისს ახალ ბაზარში მდებარე ოდელავაძის დარაბას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ.

— **შეპყრობა.** შეიპყრეს ქურდობისათვის ვინმე ხრიჩოვი.

— 28 მაისს დააპატიმრეს ჯიბგირები სარქის ხურშუდიანი და ჯაბარ-ყოჩი იაშუროღლი.

— **ქურდები.** 28 მაისს ბნელი რიგი, № 12, მამხუდ ისლამოვის სავაჭროდან მოიპარეს 900 მანეთის ნივთები.

— იმავე დღეს კომუნალური ქ., № 94, გაქურდეს წითელი სასადილო.

— ამავე დღეს კამოს ქ., № 67, რიფსიმე მანასაროვის ბინა უნდოდა გაექურდა მუხესარვალი-ოღლის, რომელიც იქვე შეიპყრეს.

◆

სასამართლო

დახვრეტა გაფლანგვისათვის

ლომინაძის საქმის გამო, გუშინ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, ბრალდებულ ლომინაძის მიერ გაფლანგულია—4.903 მან. და 40 კაპ. შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელი **სანებლიძე** მხარს უჭერს ლომინაძის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებას და მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი.

დამცველი **პ. ქავთარაძე** შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ბრალდებულზე არ იქნას გავრცელებული სასჯელის უმაღლესი ზომა.

საბოლოო სიტყვა მიეცა ბრალდებულ **ლომინაძეს**, რომელიც თავს დამნაშავედ სცნობს და სთხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად.

4 საათის თათბირის შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, რომლითაც ბრალდებულ ივანე ლომინაძეს—4.903 მან. და 40 კაპ. საკავშირო თანხების მითვისებისა და გაფლანგვისათვის მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

10.700 მან. მითვისება

წინასწარი გამოძიება **კონსტანტინე კუციდის** საქმეზე დასრულდა.

კუციდის ბრალათ ედება 10.700 მანეთის საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა თამბაქოს ტრესტის № 2 მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

◆

ბანდის ლიკვიდაცია

სიღნაღის და ზაქათალის მაზრებში (აზერბეიჯანი) დიდი ხანია მოქმედებდა ცნობილი აბრაგის რაზმან-ნურ-მამედ-ოღლის მძარცველთა დიდი ბანდა. ბანდას მოწყობილი ჰქონდა, თავისი ორგანიზაცია აგრეთვე საქართველოში, სიღნაღის მაზრიდან ყაჩაღები სისტემატიურათ აწარმოებდენ საქონლის გატაცებას და გაყვანას აზერბეიჯანში. აქედან ბანდა საქონელს ასაღებდა თავისი აგენტების საშუალებით შორეულ ქალაქებში.

რაზმან-ნურის ბანდას დიდძალი საქონელი ჰყავს გატაცებული სიღნაღის მაზრიდან; მისგან მოსვენება არ ჰქონდათ კახელ მესაქონლეებს.

ცენტრალურმა სისხლის სამართლის მაძიებელმა მილიციამ გუშინ მიიღო დეპეშა, რომ ცენტ. სისხ. სამართლის მაძიებელი მილიციის თანამშრომლებმა ლიკვიდაცია უქნეს ამ ბანდას 28 მაისს, საღამოს.

მოკლულია თვით ბანდის სულის ჩამდგმელი რაზმან-ნური და დანარჩენი ოთხი მეთაური, ბანდის ერთი ნაწილი დაპატიმრებულია.

ხელოვნება

ახალი ქართული ოპერა.

ქართულ საოპერო ლიტერატურას ამ მოკლე ხანში მიემატება ახალი საოპერო ნაწარმოები ახალგაზრდა კომპოზიტორ მიხეილ ლალინოვისა (რომელმაც წარსულ წელს დაამთავრა კურსი სახელმწიფო კონსერვატორიაში იპპოლიტოვ-ივანოვის კომპოზიციის კლასით).

ახალი ოპერა სიმბოლიური შინაარსისაა, ლიბრეტო პ. მირიანაშვილის მიერაა შედგენილი. ოპერის სახელწოდება არის „უკვდავი სილამაზე". ავტორმა თავის ოპერა უკვე დაამთავრა ფორტეპიანოს შესრულებისათვის, დამთავრებულია აგრეთვე ვოკალური ნაწილი. დარჩენილია მხოლოდ ორკესტროვკა, რომელსაც ავტორი შეუდგება თავის ოპერის დემონსტრაციის შემდეგ—მიმდინარე წლის ივნისის პირველ რიცხვებში—სახელმწიფო ოპერის არტისტების (მრავალი, მაყაშვილი, ქუმსიაშვილი, ლორთქიფანიძე და სხვ.) შესრულებით.

ახალი ოპერის ერთი დადებითი მხარეთაგანი მელოდიების სიმრავლეში გამოიხატება. მაგალითად, ფრიად მელოდიურია დედის პარტია (მეცო-სოპრანო), მშვენიერი განწყობილებით და ლამაზი ხმებითაა დაწერილი შვილის პარტია (ტენორი); მეტად მელოდიურია სილამაზის პარტია (სოპრანო).

ოპერაში ცოცხალი მოქმედებაა—ბალეტის ნომრები. საინტერესოა და მელოდიური ფანტასტიური ცეკვა.

პ. ბ.

ხელოვნების სასახლეში.

— **მოხსენება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების სასახლეში მოხსენებას წაიკითხავს არჩ. ჯაჯანაშვილი ლიტერატურაზე.

— **მწერალთა საბჭოს კრება.** ხვალ, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების სასახლეში დანიშნულია მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომა. დასწრება სავალდებულოა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

ხელოვნების ქრონიკა.

— **წითელარმიის და ფლოტის სახლში** უკრაინულმა დასმა დაიწყო თავის წარმოდგენების გამართვა.

— **„მეცხრე ტალღა".** ამ დღეებში თბილისის კინოთეატრებში დაიწყება ახალ კინოსურათ „მეცხრე ტალღა"-ს ჩვენება.

— **სომხური აკადემიური დრამის** გასტროლები თბილისში დაიწყება ივნისის პირველ რიცხვებში.

— **კინოები.** თბილისში ამჟამად მუშაობს 9 კინოთეატრი.

— **„ჰაიარტუნ"-ში** 5 ივნისს გაიმართება საღამო ოვანეს აჯამიანის 45 წლის საგაზეთო მუშაობის აღსანიშნავად.

— **ფუტურისტების საღამო.** სახელმწიფო კონსერვატორიაში 12 ივნისს გაიმართება ქართველ ფუტურისტების საღამო.

— **ხაშურის რკინისგზელთა კლუბი.** ხაშურის რკინისგზის ცენტრალურ მუშათა კლუბის გამგეობამ რეჟისორად მიიწვია ი. ზარდალიშვილი, რომელსაც დაევალა დასის შედგენა. დასი იმუშავებს ზაფხულის განმავლობაში ხაშურსა და სურამში.

— **„ატრიალე მიშა"!** დღეს რუსთაველის თეატრში დღით მოსკოვის სატირის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ატრიალე მიშა"!

— **კინო ბავშვებისათვის.** დღეს „არფასტო"-ში გაიმართება საბავშვო სეანსი.

— **„არშინ მალ-ალან".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „არშინ მალ-

პოეტი აკოფ-აკოფიანი

დღეს სრულდება სახალხო პოეტ აკოფ აკოფიანის დაბადების 60 წლის თავი. ყველას ახსოვს თუ რა დიდი ზეიმით იყო გადახდილი მთელ ამიერ-კავკასიაში აკოფიანის სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლ. იუბილე.

ქართველი მკითხველი უკვე გაეცნო აკოფიანის ნაწერების ერთ ნაწილს, რომელიც გამოიცა ამ იუბილეს დღეებში ცალკე წიგნაკათ და იმ მასალას, რომელიც დაიბეჭდა ამავე დროს სხვადასხვა გაზეთებში და ჟურნალებში. ამაზე ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ, მხოლოდ დაუმატებთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ პოეტი უკვე ხანშესულია ის ისევ განაგრძობს წერას იმავე ენერგიით და კილოთი რომლითაც მუშაობდა თავის მწერლობის აყვავების ხანაში. მისი ნაშრომი არ ჩამოურჩება ამ ხანის ნაწერებს.

მისი „ღმერთებმა ილაპარაკეს" (1923 წ.), „ვოლხოვსტროი" (1925 წ.), აგრეთვე „ჩათახი", „გალვიძება", „№ 67 ვიშკა" და სხვა, რომელიც დასწერა ამხ. აკოფიანმა ამ ადგილების დათვალიერების შემდეგ, საბჭოთა სოციალისტური აღმშენებლობისას.

დროა ეს ნაწერები გადაითარგმნოს ქართულად, რათა ისინი მისაწდომი გახდენ ჩვენი მასიური მკითხველებისთვისაც.

ვუსურვებთ სახალხო პოეტს, ჩვენს ამხანაგს აკოფ. აკოფიანს მშრომელთა ისეთი გულით და ენერგიით სამსახურს, როგორითაც აღბეჭდილია მისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობა წარსულში.

ამხანაგი.

◆

ნარევი

დაზღვეული ღიმილი

ამერიკელმა მსახი[illegible] **მაკ-ლინმა** დააზღვევა თავისი ღიმილი. [illegible] ვაფუჭება, სამართებელით სახის გ[illegible] ან სხვა რაიმე შემთხვევა, რომელიც დაუკარგავს მაკ-ლინის ხალხის მომჯადოებელ მხიარულ გამომეტყველებას, უფლებას აძლევს მას მიიღოს დიდი თანხა.

უცოდინარობის რეკორდი

კულტურულად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას მსოფლიოში წარმოადგენს ინდოეთი, სადაც მოსახლეობის 92% წერა არ იცის სამშობლო ენაზე. წერა-კითხვის უცოდინართა თითქმის ასეთივე პროცენტია ცენტრალურ-ამერიკაში, უმთავრესად ინდიელთა შორის. რაც შეეხება ევროპას, იქ კულტურულად ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა არის სამხრეთ-სლავია, სადაც 78% წერა-კითხვის უცოდინარია.

თეთრი ემიგრაციის სტატისტიკა

ბერლინში ამ რამდენიმე ხნის წინად გამოვიდა „სლავიანთა კალენდარი", რომელიც შეიცავს ცნობებს თეთრგვარდიელთა რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში. ყველაზე მეტია ემიგრანტები საფრანგეთში—200—250 ათასი კაცი, პოლონეთში—80.000, ბულგარეთში—50.000, სამხრეთ-სლავიაში—38.000, ჩეხო-სლოვაკიაში—30,000, ესტონეთში—10.000, იტალიაში—სამ-ოთხი ათასი. ემიგრანტები არიან სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ მათი რაოდენობის შესახებ კალენდარში არ მოიპოება ცნობები.

გადაგვარების სტატისტიკა

წარსულ წელში, საფრანგეთში პირველათ ომის შემდეგ დაბადებულთა რიცხვმა გადააჭარბა გარდაცვალებულთა რიცხვს, მართალია ბევრით არა—სულ რამდენიმე ათეული ათასით. სტატისტიკის დეპარტამენტმა ახლახან გამოაქვეყნა ცნობა, რომ მიმდინარე წლის პირველი მეოთხედიც ასეთივე დადებითი შედეგებს იძლევა. „პატრიოტები" ზეიმობენ, თუმცა ზოგიერთი ფხიზელი ელემენტები აღნიშნავენ, რომ საზეიმო არაფერია, რადგან ზრდა მოდის არა ფრანგ, არამედ უცხო მოსახლეობაზე, ემიგრანტებზე.

მეორე—„რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის გადიდებას რამოდენიმე ათეული ათასით, როცა გერმანიის მოსახლეობა ომის დამთავრებიდან 6 წლის შემდეგ 5½ მილიონით გაიზარდა და ახლა 66 მილიონს აღწევს, საფრანგეთი კი ათეული წლების წლების განმავლობაში ვერ გასცილებია 39 მილიონს."

პროვინციელი ექიმის **ფელიქს გრას** ბროშურა,—„გადაგვარების არითმეტიკა"—რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გამოვიდა, ნათელს ფენს იმ საფრთხეს, რომელიც მოელის საფრანგეთის მოსახლეობას, თუ დროზე შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული.

„ავიღოთ 100 ქორწინებათ,—სწერს **გრა**,—ე. ი. 100 ქალი და 100 მამაკაცი. ქორწინებათა ათი პროცენტი უსათუოდ უნაყოფოა. გარდა ამისა დაბადებულთა 25% მოკვდება მანამდე, სანამდე ისინი დაქორწინდებიან და მემკვიდრეები გაუჩნდებათ.

ამ ანგარიშით 200 ოჯახს, თუ ორ-ორი ბავშვი გაუჩნდა (აღნიშნული 10 პროცენტის გამოკლებით) ეყოლებათ 90×2=180 ბავშვი, 25%-ის გამოკლებით კი—135 ბავშვი. ამ 67 წყვილს (იმავე ანგარიშით) ეყოლება უკვე 90 ბავშვი, და მთელი ერი ამ ანგარიშით მოისპობა მეოთხე თაობაში.

სამი შვილის ყოლის დროს—მოსახლეობას არც ემატება და არც აკლდება.

ოთხი შვილის ყოლის დროს (90×4=360—90=270) მოსახლეობა იზრდება; 5 შვილის ყოლის დროს მოსახლეობა შესამჩნევათ იზრდება.

ამიტომ მხოლოდ ის ოჯახები, რომლებსაც 4 შვილი ყავთ, არ უთხრიან ძირს ეროვნებას და მხოლოდ 5 შვილის პატრონნი მკვიდრ საძირკველს უყრიან მას—რიცხვობრივად".

ასე აცხადებს ფელიქს გრა ულმობელი ციფრების ენით.

პატარა ფელეტონი

რეჟიმ-ეკონომია

სანამ მქონდა ფულები,
ვჭამე მოხრაკულები;
როცა გამომელია,
ჩამოვყარე ყურები!

ხალხური.

ჭირად გამოიგონეს
რეჟიმ-ეკონომია;
რა განცხრომით ვცხოვრობდი,
დღეს სიზმარი მგონია!
დილით გვიან ვდგებოდი,
არ ფასობდა დრონია,
სამსახური რას ერქვა.
მცირეც არ მიშრომია.
ჩემს მაგიერ მდივანი
აკეთებდა კოლია.
„ავტო" ჩემი მზად იყო
(სხვა დროს როდის მქონია?!)
მომართმევდენ ყუყუნით,
საათობით მდგომია!
კოჯორში და მანგლისში
შიკით გამიქროლია.
ჩემი ცოლის ფარულად
თან მყოლია ოლია.
იღლიაში პორთფელი
წითელი და ბროლია;
გატენილი დამქონდა,
ეტლსაც გაუყოლია.
სარდაფს ვესტუმრებოდი,
სად საცივი, ღომია!
გადავკრავდი ხვანჭკარას,
„კამპანიაც" მყოლია:
პეტრე, პავლე, სვიმონი
ქალი კაბა—ქროლია.

***

ვისრულებდი ყველაფერს,
რაც კი შომინდომნია.
ცედურს მრავალჟამიერს
(ო, ვის მოუგონია!)
დასძახებდა „გემოში"
დანიელა ურია.
გრძელსა „რეჩებს" ვიტყოდით,
შუბლი შენახურია.
იქ თამადა იძახდა:
„ღვინო გვასვი, გვწყურია!"
ექსტაზში რომ შევსულვარ,
ჭიქაც ამისროლია.
კინო, კლუბი, თეატრი,
ცირკი, ჰიპოდრომია...
ძმებო, ყველგან უფასო
მე ბილეთი მქონია!
მარტო ჩემსას ვინ ჩივის,
სხვაც კი წამიყოლია.
ვინ მოსთვალოს დღეს ჩემი
საქმე საგმირონია.
ჯამაგირი „სტავკებით"
დიდი კატეგორია;
ავანსებსაც ვხვეტავდი,
იყო ზედაგორია!
არ მტოხავდა ანგარიშს
ამხანაგი—სწორია.
მე ვიყავი უფროსი
და არც ეხლა ჭორია.
ჩემზე ვერას სწერავდა
ახალი „მუშკორია"
მუდამ მიდასტურებდენ
როგორც ორჯელ ორია—
ყველაფერი რიგზეა,
ყველაფერი სწორია!

***

შეიცვალა ამინდი,
უკვე დღეს კანტროლია.
მოიგონეს ჩემს ჭირად
რეჟიმ—ეკონომია!
(შევარცხვენე მომგონი
მისი აზრი—გონია!)
ველარ მშველის ნაცნობი,
ამხანაგი კოლია.
ჩემო ავტო! მშვიდობით!
ველარ გამიქროლია!
შენც მშვიდობით, პორთფელო!
დარდი შემომწოლია!
შენც მშვიდობით ავანსო!
ჯიბევ, ველარ აგავსო!
მუქთად ველარ ვსარგებლობ,
წახდა ჩემი დრონია!
„მქონდა ბევრი ფულები,
„ვჭამე მოხრაკულები!
როცა გამოიგონეს
რეჟიმ-ეკონომია,—
ჩამოვყარე ყურები
სხვას არავის, დოლიძენ
მხოლოდ დავემდურები!
გასაჭირში ჩამაგდო,
ჩემს მუცელში ომია;
ქუჩა ქუჩა დავდივარ,
სანატრელი ღომია.
ღამე შინ არ შევდივარ,
დარდი შემომწოლია!

ფიდო ლამია.

ღრმად დამწუხრებული ძმა პოტე, მეუღლე ქსენია, შვილი თინათინი, ბიცოლა ეფროსინე, ბიძა იროდიონ მინდელი, ბიძაშვილები ვალიკო, თამარი, შალიკო, აგრა, მარგალიტა და ცუცია მინდელნი და სევო და შუშანიკა გვენცაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი

იროდიონ ჯაფარიძის

უდროოდ გარდაცვალებას 29 მაისს, დილის 11 საათზე. გამოსვენება მოხდება 1-ლ ივნისს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე საკუთარი ბინიდან, ნაძალადევი, ანიევის ქუჩ. № 13.

1—1—ღ.

მეღითონეთა კავშირის ც. გ. ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, ძვირფას და დაუვიწყარ ძველ მუშის ც. გ. სამ მოწვევის ყოფილ წევრის დაკარგვას

სანდრო დავითისძე ვარსემაშვილის

ც. გ. სთხოვს კავშირის ყველა მეღითონეთა წევრებს ქ. თბილისისა მიიღონ მონაწილეობა, რომელიც მოხდება პეტრე-პავლოვის სასაფლაოზე. გამოსვენება იქნება მისი ბინიდან --ყოფილი ზავედენსკის შესახვევი, № 3 (ფუნიკულიორის სადგურთან) კვირას, 30 მაისს, დილის 11 საათზე

ქ. 2658

მეუღლე სოფიო ნიკოლოზ ჭრელაშვილის ასული პატარა ნანათი, მშობლები ნიკოლოზ მიხეილისძე და ელენე მალხაზის ასული, ძმა იოსებ ნიკოლოზისძე პოპიაშვილები და სიდედრ-სიმამრი ოლღა დიმიტრის ასული და ნიკოლოზ იოსებისძე ჭრელაშვილები აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობთ რომ კვირას, 30 მაისს, დღის 1 საათზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ზაქარია (მაქრო) ნიკოლოზის ძე პოპიაშვილის

გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო

ქ. 2650

თავზარდაცემულნი **გიორგი თევდორესძე და ნინო ილიას ასული ჟორდანიები, შვილებით გივით და ეთერით,** აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი დის და მამიდის

თამარის

ტრაგიკულად გარდაცვალებას—ამა მაისს 27-ს, საღამოს 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან დღეს, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე 2663

რკინის გზის გამგეობის ეკონომიურ დარგის მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 27 მაისს, საღამოს ექვს საათზე, **ტრაგიკულად** გარდაიცვალა მათი თანამოსამსახურე

თამარ თევდორეს ასული ჟორდანია

მიცვალებულის გამოსვენება ქაშუეთის ეკლესიიდან დღეს, 30 მაისს შუადღის 12 საათზე 2643

გულდამწვარი მეუღლე ესტატე სისაური, მშობლები სოფიო, იოსები, ძმები—სოკრატ, მიხეილ, ვლადიმერ სულთანიშვილები, დები—მარიამ ფიცხელაური, ანეტა მათურელი, ევა ციციშვილი, ქეთო ჯავახიშვილი მწუხარებით აუწყებენ მათი ძვირფასი, დაუვიწყარი

თამარ იოსების ასული სისაურის

გარდაცვალებას 28 მაისს 4 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2656

ღრმად დამწუხრებული მშობლები, ალექსანდრე სიმონის ძე და თამარა ისაკის ასული ჭურაძენი, ბიძები—მიხაკო და გიორგი, მამიდები—ვერა და ლიდა, და—ფატმანი და ძმები—უშანგი, გიორგი, ვახტანგი და დათიკო ჭურაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი უძვირფასესი

სერგო ჭურაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, 1 ივნისს, გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავადმყოფოდან ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. ღ.

თავზარდაცემულნი ბარბარე რომანოზის ასული მარუაშვილისა და ელისაბედ რომანოზის ასული ცირკარიშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათი ძვირფასი ძმისწულის

ქეთუშა შველიძის

უდროვოდ ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება რესპუბლიკის საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის) 30 მაისს 1 საათზე. ქვ. 2649

ქალაქ თბილისის აღმასკომის სტატ-ეკონომიურ განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათი ძვირფასი და საყვარელი თანამშრომლის

ქეთევან შველიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 30 მაისს, 1 საათზე მთავარ ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტიდან (ყოფ. მიხაილოვის საავადმყოფოთან). 2655

სამუდამოდ გულდამწვარი და ცრემლშეუშრობელი მამა გიგო იოსების ძე, დები—თამარა ძიძიგურისა და ანა ახალკაცისა, ძმები—ნიკო და შალიკო, სიძენი—შალვა ძიძიგური და პეტრე ახალკაცი და დისშვილი ოთიკო ძიძიგური მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

მარო (მარიამი) თევდორაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის ერთი წლის თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დღეს, 30 მაისს, საღ. 5 საათზე. 2644

კვირას, 30 მაისს, დღის 12 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ საყვარელ და დაუვიწყარ ძვირფას საუნჯის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტის 1-ელი კურსის სტუდენტის

კოლი (ნიკო) მესხის

რასაც აუწყებენ ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი მშობლები: პელო პეტრეს ასული და სიმონ ლუარსაბის ძე მესხები, და-ძმანი—ანია, ირინა, მარო, პეტა, თინა და თამარი, ბებია ტერეზია მესხისა, ბაბუა პეტრე და დეიდა ელენე გიორგობიანები, სიძე ზაქარია ერმალოს ძე შარაშიძე და დისწული პატარა ოთარიკო.

2614 2—2

აპოლლო არტისტიკ სოლეი

უკანასკნელად
„მოწყენილი ქუჩა"

ანონსი: ორშაბათიდან საუკეთესო კომ.: „ხ ი ხ ნ ი ლ ი სხვა მანქანიდან".

უკანასკნელად
„ჯავშნოსანი პოტიომკინი"
იჩქარეთ ნახვა—უკანასკნელად მიდის.

ანონსი: ორშაბათიდან საუკეთესო სურათი „მ ო წ ყ ე ნ ი ლი ქ უ ჩ ა" ასტა ნილსენის მონაწილეობით.

პრემიერა
„სიკვდილზე უფრო ძლიერი"
გარრი პილის და ულამაზეს ქალის მერი ხოლმის მონაწილეობით.

ანონსი: ჩქარა' „მ ე ც ხ რ ე ზ ვ ი რ თ ი".

0—21. ნ. 1265

შავი ზღვის რკინის გზის სამუშაოების სამხრეთ უბნის სამმართველო

აცხადებს, რომ ა. წ. 5 ივნისიდან

ახალ-სენაკის და სოხუმის ხაზზე გაიხსნება დროებითი მიმოსვლა სად. ზუგდიდამდე.

მატარებლების მიმოსვლის ცხრილი შეთანხმებულია მთავარი ხაზის მატარებლების № 9 | 10 მიმოსვლასთან

სად. ახალ-სენაკიდან მატარებელი გადის 9 საათზე 20 წუთ.
სად. ზუგდიდში მივა 12 საათ. 50 წუთ.
სად. ზუგდიდიდან გამოვა 15 საათ. 05 წუთ.
სად. ახალ-სენაკში მივა 19 საათ. 05 წუთ.

მგზავრების გადაყვანა და ბარგების გადაზიდვა ხდება შავი ზღვის რკინის გზის სადგურებს შორის, ხოლო პირდაპირი ხაზით ამიერ-კავკასიის რკინის გზებთან მხოლოდ თბილისამდე და თბილისიდან.

მგზავრები, რომელნიც ამიერ-კავკასიის რკინის გზების სხვა სადგურებამდე მიემგზავრებიან, ახალ ბილეთებს იძენენ ახალ-სენაკის სადგურზე,

უბანში არსებულ პლატფორმებზე შეიძლება მგზავრების ასვლა-ჩამოსვლა ბარგის მიუღებლად და გაუცემლად.

ტვირთების გადაზიდვა ხდება, როგორც ადგილობრივ, ისე პირდაპირი ხაზით ამიერ-კავკასიის რკინის გზების ყველა სადგურებამდე და სადგურებიდან. როგორც სამგზავრო ბილეთის, ისე ბარგის და ტვირთის გადაზიდვის ფასი გადახდევინებული იქნება საბჭოთა კავშირის საერთო სარკინიგზო ტარიფების მიხედვით, მათი განაკვეთების სამჯერ გადიდებით.

დამატებითი გადასახადი გადახდევინებული იქნება საერთო წესით, გარდა რონოდების ადგილებზე გამოყვანისა და გასუფთავებისათვის დაწესებულ გადასახადისა, რომელიც სამჯერ არის გადიდებული, ზედნართი გადასახადების დაბეჭდილი ბლანკები იყიდება სადგურზე 20 კაპეიკად.

შენიშვნა: 1) ბავშვები ხუთ წლამდე ბილეთის ფას არ იხდიან, 5 წელს ზევით იხდიან სრული ბილეთის ერთ მეოთხედს. 2) გადასახადი მგზავრების გადაყვანაზე 6 კილ. ნაკლები, 6 კილ. იქნება ნაანგარიშევი.

ჯარების, სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო ბარგების, პატიმრების და მცველ რაზმების გადაყვანაზე ფასი გადახდევინებული იქნება სამხედრო ტარიფით, რომლის განაკვეთი 50 პროცენტით იქნება გადიდებული.

მანძილი სად. ახალ-სენაკიდან:

პლატფორმა ზემო-ქვალონი—10 კილ.	სად. ხეთა—22 კილ.
„ ნოჯიხევი 14 კილ.	პლატფ. ცაცხვი—30 კილ.
„ ხობი—17 კილ.	„ ცაიში—33 კილ.
„ მუნჩია—19 კილ.	სადგ. ზუგდიდი—40 კილ.

ნ. 1365

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" № 4—5

შინაარსი:

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ა.-კავ. ორგანიზაციების თათბირის დადგენილებანი.
გ. მუშიშვილი—ეკონომიის რეჟიმი და პარტიულ ორგანიზაციის ამოცანები.
ალ. პაპავა—მუშაობა ღარიბ გლეხობის შორის.
პ. საყვარელიძე—საშუალო და ღარიბი გლეხების კავშირი
ვ. გ—ელი—მორიგი ამოცანები კოოპერატიულ მშენებლობაში.
დ. აფიციაური—საბჭოთა არჩევნების შედეგები.
გ. ლეჟავა—სოფელი და სოფლის კომუნისტი.
ჟ. ფრანგიშვილი—ჩვენი კულტურული ამოცანები სოფლად.

საერთაშორისო მიმოხილვა:
ალ ნადირაძე—გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება
გეზა გოლდი—საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა.

ადგილობრივი ცხოვრება:
სოფლელი კომუნისტი—თემკომების მუშაობა.
კ. მელიქაძე—პარტიულ ხელმძღვანელობის საკითხი სოფლად.
მ. შალამბერიძე—თემებში პარტმუშაობის შესახებ.
ი. რაჭველი—პარტიული მუშაობა რაჭის მაზრაში.

ბიბლიოგრაფია:
გრ. ფილდიანი—ნ. ბუხარინი. საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-14 ყრილობის შედეგები.
ვ. მ.—ელ. ორჯონიკიძე. თემის ბიუჯეტი.
ანდრიაძე—„ტყის დღე".
ობოლი გლეხი—პ. მ. კერჟენცევი. როგორ უნდა გავუძღვეთ კრებას.

ახალი წიგნები.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან

3—1 ნ. 1363

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის

საუკეთესო, ხელოვნურათ მომზადებული ხილეულ-მადნეული და სამკურნალო

წყლები,

რომლებიც მომზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატებზე.

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოთ იმ წყლის კეთილ ღირსებაზე, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ან მისი საკუთარი განყოფილებიდან.

ნ. 1267 4—2 რუსთაველის გამზირი № 18.

ქართული მწერლობა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი ლიტერატურა-ხელოვნება-კრიტიკა-საზოგადოებრიობა

№ 1

თბილისი, ივ. მაჩაბელის ქუჩა № 13. | ივნისი 1926 | ტელეფონები:—24—51; 6—43; 23—99.

შინაარსი:

წერილები: ნიკოლოზ მიწიშვილი—(სარედაქციო) მწერლობა და საზოგადოებრიობა; ვახტანგ კოტეტიშვილი—ქართული მწერლობა; პავლე ინგოროყვა—მწერალთა კავშირის ამოცანები; ნ. საქარელი—ხელოვნება და ქართული საზოგადოებრიობა; ნიკოლოზ მიწიშვილი—ქართული კულტურის ახალი გზები; მემედ აბაშიძე—ქართული ენის გაწმენდისათვის.

კრიტიკა: გერონტი ქიქოძე—ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; სიმონ ჩიქოვანი—თანამედროვეობა და ქართული პოეზია; Maurice Raynal—ლადო გუდიაშვილი.

ლექსები: (ალფაბეტით) ს. აბაშელი—წერილი ნოე ჩხიკვაძეს; ვალერიან გაფრინდაშვილი—სოფლისაკენ; რაჟდენ გვეტაძე—გული; ნოე ზომლეთელი—სოფლის გოგო; ნინო თარიშვილი—ჩემს ტოლებს; სოლომონ თავაძე—შიო არაგვისპირელი; პაოლო იაშვილი—პოეზია; საფო მგელაძე—თუში; კოლაუ ნადირაძე—თეთრი ტყემლები; ტიციან ტაბიძე—სერგეი ესენინი; სანდრო შანშიაშვილი—მუხის წაქცევა ქიაურის ტყეში; ნ. შენგელაია—გზა სვანური სოფლისაკენ; ნ. ჩაჩავა—ჯაფარა; ს. ჩიქოვანი—ნაწყვეტები.

პროზა: ნიკო ლორთქიფანიძე— ლეო ქიაჩელი—უცნაური მოთხრობები; სერგო კლდიაშვილი—პროვინციის მთვარე; დემნა შენგელაია—ლაფშა ცხენები.

ბიბლიოგრაფია: ტიციან ტაბიძე—სანდრო შანშიაშვილი: პოეზია ტ. 1-ლი და მე-2; პაოლო იაშვილი—ნიკო ფიროსმანიშვილი, ვან-დეიკ—ლადო გუდიაშვილის გამოფენა თბილისში.

სადისკუსიო კითხვები: სიმონ ჩიქოვანი—თანამედროობა და ქართული პოეზია.
დოკუმენტები: ქართველ მწერალთა ყრილობა. რეზოლიუციები.

რედაქტორი: **ნიკოლოზ მიწიშვილი.**

ფასი ყველგან ერთი მანეთი ნ. 1345

სააქციო საზოგადოების „თბილისის ვაჭრობა"-ს დამფუძნებელნი

ამით აცხადებენ, რომ თანახმათ დამტკიცებული წესდების მე-10 §-ისა,

კვირას, 30 მაისს, შუადღის 12 საათზე

თბილისის ქალაქის ბანკის სადგომში, პუშკინის ქ. № 3 დანიშნულია

აქციონერთა წინასწარი საერთო კრება

განსახილველია: 1) დამფუძნებელთა მოხსენება, ს-ბის ორგანიზაციის მსვლელობის შესახებ.
2) კომისიის არჩევა,—დამფუძნებელთა ანგარიშების გასარჩევათ და აქციონერთა მიერ შემოტანილი ქონების შესაფასებლათ.
3) მორიგი საკითხები.

ნ. 1319 4—1

გამოვიდა **„ახალი საქართველო"** **№ 24**

შინაარსი:

მეთაური: საერთაშორისო მიმოხილვა (რუქით). **პრესა:** ამერიკელი ბიძია. გრ. ვეშაპელი: სალიტერატურო ენა. შრიფტის რეფორმაზე (ნახატით). **პრაღის კოლონიაში** (სურათით). **კარიკატურა.**

ინდუსტრია საქართველოში (შალვა ელიავასი). **ფელეტონი**—„თებერვალი" (ნ. მიწიშვილის). **ლექსი**—1 მაისი (პ. იაშვილის) **ქრონიკა.** ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება. გადასახლების საქმე. წერილი რედაქციის მიმართ.

ფასი 20 კ. ნ. 1356

კვირას, 30 მაისს, დილის 11 საათზე

დანიშნულია

გაზეთ „კომუნისტი"-ს განცხადებათა შემკრებ აგენტების სხდომა

მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 34). ის აგენტი, რომელიც არ გამოცხადდება სხდომაზე, მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

2—1 მთავარი კანტორა

თბილისის საქონლის—საფონდო ბირჟასთან არსებულ საფონდო განყოფილების საბჭო იტყობინება, რომ იმ სავალიუტო-საფონდო ოპერაციების მოსაწესრიგებლად, რომელიც თავისუფალ ბაზარზე სწარმოებს

თბილისში არსდება სადამოს სავალიუტო-საფონდო ბირჟა

რომელიც მოთავსებული იქნება პუშკინის ქარვასლაში (პუშკინის ქუჩა).

სადამოს ბირჟა ღია იქნება ყოველდღე 2 ნახ.-დან 4 საათამდე.

სადამოს ბირჟის პირველი დღეა 31 მაისი.

შესვლა ყველას უფასოდ და თავისუფლად შეუძლია. სადამოს ბირჟაზე მომხდარ გარიგებათა რეგისტრაციაში გატარება სავალდებულო არ არის, მაგრამ, თუ მხარეები მოისურვებენ, შეიძლება მათი შეტანა სათანადო წიგნში.

ნ. 1364

მიხა როდრიგვილის სახელობაზე საბუღალტრო კურსები

ახალ ჯგუფში მიღება ხდება 1 ივნისამდინ ან ხელოსანთა კლუბის მდივანთან დილის 9 საათ. 1 საათ.-დინ პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგესთან იოვ. ზაქ.-ძე ტერსტეფანოვთან. 1 თუმანოვის ქ. № 13 ქვ. 2654

ა.-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 11 ივნისს, დილის 12 საათზე, გზის და ნაშენების განყოფილების შენობაში დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა ქვის სამუშაოები თბილისის რკინის გზის საავადმყოფოსთან გინეკოლოგიური განყოფილების ასაგებათ; შესასრულებელია შემდეგი სამუშაო:

პირველი სართულის კედლების აგება სოლოლაკის ქვისაგან... 1300 კუბ. მეტრ. ზეძირკველის გაროხვა თირისაგან... 350 კვად. მეტრ. შიგნითა და გარეთა კედლების ამოყვანა, რომლებიც თირით უნდა იქნეს შელესილი 2500 კვ. მეტ., ასფალტის იზოლიატური მოწყობა... 260 კვ. მეტ. ლაგვარდანის და სხვა შელესვა თირით და სხვ. ნახაზების მიხედვით.

განცხადებების შემოტანა შეიძლება წერილობით დახურულ კონვერტებში, შეიძლება აგრეთვე პირობების და ფასების განცხადება ზეპირად და დეპეშითაც. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ქვითარი იმის შესახებ, რომ გზების სალაროში შეტანილი გირაო განცხადებული ფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

სამუშაოების დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სამუშაოების ხელმძღვანელის კანტორაში, კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა, № 164, განცხადების ბლანკებს იძლევიან გზათა განყოფილების შენობაში (კლარა ცეტკინის ქ., № 73) სამუშაო საათებში.

1—1 ნ. 1357

ცაგერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნემსაძე

აცხადებს, რომ ა. წ. ივნისის 5, საათის 12, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ორ თვალიანი ხის დუქნის ნახევარი ნაწილი, შეფ. 125 მან., კუთვნილი ირაკლი საჩინოს ძე ჩაკვეტაძის, მდებარე დ. ცაგერში იასონ გამყრელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ცაგერის უბნის სახ. სასამართლოსაგან 14 მაისს 1926 წ. № 432, გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა.

მსურველებმა ვაჭრობაში უნდა დაიცვან სამოქ. სამ. საპ. კოდ. 311 მუხ. მოთხოვნილება. 2653

ზუგდიდის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი საჯაია

აცხადებს, რომ ექვსი ივნისს 1926 წ. 10 საათზე დილის სოფ. კორცხელში გრიგოლი ჯალაღანიას სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უკანასკნელის მოძრავი ქონებისა, დასაკმაყოფილებლად შმაქვა თორდიას მემკვიდრე დავითი თორდიას ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ზუგდიდის უბნის სახალხო სასამართლოსი 15 დეკემბრიდან 1925 წ. № 5811. გასაყიდია ხის სახლი, გადასატანად, პირუტყვები და სახლის მორთულობა. აღწერილი ქონება შეფასებულია 440 მანეთად.

ნ. 1359

სახელმწიფო გამომცემლობა

გრიგოლ რობაქიძე

„დ რ ა მ ე ბ ი"

იყიდება ყველგან **ფასი 1 მ. 75 კ.**

ნ. 1346

დღეს, 30 მაისს

დოლი

დასაწყისი დღის 3 ნახ. საათზე
დოლი არავითარ შემთხვევაში არ გადაიდება
„დერბის" და „რესპუბლიკის" ჯილდოს გათამაშების დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

ნ. 1355

ა.-კ. რკინისგზათა სამმართველო

იტყობინება, რომ ა | წ. 5 ივნისს, დღის 11 საათზე

დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა მიწის და ქვის სამუშაოები სად. განჯაში ათი ერთსართულიანი ქვის სახლის ასაგებად; თვითეულ სახლში უნდა იყოს 4 ბინა

ვაჭრობის მონაწილეებმა განცხადებას თან უნდა დაურთონ ქვითარი იმის შესახებ, რომ გზების სალაროში შეტანილია გირაო განცხადებული ფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

სათანადო ცნობების და განცხადებების მიღება შეიძლება საბინაო აღმშენებლობის კომიტეტის კანტორაში, გზათა სამმართველოს შენობაში, სადგურის ქუჩა № 1, სამუშაო საათებში.

ნ. 1344 2—2. გამგეობა.

ე. ს. კ.

კურორტთა მთავარი სამმართველო

საქართველოს სახელმწიფო კურორტებზე საზაფხულო სეზონი იწყება და გრძელდება:

აბასთუმანში—15 ივნისიდან—1-ლ ნოემბრამდე
ბორჯომში—15 ივნისიდან—15 ოქტომბრამდე.
პ. ცემი და წაღვერში—15 ივნისიდან—15 სექტემბ.
ახტალაზე—15 ივნისიდან—1-ლ ოქტომბრამდე.
წყალტუბოზე—1-ლ ივნისიდან—1-ლ ნოემბრამდე.
ზაზმაროზე—25 ივნისიდან—15 სექტემბრამდე.

ყველა კურორტებზე ახლად შეკეთდა ბინები, გაუმჯობესებულია და ახლად შეძენილია ბალნე-ფიზიო-თერაპიული მოწყობილებანი.

წყალტუბოზე შეკეთებულია აბაზანები, გაყვანილია ახალი სატელე გზატკეცილი, რომელიც საავტომობილო მსვლელობისათვის გაიხსნება 15 ივნისს.

ახტალაზე მოწყობილია ცალკე საბაზანო ქალებისათვის. ტალახის საცავების საშუალებით სრულიად უზრუნველყოფილია კურორტი ტალახით.

2-2 ნ. 1351

სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ მცირეწლოვანთა სამეურვეო ქ.-განყოფილება

ამით აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს № 101 დადგენილების მე-10 მუხლისა მეურვეობა მცირეწლოვანებზე წესდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ იმყოფებიან მშობლების ან ერთ მათგანის ზრუნვაზე. ამიტომ ყველა ადრე აღძრული ის საქმეები, რომლებშიაც მცირეწლოვანნი იმყოფებიან მშობლების ან მშობლის ზრუნვაზე შემდგომ წარმოებით მოისპო.

ნ. 1360

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ს. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 3 ივნისს 1926 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 2, ყოფილი პასაჟ. ხითაროვისა **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვარლამ ბარსეგოვის მოძრავ ქონებას: ფეხსაცმელს და სხვას შეფასებულს 171 მანეთად, საბჭოთა მუშაკის კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 მაისი 1926 წ. თარიღით, № 1601 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

2645

ქალ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ 3 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 15, პასკევიჩის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ივანე არზუმანოვის მოძრავ ქონებას: ფიატის ავტომობილს და საბარგო ავტომობილის ნაწილებს, შეფასებულს 1200 მანეთად, გიორგი რადოვიჩის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 4 აგვისტ. 1925 წ. თარიღით, № 2778, გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა.

2658

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჯაფარიძის ქუჩაზე, სახლი № 37 დანიშნულია 11 ივნისს, დღით 12 საათზე საჯარო ვაჭრობა ზაქარია და შუშანა ოგანეზოვების ქონების ოჯახის მოწყობილების—ტანისამოსის შკაფის, კამოდის, კედლის სარკის და სხვების შეფასებულის სულ 110 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე აბრამ ჩიკვაშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

ნ. 1358

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ზ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 4 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზე მელიქიშვილის ქ. სახლში № 11, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ერთ ნახევარ სართულიანი სახლი ოგანეს გევორქოვისა, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის ქუჩაზე, № 11 და რომელშიაც იმყოფება 10 ოთახი, 2 სამზარეულო, 1 სამრეცხლო და 3 სარდაფი. აღნიშნული სახლი შეფასებულია 6000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია სუმბატ აივაზიანცის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, საერთო ჯამი 11250 მან. კანონიერი სარგებლით. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები, გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარადგინოს შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 600 მან.

2663

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., სადამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—17

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.** იღებს დილის 10—12 საათამდე, სადამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექ. ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. სადამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მ ი ს ა მ ა რ თ ი: რუსთვ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., სადამოთი 6—8 საათ. ქალების სადამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ე ქ ი მ ი დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., სადამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32. 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, სადამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და სადამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის, სადამოთი 4—8 საათამდის. 25—6

დ ა ბ რ უ ნ დ ა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი

მიღება სადამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 23561

ე ქ ი მ ი მ ე ბ რ ა ბ ი ა ნ ც ი

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში ურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და სად. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23 25—1

მედიცინის დოქტორი

გ. ა ახვერდოვი

ვენერიული სნეულ. და სიფილისი

დილის 9—12 საათამდე, სადამოს 6—8 ნახ. საათამდე. პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოდ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭდვა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

0 1 მთავარი კანტორა

იყიდება სახლი

სამხედრო ჰოსპიტალთან, კუტილოვის ქ., № 21, საცხოვრებელი ოთახი სამზარეულოებით. ორი დიდი ეზო ბაღი-ბოსტნით. აქვე იყიდება 2 გერმანული ჯიშის ძროხა. ქვ. 2640

ე ქ ი მ ი ნ. გ. ახვერდოვი.

ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., სადამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, № 15.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 5—17

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 2537 25—1

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებან კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება სადამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ., № 38. 25—8

ფ. თ. რატიან-თუხარელისა კბილის ექიმი

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—20

პროფ. გრ. მუხაძე

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება.
მიღება სწარმოებს სადამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა.
მ ი ს ა მ ა რ თ ი: პლეხანოვის პროსპექტი, № 58, ტელეფონი № 5—77 25—7

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

ტფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და სად. 6 საათ. კამოს ქუჩა, № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

ავადმყოფების მიღებას პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და სადამოს 6—8—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 7. ტელეფ. 14—5. 25—16

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი, გაცემული საბჭოთა კავშირისაგან ალექსანდრა ალექსის ასულის ლომაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2638

დაიკარგა თბილისის კომუნ. ბანკის ქ. სენაკის განყოფილების მიერ გაცემული ერთი აქციის დროებითი მოწმობა № 27 7 აგვ.-25 წ. ბიქტორ უთუს ძეგრიგოლიას სახელზე, ჩ. გ. 2648

დაიკარგა კომპარტიის საწევრო წიგნაკი № 502031, გაცემული საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის მიერ ალექსი ალექსანდრესძე ლომიძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2639

დაიკარგა ნუსხა № 777 ერასტი ჩხოტუიას სახელზე, ჩ. გ. 2646

დაიკარგა რეგისტრაციის წიგნაკი № 19 და თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი № 212 სუმბათ შახოიანცის სახელზე, ჩ. გ. 2646

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4 № 51 ბაგრატი ბეჭვაიას სახელზე, ჩ. გ. 2646

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი № 1345 ერასტი მაქსიმესძე ხაჟომიას სახელზე, ჩ. გ. 2652

დაიკარგა პრადობის მოწმობა № 984 მარო ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ. 2652

დაიკარგა საწევრო წიგნაკი გაცემული სიღნაღის საზრის გან. მუშ. კავშირის მიერ № 16497 ილია ალექსანდრესძე გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 2657

დაიკარგა პირადობის მოწმობა, პარტიული წიგნაკი № 49045, დამხლევე სალაროს წიგნაკი № 7546 და კავშირის წიგნაკი, ტრიფონ მიხეილისძე ბერიძეს სახელზე, ჩ. გ. ქ. 2660

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 35280 ქეთო ალექსის ასული პაიჭაძის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2661

დაიკარგა ნუსხა ფორმა № 4 № 678 გაბა კვატაცის ძე კვირკვიას სახელზე. ჩ. გ. № 2646. 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68